სამყაროს შემეცნება 3



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi ***Üzeyir Hacıbəylinin,***
sözləri ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

გულარ მეჰდიევა
ფირანგიზ ბაირამოვა

სამყაროს შემეცნება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-3 კლასისათვის
"სამყაროს შემეცნების" საგნის
სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს 05.07.2010 წლის
№734-ე ბრძანებით.

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო-2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.

გამომცემლობა «Aspoligraf LTD»

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ aspoligraf.ltd@gmail.com და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

სარჩევი

მშობლიური სკოლა

1. დაიწყო ახალი სასწავლო წელი....8
2. ჩვენი კლასი....10
3. ჩვენი სკოლა....12
4. ჩვენი მეგობრები....14
5. ვინ უფრო ძლიერია?....16
6. ჩვენი სკოლის ტრადიციები....18
7. როგორ გადაარჩინა აზერმა ბებია?....20
8. გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯანმრთელობას....22
9. თავაზიანები ვიყოთ....24

დედამიწა- ჩვენი სახლი

10. მატერიკები....26
11. რატომ ყვითლდებიან ფოთლები შემოდგომაზე?....28
12. ხის დასარგავად მივდივართ....30
13. წვიმის წვეთის მოგზაურობა....32
14. რა არის ატმოსფერო?....34
15. როგორ წარმოიქმნება ქარი?....36
16. ბუნების სახიფათო მოვლენები....37
17. როგორ იცვლებიან წელიწადის დროები?....38
18. რატომაა ზეცა ლურჯი?....40
19. ჰორიზონტის თვისებები. გეგმა....42
20. მიკრო ორგანიზმები....44
21. სოკოები....46
22. მწერები....48
23. თევზები....50
24. ცხოველთა მრავალსახეობა....52
25. ადამიანი შეიცნობს გარე სამყაროს....54

აზერბაიჯანი-- ჩემი მამული

26. დამოუკიდებელი აზერბაიჯანი.....56
27. ძველი აზერბაიჯანი.....58
28. აზერბაიჯანული არმია.....60
29. ჩვენი მეზობლები.....62
30. აზერბაიჯანის ბუნება.....64
31. მშობლიური კასპიის ზღვა.....66
32. ჩვენი ბარაქიანი სამშობლო.....68
33. ბუნებრივი რესურსები.....70

ფასეულებანი

34. ჩვენი ყველაზე დიდი რესურსი.....72
35. ჩვენი ეროვნული სამზარეულო.....74
36. ჩვენი დღესასწაულები.....76
37. წესები.....78
38. დაუმთავრებელი ნაკემსი.....80
39. დავიცვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა.....82
40. მსოფლიო რელიგიები.....84
41. დიდი ქველმოქმედი.....86
42. შემოსავალი და ხარჯი.....88
43. ხალხების საურთიერთო წესები.....90
44. იწყება საზაფხულო არდადეგები.....92
45. საზაფხულო არდადეგები.....94

პირობითი ნიშნები, რომლებიც სახელმძღვანელოში გამოიყენება

აზროვნება

პასუხი
და დავალება

დავიწყება

ეს საინტერესოა

ბრძნული
გამონათქვამები

ძვირფასო მეგობარო შენ უკვე მესამე კლასში სწავლობ. ესე იგი მზად ხარ, აითვისო ახალი ცოდნა და შეიძინო ახალი უნარ-ჩვევები. ამ სასწავლო წლის განმავლობაში ჩვენ შენთან ერთად ვიქნებით. რასაც შეისწავლი და რასაც აითვისებ, ყველაფერს შენთან ერთად გავიზიარებთ. სამყაროს შენთან ერთად შევიცნობთ.



1

მშობლიური სკოლა
დაიწყო ახალი სასწავლო წელი

პირველ სასწავლო დღეს ცოდნის დღე ეწოდება. სწორედ ამ დღეს ათასობით ბავშვი მიაშურებს სკოლას, რათა ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინოს. ბავშვები, მშობლები და მასწავლებლები ამ დღეს მოუთმენლად ელიან. აი, უკვე სკოლაში ვართ. ყველას სახეზე ღიმილი და სიხარული ახატია.

ჩვენი სკოლა წინა წლებთან შედარებით უფრო მოწესრიგებული და ლამაზია. რადგანაც საზაფხულო არდადეგების პერიოდში სკოლას რემონტი ჩაუტარდა და მანამ დავბრუნდებოდით, იგი ახალი სასწავლო წლისთვის მოამზადეს. სკოლა ახლა უფრო მშობლიურია. წლითი-წლობით ჩვენ უფრო და უფრო ვეჩვევით მას. იგი უფრო მეტად გვიყვარდება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ კარგი სწავლა, წესრიგი და სისუფთავე თითოეულ ბავშს აღამალებს უფროსების თვალში და მას უფრო სასურველად წარმოაჩენს. უკვე ერთი წლით უფროსები ვართ. ამიტომაც წელს უფრო მეტ შესაძლებლებებს გამოვავლენთ, ვიდრე გასულ წელს.

უკვე ვგრძნობთ პასუხისმგებლობას, რომელიც ჩვენ გვეკისრება. გზაზე როცა გადავდივართ, ხელს არავინ გვკიდებს. როცა სიცხეში ზემო სამოსს გავიხდით და ჩანთაც გვემძიმება, ჩვენს მაგივრად მათ არავინ ზიდავს, ჩვენვე გვიწევს მათი ტარება. ტკბილეულობას, რომელსაც მაღაზიაში შევიძენთ, ყურადღებით ვარჩევთ. მოხმარების ვადას აუცილებლად ვაკვირდებით. ან გამოშვების თარიღს აუცილებლად ყურადღებით ვეცნობით.

სურ. 1. პირველი დღე სკოლაში

ვსარგებლობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ტრანსპორტში ქცევის წესებს არ ვარღვევთ. რადგანაც არ გვინდა დავარღვიოთ სხვა მგზავრების სიმშვიდე. ხელით არ ვეხებით საგნებს, რომლებიც ჩვენს ირგვლივაა და რომელთაც ჩვენ არ ვიცნობთ. უცნობებთან ურთიერთობისას ფრთხილად ვიქცევით. ვითვალისწინებთ საგზაო ნიშანთა მოწოდებებს.

ვიცით, რომ გზებზე სხვადასხვა ნიშნებია: გამაფრთხილებელი, ინფორმაციული ხასიათის და ამკრძალავი ნიშნები.

გზებზე, გზაგასაყარეზე და სხვა ადგილებზე იმისათვის, რომ საგზაო მოძრაობა მოაწესრიგონ, შუქნიშნებს იყენებენ. გზა მაშინ უნდა გადავკვეთოთ, როცა შუქნიშანზე მწვანე შუქი აინთება ფეხით მოსიარულეთათვის.

იქ სადაც მოგვესურვება გზის გადაჭრა სახიფათოა. გზის პირებზე დამაგრებულია საგზაო ნიშნები, რომლებიც მიანიშნებენ, რომ აქ ფეხით მოსიარულებს შეუძლიათ გადასვლა. იქ, სადაც გადასვლა გარდაუვალია, გზა მხოლოდ და მხოლოდ იქ უნდა გადავკვეთოთ, სადაც ფეხით მოსიარულეთათვის გათვალისწინებული ნაწილია. და იქ, სადაც საგზაო ნიშანი არ არის, გზის გადაკვეთისას უაღრესად ფრთხილად უნდა იყო. როცა გზაზე გადადიხარ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ავტომობილი არ გიახლოვდება. ამისთვის გზის პირას უნდა გაჩერდე და ყურადღებით გაიხედო მარცხნივ. თუ ორმხრივი მოძრაობაა, ასეთ შემთხვევაში გზას ნახევრად რომ გადაჭრი, უნდა გაჩერდე და მარჯვნივ გაიხედო.

სურ. 2. საგზაო ნიშნები

1) რატომ უხარიათ ბავშვებს პირველი სასწავლო დღე?
2) ჩვენი სახელმწიფო რას აკეთებს იმისათვის, რომ ავშვების სწავლის უფლებები დაცული იქნას?
3) აღწერე საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქცევის წესები?
4) აგვიხსენი იმ საგზაო ნიშანთ მნიშნელობა რომელსაც იცნობ?
5) იქ სადაც ორმხრივი მოძრაობაა, გადასვლილას რა უნდა მოიმოქმედო?
ჩამოაყალიბე შენი მოსაზრება.

2

ჩვენი კლასი

მშობლები და სახელმწიფო პასუხისმგებელია ჩვენს ჯამრთელობასა და განათლებაზე. ჩვენ თუ ვართ რაიმეზე პასუხისმგებლები? ამის თაობაზე თუ დაფიქრებულხარ?

ჩვენი დღის დიდი ნაწილი საკლასო ოთახში გადის. აქ თვითეული ჩვენთაგანი ერთი მიზნით მოვდივართ. ჩვენი ამოცანაა აქ ცოდნა მივიღოთ და ახალი უნარ-ჩვევები შევიძინოთ.

სურათები, რუკები და ყველა სხვა საგნები, რომლებიც ჩვენ საკლასო ოთახშია, ყველას გვეკუთნის. საკლასო ოთახსა და სახელმძღვანელოებს მზრუნველობით ვეკიდებით.

ჩვენი საკლასო ოთახი ფართო და ნათელია. დიდი ფანჯრები აქვს. ფანჯრების რაფებზე ოთახის ყვავილების ქილებია ჩამოლაგებული. ეს მცენარეულობა გარდა იმისა, რომ გვეხმარება ოთახის ჰაერის სისუფთავეში, ამავე დროს თავისი

სურ. 1. ჩვენი საკლასო ოთახი

სილამაზითაც თვალს ახარებს. თუ თქვენს საკლასო ოთახებში ოთახის ყვავილები არ არის, გირჩევთ ლამაზი ყვავილები ამოარჩიოთ და ქილებში დარგათ. არსებობს ერთი ძალზედ ცნობილი ნაწარმოები, რომელსაც „პატარა უფლისწული“ ეწოდება.

იმ ნაწარმოებში ლაპარაკია იმაზე, რომ პატარა უფლისწული, რომელსაც თავისი ვარდი ძლიერ უყვარს, ერთ მშვენიერ დღეს ვარდების ბაღში მოხვდება. და როცა აქ თავმოყრილ ვარდებს იხილავს, ჯერ ძლიერ დაღონდება. რადგანაც იგი დღემდე ფიქრობდა, რომ მისი ვარდი ქყვეყნიერებაზე ერთადერთია. პატარა უფლისწულის მეგობარი მელია მას ერთ საიდუმლოს გაუმხელს. იგი მას აუხსნის, რომ ყველა პასუხისმგებელია იმ სულიერის წინაშე, რომელსაც ინახავს და თავად აღზრდის და რომელიც ძლიერ უყვარს. როცა ამ საიდუმლოებას ეზიარება, უფლისწული ვარდებს შეხედავს და იტყვის. „თქვენ ლამაზი ხართ, მაგრამ ჩემი ვარდი ჩემთვის ყველაზე ლამაზი და ძვირფასია. მე ხომ ყოველდღე წყალს მას ვუსხამდი და არა თქვენ. ახლა ვიცი, რომ რისთვისაც იღვწი და ძალისხეველს გაიღებ, მის წინაშე ხარ პასუხისმგებელი და ის გულით გიყვარს“. ოთახის ყვავილებს, რომელთაც ჩვენ ვუვლით, სკოლის ეზოში არსებულ ყვავილებსა და მცენარეებს, ცხოველებს, რომელთაც ვზრდით, ჩვენი მზრუნველობა და გულითადი მოპყრობა ესაჭირეობათ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ იმ მცენარეულობისა და ცხოველთა წინაშე, რომელთა მიმართაც მზრუნველობას ვიჩენთ და რომლებიც გვიყვარს.

ჩვენი სახელმწიფოც ჩვენზე ზრუნავს და პასუხისმგებელია ჩვენს მიმართ. ბავშვების განათლების უფლებასაც სახელმწიფო იცავს. იმისათვის, რომ ჩვენ კარგად ვისწავლოთ და ღირსეული მოქალაქნი ვიყოთ, ყველანაირი პირობა იქმნება. ლამაზი სკოლა, მშვიდი საკლასო ოთახი და საინტერესო სახელმძღვანელოები გვაქვს.

ჩვენ გვაქვს უფლება ვისწავლოთ, დავიცვათ ჯანმრთელობა, შემოქმედებას ვეზიაროთ, დავისვენოთ და სხვა. ჩვენი უფლებებით მთლიანად ვსარგებლობთ. კარგად ვსწავლობთ, ვიცავთ ჩვენს ჯანმრთელობას, ჩვენი კლასისა და სკოლის ღირსებას ყოველთვის სათუთად ვეპყრობით.

«აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი ბავშვების უფლებათა შესახებ». ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ბავშვების უფლებათა დაცვისადმი. ამ კანონში ბავშვთა უფლებები მთლიანადაა ასახული. გარდა ამისა, არსებობს საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ასევე ბავშვთა უფლებებს ემსახურება. «ბავშვთა უფლებების კონვენცია», «ბავშვთა უფლებების დეკლარაცია». ამგვარ დოკუმენტთაგანია.

1. როგორი გინდათ იხილოთ თქვენი საკლასო ოთახი?
2. რაა საჭირო იმისათვის, რომ ქოთნის ყვავილი დარგათ?
3. რა დასკვნა გამოიტანეთ მოთხრობიდან „პატარა უფლისწული“?
4. რა სარგებელი აქვთქოთნის ყვავილებს ოთახისათვის?
5. ბავშვის უფლებები რომელ დოკუმენტებშია ასახული?

3

ჩვენი სკოლა

როგორ გავლენას ახდენს ჩვენზე სასკოლო გარემო? როცა რომელიმე კოლექტივის წარმომადგენელი ხარ, შეიძლება თუ არა მის გარეთ ყოფნა? როცა ამ ტექსტს წაიკითხავ, აღნიშნული შეკითხვების პასუხსაც გაეცნობი.

სურ. 1.

გაკვეთილზე ტექსტის განხილვისას ერთ-ერთი ბავშვის აზრი სხვა ბავშვების აზრს არ დაემთხვა. ჩვენ ვამბობდით, რომ გარემოება, ანუ ჩვენი მეგობრები, ნაცნობები და თანაკლასელები ჩვენს ქცევა–ჩვევებზე გავლენას ახდენენ. ის კი ამბობდა, რომ ასე არაა, ყველა ადამიანი მოქმედების დროს თავისუფალია.

ჩვენმა მასწავლებელმა თქვა:

- რა თქმა უნდა კარგია როცა თავისუფალი ხარ შენს მოქმედებში. მაგრამ შენმა მოქმედებამ სხვას ზიანი არ უნდა მიაყენოს.

დავუშვათ, რომ თქვენი თანდასწრებით ერთ-ერთი თანაკლასელი სხვას ავიწროებს. ან კიდევ ერთ-ერთი უფროსკლასელი თქვენს თვალწინ ხის ტოტებს ამტვრევს. თქვენ მისი საქციელი არ მოგწონთ და მას მიუთითებთ, რომ მისი ქმედება სწორი არაა. ის კი გპასუხობთ: „ეს შენი საქმე არაა, მე ასე მსურს“,- ამ დროს თქვენ თავს როგორ გრძნობთ?

გარემოება გავლენას ახდენს ადამიანზე. ეს გავლენა შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. მაგალითად, თქვენი თანაკლასელები გთავაზობენ, რომ ერთად წახვიდეთ სპორტის დარბაზში. თქვენ კი მათ პასუხობთ, რომ გაკვეთილები გაქვთ მოსამზადებელი. ისინი ამას სიმხდალედ მიიჩნევენ და დაგცინიან. თქვენ ეს გწყინთ. იმისათვის, რომ დაამტკიცოდ მხთალი არ ხართ, მათთან ერთად სპორტის დარბაზში მიდიხართ. შინ კი გვიან და დაღლილი ბრუნდებით. იძულებელი ხართ, გაკვეთილების მოუმზადებლად დაწვეთ დასაძინებლად. დილით კი იმის გამო, რომ გაკვეთილები არ გაქვთ



სურ. 1. გაკვეთილის დრო

მომზადებული თავს აფორიაქებულად გრძნობთ.

თანაკლასელები ამის გამო თქვენ გამტყუნებენ. იქ, სადაც ასეთი საქციელი ჩვეულებრივად არ აღიქმება, ღირს სწავლა და განათლების მიღება? თქვენ ეს მოგეწონებათ? ალბათ არა.

სკოლაში წესრიგი, დისციპლინა ,სისუფთავე და მოწესრიგებულობა მოსწავლებს ,რომლებიც აქ სწავლობენ, ორგანიზებულობისკენ მოუწოდებს. ბავშვი, რომელიც საერთო სიყვარულის ,უფროსებისადმი პატივისცემისა და უმცროსებისადმი მზრუნველობის ატმოსფეროში იზრდება, ადამიანებისადმი კულტურული დამოკიდებულებით გამოირჩევა. იგი არასოდეს მოიქცევა ისე, რომ სხვები შეარცხვინოს. მისთვის უცხოა ისეთი თვისებები, როგორიცა შიში და ამპარტავნება.

თითოეული ჩვენთაგანის ვალია, კოლექტივში მოწესრიგებული ვიყოთ. თუ ყოველი ბავშვი „იტყვის ,რომ ეს მე არ მეხება“ მაშინ მათ შორის არც სიწრფელე იქნება და არც მეგობრობა“.

კლასში, რომელშიც თითოეული ბავშვი მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, ალბათ სწავლა უინტერესო იქნებოდა. თუ ადამიანები ერთმანეთის მიმართ ყურადღებიანი იქნებიან, მაშინ არავინ იგრძნობს თავს ეულად და უქომაგოდ.

სურ. 1. ჩვენი სკოლის ეზოში

> შენი მეგობარი მიჩვენე და მე შენ გეტყვი შენ ვინ ხარ.

1. ვისზეა დამოკიდებული სასკოლო სიტუაცია?
2. რაა ის, რაც შენს სკოლაში მოგწონს, ან არ მოგწონს?
3. «შენი მეგობარი მიჩვენე და მე შენ გეტყვი შენ ვინ ხარ» ამ ანდაზის მნიშვნელობა განმარტე და ამის თაობაზე შენი აზრი ჩამოაყალიბე.

4

ჩვენი მეგობრები



სურ. 1.

- იგი მზად უნდა იყოს, გაგიზიაროს, ან გაგიყოს ყველაფერი ის, რაც კარგი გააჩნია.
- როცა დაინახავს, რომ სწორად არ იქცევი, შენიშვნა უნდა მოგცეს.
- თავისი ოჯახის წევრივით უნდა გეპყრობოდეს.

სურ. 2.

მშობლებს, და–ძმებსა და ახლო ნათესავებს ჩვენ არ ვირჩევთ. ეს ადამიანები მაშინვე, როცა ვიბადებით, ჩვენს ირგვლივ არიან. ჩვენ მათ ვუყვარვართ და ჩვენზე ზრუნავენ. მეგობარს კი ჩვენ ვირჩევთ.

ის, ვინც გეუბნება, რომ ძლიერ უყვარხარ და შენი ყველა საქციელი მოსწონს, ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შენი მეგობარია. მეგობარმა შეიძლება შენიშვნა მოგცეს. შენი შეცდომის გამო გაგაკრიტიკოს კიდეც. თუ მეგობარი ცუდი საქციელის გამო არ გძრახავს და არ ცდილობს, რომ ცუდ საქციელს გადაგაჩვიოს, ის შენი მეგობარი არც ყოფილა. მეგობარი როგორც ჭირში, ასევე ლხინში ადამიანის გვერდითაა.

ერთხელ, როცა მეგობრობაზე საუბრობდა, ჩვენმა მასწავლებელმა ბუდას სახელი ახსენა. ბუდა „ზიარებულს“ ანუ ნათელს ნიშნავს. იგი უძველეს დროში ინდოეთში დაიბადა. ბუდას ბევრი მოსწავლეები ჰყავდა. ისინი ყველგან ნერგავდნენ თავიანთი მასწავლებლის ცხოვრების წესს და აზრებს, რომლებსაც იგი გამოთქვამდა ადამიანური ღირსებების შესახებ. ბუდა ამბობდა, რომ ოთხი ნიშნის მიხედვით შეიძლება მეგობარს ერთგული უწოდო:

1) როცა შენ გიჭირს და ის გეიმედება, ყველაფერში გეხმარება და სულიერად გამხნევებს.

2) შენ საიდუმლოებას ისე ინახავს, როგორც თავის საიდუმლოებას. იზიარებს როგორც შენს მწუხარებას ასევე სიხარულს.

3) ცუდ საქმეს აგარიდებს, კარგი საქმეებისკენ გიბიძგებს.

4) არ დაუშვებს, რომ სხვებმა აუგად მოგიხსენიონ.

ოღონდ ყველაფერი ეს ორმხრივი უნდა იყოს. ანუ შენც შენი მეგობრის მიმართ ასეთივე უნდა იყო. ბავშვები რომ კლასში მეგობრობდნენ, სიძნელეებსაც ერთად გაუმკლავდებიან. ერთმანეთს დაეხმარებიან და ზურგს გაუმაგრებენ. უეჭველია, რომ თქვენს თანაკლასელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ერთგულ მეგობრებად გამოგადგებიან. შენ უბრალოდ მათი აღმოჩენა გმართებს. იმისათვის, რომ ჭეშმარიტი მეგობარი ვიპოვოთ, თავად უნდა ვიყოთ ჭეშმარიტი მეგობარი. როგორც მეგობრისგან ველოდებით ერთგულებას, ჩვენც მეგობრის მიმართ ერთგულება გვმართებს.

მეგობრობა კეთილსინდისიერებას, მოთმინებას, პატივისცემასა და ერთგულებას მოითხოვს. ადამიანი, რომელსაც ასეთი თვისებები არ გააჩნია, ნამდვილი მეგობარი ვერ იქნება.



სურ. 3.

სურ. 5.

შენ ამ ბავშვებს რას ურჩევდი?

სურ. 4.

სურ. 6.

1. რატომ გრძნობს ადამიანი მეგობრის საჭიროებას?
2. შენი აზრით, მეგობრობაში ყველაზე აუცილებელი თვისება რომელია?
3. რა საერთო გაქვთ შენ და შენს მეგობარს?
4. «მეგობრობა თავაზიანობას, მოთმინებას, ზრდილობიანობასა და ერთგულებას მოითხოვს» განმარტე ეს აზრი.
5. გამოხატე დამოკიდებულება სურათზე გამოსახული ბავშვებისადმი.

5

ვინ უფრო ძლიერია?

გინდა, შენმა თანაკლასელებმა იგრძნონ, რომ შენ ძლიერი ხარ? იცი, ამას როგორ მიაღწევ? წინამდებარე მოთხრობაში ამ შეკითხვის პასუხს იპოვი.

მიუხედავათ იმისა, თუ ადამიანი რომელი კოლექტივის წევრია, იგი უპირველეს ყოვლისა ინდივიდია. ყველა ადამიანს თავისი განსაკუთრებული ცოდნა, უნარი და ნიჭი გააჩნია. ამიტომაც მას უნდა ჰქონდეს მოვლენებისდმი თავისებური დამოკიდებულება და რწმენა. თვითრწმენა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო თვისებაა. ადამიანს, რომელსაც თვითრწმენა გააჩნია, არა სხვების, არამედ თავისი თავის იმედი აქვს.

კლასში ზოგიერთი მოწაფე აქტიურია,ზოგი კი ელოდება, რომ პირადად მას მიმართონ. ამგვარი ლოდინი საჭირო არაა. ადამიანი უნდა ეცადოს, რომ თავად დაამყაროს ურთიერთობა.

როცა პირველ კლასში ვსწავლობდი, ჩვენს კლასში ერთი ბიჭი მოიყვანეს. იგი ინვალიდის ეტლით მოვიდა. პირველ დღეებში არ ვიცოდით, მასთან ურთიერთობა როგორ დაგვემყარებინა. თუმცა ახლა მის ირგვლივ ყოველთვის ბავშვები ტრიალებენ. რადგანაც იგი ძალზედ კეთილი, ჭკვიანი და იმფორმირებული ბიჭია. იგი ძალიან კარგად თამაშობს შაშს. მათემატიკაში დავალებებს ყველაზე სწრაფად და სწორად ასრულებს. თანაკლასელებს, რომელთაც უჭირთ, სიამოვნებით ეხმარება. მან ამ თვისებებით მოკლე დროში ბავშვების პატივისცემა დაიმსახურა. კლასში მას არავინ უყურებს როგორც სუსტსა და ავადმყოფს. პირიქით, მას უფრო ძლიერად მიიჩნევენ, ვინემ ზოგიერთ ბავშს ინვალიდის ეტლი რომ არ სჭირდება.

სურ. 1. პარკში

* **ინდივიდი** – პიროვნება

იგი გაკვეთილებს ყოველთვის ამზადებს. გაკვეთილის დროს ძალზედ აქტიურია. თანაკლასელებს მასთნ მუშაობა ძლიერ მოსწონთ. ყველა ცდილობს, რომ მას დაუმეგობრდეს.

პატივისცემის მოპოვება თავად ადამიანზეა დამოკიდებული. ნამდვილი ძალა მკლავის ძალა კი არაა, არამედ ცოდნისა და უნარების ძალაა. მკლავის ძალით ამაყობა კარგი თვისება როდია. ის ვინც თავისზე სუსტებს ავიწროებს, აუცილებლად შეხვდება თავისზე ძლიერებს და ისინი მას შეავიწროებენ. ანდაზა გვეუბნება: «რასაც დასთეს, იმას მოიმკი».

სურ. 2. ტრაბახი კარგი როდია

ყველა პიროვნებას თავისი თავი უყვარს.თავმოყვარეობა არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ქედმაღლობა და თავის გამორჩეულობაში დარწმუნებულობა. თავმოყვარე პიროვნებას, რომელსაც შეუძლია თავისი თვისებები შეაფასოს, მას ასევე შეუძლია, სხვების კარგი თვისებებიც შეამჩნიოს და დააფასოს.

თავდაჯერებულობა, თავმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა და ზრდილობა ადამიანს ძლიერ პიროვნებად წარმოაჩენს.

1. ადამიანებში რომელი თვისებები მოგწონს?
2. რა განსხვავებაა თვმოყვარეობასა და ამპარტავნებას შორის?
3. რას მატებს ადამიანს თვდაჯერებულობა?
4. რას ნიშნავს თვით შეფასება?
5. რამდენი მეგობარი გყავს? შენი აზრით, მათ შენთან მეგობრობისკენ რა იზიდავს?

6. დაუშვათ, რომ რომელიმე კოლექტივში მოხვდი. მაგალითად, რაიმე მიზეზის გამო სკოლის შეცვლა მოგიხდა. ასეთ დროს რვეულში მოინიშნე ის, თუ ადამიანებთან როგორ დაამყარებ ურთიერთობას. შემდეგ ეს შეადარე იმ მეგობრის შენიშვნებს, რომელიც შენს გვერდით ზის.

6

ჩვენი სკოლის ტრადიციები

მასწავლებელი ყოველთვის გვეუბნება რომ, იქ სადაც ტრადიციაა წარმატებაც არის. რა ტრადიციაა? მას რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს წარმატებასთან? გინდა იცოდე ეს? მაშინ ეს ტექსტი წაიკითხე.

მასწავლებელი ყოველთვის გვეუბნება რომ, იქ სადაც ტრადიციაა წარმატებაც არის. რა არის ტრადიცია? მას რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს წარმატებასთან? გინდა იცოდე ეს? მაშინ ეს ტექსტი წაიკითხე.

ზოგიერთი ადათ-წესები გადადის რა თაობიდან თაობაში მრავალი წლის მანძილზე არსებობს. წესები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და დღითი დღე მტკიცდება, ტრადიციად იწოდება. ჩვენს სკოლას ერთი ტრადიცია გააჩნია. ყოველი წლის ბოლოს ყველა მასწავლებელი და მოსწავლე სააქტო დარბაზში იკრებება. მასწავლებლები და აქტიური მოწაფეები სიტყვით გამოდიან. ისინი საუბრობენ იმ წარმატებებსა და მიღწევებზე, რომლებიც აღნიშნულ წელს მოხდა ჩვენს სკოლაში, ქალაქში, თუ ქვეყანაში. მოსწავლეთა კარგ თვისებებზე ამახვილებენ ყურადღებას. როცა კარგ თვისებებსა და წარმატებებზე ვლაპარაკობთ, მხოლოდ

სურ. 1. შენი გამარჯვების სიხარულს ვიზიარებთ

წარმატებულ სწავლასა და ფრიადებს როდი ვგულისხმობთ. კარგი საქმეა ისიც, რომ სუსტ მოწაფეებს ეხმარები და პატარებს ექომაგები. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა და სასკოლო კედლის გაზეთის საინტერესოდ ორგანიზებაც კარგ საქმეთაგანია. ეს ჩამონათვალი შეიძლება გავაგრძელოთ კიდეც. მოწაფეები სკოლის ამგვარ ღონისძიებაში ერთმანეთს ეცნობიან და წარმატებულ მოსწავლეთა შესახებ ისმენენ.

ყველას უნდა, რომ მისი წარმატებების შესახებ საუბრობდნენ. ამისათვის კი საჭიროა, რომ მრავალი კარგი საქმე აკეთო.

არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ. მაღალ შედეგებს იძლევიან. მაგალითად ჩემ თანაკლასელთაგან ერთ–ერთი გასულ წელს შაშის შეჯიბრზე სკოლის ჩემპიონი გახდა. წელს კი მას უკვე ქალაქის პირველობა მივულოცეთ. როცა იგი პირველ კლასში სკოლის ჩემპიონი გახდა, მთელი კლასი ამაყობდა. ახლა კი იგი მთელი ჩვენი სკოლის სიამაყეა.

ჩვენი ერთ–ერთი თანაკლასელი კი ძალზედ ლამაზად ხატავს. ჩვენს სკოლაში მისი ნახატების გამოფენაც კი მოეწყო. გამოფენაზე სტუმრებიც მოვიწვიეთ. სტუმართა შორის მხატვრებიც იყვნენ. როცა მის ნახატებს უყურებდნენ, რწმენას გამოთქვამდნენ, რომ იგი მომავალში კარგი მხატვარი იქნება. ოღონდ ამისათვის საჭიროა არ იზარმაცოს და ბევრი იშრომოს.

ჩვენ ორივე ჩვენი მეგობრით ვამაყობთ. ისინი კი თავიანთი ამ ნიჭის გამო არ ქედმაღლობენ. კარგად ხვდებიან, რომ მოპოვებული მიღწევები უნდა შეინარჩუნონ. და უფრო მაღალი შედეგებისათვის საჭიროა, უწინდელზე უფრო მეტად იშრომონ. მას შემდეგ, რაც მილოცვები მთავრდება მოსწავლეები რომლებიც ლიტერატურის წრეზე დადიან ლექსებს კითხულობენ. ხოლო ის მოსწავლეები, რომლებიც მუსიკის წრის წევრები არიან, უკრავენ და მღერიან. ჩვენი სკოლის ეს ტრადიცია ძლიერ მოგვწონს. ჩვენ ყოველწლიურად ერთი წლით უფროსები ვხდებით. და ვცდილობთ რომ ჩვენი წარმატებებიც ყოველ წლიურად გაიზარდოს.

ხე როცა ნაყოფს გამოისხამს ტოტებს
დახრის ხოლმე.

1. რა დასკვნა გამოიტანეთ ტექსტიდან?
2. გინდათ რომ ასეთი ტრადიცია თქვენს სკოლაშიც იყოს? რატომ?
3. რატომ უნდა გიხაროდეს თანაკლასელის წარმატებების გამო?
4. რატომ ითვლება ცუდ თვისებად ამპარტავნება?
5. განმარტე მნიშნელობა ანდაზისა, რომელიც ტექსტის ბოლოსაა მოცემული.

7

როგორ გადაარჩინა აზერმა თავისი ბებია

თქვენ თუ ეს თვისება გაგაჩნიათ, შეგიძლიათ თქვენი ახლობლები გადაარჩინოთ. თვითეულმა ადამიანმა ეს თვისება თავის თავში უნდა გამოიმუშაოს. ეს რომელი თვისებაა? წინამდებარე მოთხრობაში ლაპარაკია ბიჭუნუზე, რომელსაც აღნიშნული თვისება გააჩნია.

შემთხვევამ, რომელიც ახლა ხანს მოხდა, ჩვენი თანაკლასელი აზერი მთელ სკოლას გააცნო. იმ დღიდან ყველა მას როგორც გმირს უყურებს.

აზერი სკოლაში ყოველთვის ბებიას დაჰყავდა. ერთ დღეს სკოლაში იგი არა ბებიამ, არამედ დედამ მოიყვანა. გავოცდით. აზერის ბებიას ძალიან კარგად ვიცნობდით. მან თვითეული ჩვენთაგანის სახელი იცოდა და ყოველთვის ტკბილად გვესაუბრებოდა. იმ დღეს აზერიც დაღონებული ჩანდა. მას ვკითხეთ, თუ რატომ არ მოვიდა ბებიამისი. აზერმა გვითხრა, რომ ბებია ავად გახდა. ამჟამად საავადმყოფოშია. წუხელ ცუდად გამხდარა და იგი საავადმყოფოში წაუყვანიათ. მოგვიანებით ბებია გამოჯანმრთელდა და აზერი კლავინდებურად მას დაჰყავდა სკოლში. ბებიამ გვითხრა, რომ როცა იგი ცუდად გამხდარა, აზერი არ დაბნეულა და სიფხიზლე არ დაუკარგავს. ამიტომაც გადაურჩენია ბებია. ამბავი კი აი ასე მომხდარა.

საღამოხანს აზერი თავის დაიკოსთან თურანასთან ერთად ტელევიზორს უყურებდა. მისი მშობლები კი სტუმრად იყვნენ წასულები.

ბებიამისი ტანსაცმელს აუთოებდა. მოულოდნელად მკერდის არეში ტკივილი იგრძნო. ერთ წამში ცუდად გახდა, თავი ვერ შეიკავა და იატაკზე დაეცა. ცხელი უთო კი ტანსაცმელზე დარჩა. ტანსაცმელს თანდათან ბოლი აუვიდა. აზერმა ნამწვის სუნი იგრძნო და აფორიაქდა. სწრაფად წამოდგა და იმ ოთახში გავიდა სადაც ბებია ეგულებოდა. უძლური ბებია იატაკზე იჯდა. აზერი არ დაბნეულა. სასწრაფოდ უთო გამოთიშა. იგი ნახევრად დამწვარ ტანსაცმელს მოაცილა და გვერდზე გადადო.



სურ. 1. ძნელბედობის ჟამს



სურ. 2. სამედიცინო დახმარება

პატარა თურანა კი სამზარეულოში გაიქცა, წყალი მოიტანა და დამწვარ ტანსაცმელს მოაფრქვია. აზერმა დაუყოვნებლივ აკრიფა სასწრაფო დახმარების ნომერი (103). ბებიას მდგომარეობა და სახლის მისამართი ზუსტად შეატყობინა. მერე კი დარეკა და მდგომარეობა მშობლებსაც აუხსნა.

სულ მალე ექიმიც მოვიდა. ბებიას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. ამასობაში აზერის მშობლებიც დაბრუნდნენ. ბებია საავადმყოფოში წაიყვანეს. სასწრაფი დახმარების ექიმმა თქვა, რომ ბებია სინამდვილეში მან კი არა, აზერმა გადაარჩინა. რადგანაც იგი გასაჭირში არ დაიბნა და სათანადოდ იმოქმედა.

მართლაც, აზერი გასაჭირში არ დაბნეულა. იგი რომ დაბნეულიყო, ბებიას დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. უფრო მეტიც, შეიძლება მათ ბინაში ხანძარიც კი გაჩენილიყო. აზერმა ეს საშიშროებაც აღკვეთა. აზერს ყველა აქებდა და „ყოჩაღო“ ეუბნებოდა. მაგრამ აზერი ძალზედ თავმდაბლად, ჩვეულებრივ იქცეოდა, არ ბაქიაობდა. ეს თავმდაბლობა და ზრდილობიანობა მას ჩვენს თვალში უფრო აღამაღლებდა.

1. რა დასკვნა გამოიტანე ტექსტიდან?
2. შენ თუ მოხვედრილხარ მსგავს სიტუაციაში? თუ მოხვედრილხარ, ამ დროს რა მოიმოქმედე?
3. გასაჭირში ადამიანი არ უნდა დაიბნას და თავშეკავებული უნდა იყოს. ეს რას ნიშნავს?
4. გასაჭირში ადამიანის დაბნეულობამ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გარშემომყოფთ და პირადად მას?
5. მოიფიქრე სიტუაცია, სადაც შენ მოგეთხოვება სასწრაფო ზომების მიღება. ეს სიტუაცია აღწერე და დაასათაურე.

8

გავუფრხილდეთ ჩვენს ჯანმრთელობას

ამბობენ, რომ ჯანმრთელობის პირველი პირობა ჯანმრთელი ცხოვრების წესია. მაშ ჯანმრთელი ცხოვრების წესი როგორი უდა იყოს? შენც გინდა იცოდე ეს? აქ, წინამდებარე თემაში საუბარი იქნება ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესახებ. თუ წაიკითხავ საკმაოდ ცოდნას შეიძენ.

სურ. 1. ჭარბი კვება საზიანოა

ზოგიერთ ბავშვებს ქუჩაში ზეზეულად საკვების მიღება წესად აქვთ. თუმცა ქუჩაში ზეზეულად საკვების მიღება ორგანიზმისათვის საზიანოა. ვადა გასული სხვადასხვა ნაწარმი და პროდუქტი შეიძლება მიზეზი გახდეს ადამიანის მოწალმისა, ანდა მისი საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების საბაბად იქცეს. რადგანაც როცა პროდუქტი ძველდება, მის შემადგენლობაში ისეთი ელემენტები ჩნდება, რომელიც ორგანიზმისათვის საზიანოა. ამიტომაც საჭიროა, რომ მივიღოთ ახალი და ორგანიზმისათვის სასარგებლო საკვები. როცა პროდუქტს ვყიდულობთ, აუცილებელია, დავაკვირდეთ მისი ბოლო მოხმარების თარიღს. ყუთის, თუ ქაღალდის პაკეტის ზედაპირზე მისი ვარგისიანობის ვადაა აღნიშნული. იგივე ეხება წამლებსაც. ვადაგასულმა წამლებმა ,იმის მაგივრად, რომ დაავება განკურნონ, შეიძლება იგი უფრო დაამძიმონ და გააძლიერონ.

ჯანმრთელობის აუცილებელ პირობათაგანია კვების რეჟიმის დაცვა, ანუ დღეში სულ ცოტა სამჯერ უნდა მივუჯდეთ მაგიდას და ნორმალურად დავნაყრდეთ.

სურ. 2. ფიზკულტურა ჯანმრთელობაა

ზოგიერთ ბავშვებს ჩვევად აქვთ გვიან ღამემდე ტელევიზორს უყურონ, ანდა კომპუტერს მიუჯდნენ. ეს ცუდი ჩვევაა. საათობით უძრავად ჯდომა ადამიანის ჯანმრთელობაზე ძალზედ ცუდად აისახება. ძილის რეჟიმის დარღვევა კი ორგანიზმის დასვენების მოთხოვნილებას არღვევს და მასზე ცუდ გავლენას ახდენს.

ბევრმა არ იცის, რომ მათი ცუდი ჩვევები ზიანს აყენებს არა მხოლოდ მათ, არამედ გარშემო მყოფთაც. მაგალითად: ის ვინც ჰიგიენურ წესებს ყურადღებას არ აქცევს, შეიძლება ადვილად დაავადდეს ინფექციური დაავადებით. ასეთ შემთხვევაში მისი საზოგადოებრივი ადგილებში გამოჩენა ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც საშიშია და შეიძლება ავადმყოფობა გაავრცელოს.

შემოდგომისა და ზამთრის თვეებში ფართოდ ვრცელდება გრიპისა და ანგინის გამომწვევი დაავადებები. თხლად ჩაცმა, ცივი წყლის დალევა, ცივ ამინდებში აბაზანის მიღება და გარეთ გამოსვლა შეიძლება გრიპისა თუ ანგინის საბაბად იქცეს.

არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც გრიპით ხშირად ავადდებიან. ისეთებიც არიან, რომლებიც იშვიათად თუ ავადდებიან აღნიშნულით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანთა ორგანიზმი დაავადებათა მიმართ საკმაოდ ძლიერია და ნებისმიერ დაავადებას წინააღმდეგობას უწევს.

სურ. 3. სისუფთავე ჯამრთელობის საწინდარია.

ჩვენი ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს რომელი ფაქტორები ასუსტებენ?

არასწორი კვება, ძილის რეჟიმისა და ჰიგიენის წესების დარღვევა ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარს აქვეითებს.

ჯანმრთელობის დაცვის სხვა პირობებიც არსებობს. ეს წესები უკავშირდებიან ქუჩაში გამოჩენილ სიფრთხილეს, სტიქიური უბედურებებისა, თუ ტექნოგენური ავარიების დროს ქცევის წესების ზუსტ დაცვას. ადამიანები საყოფაცხოვრებო გარემოში გაზისა და ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენების წესებს აუცილებლად უნდა იცავდნენ. საგზაო წესებისა და ტრანსპორტში ქცევის წესების დაცვაც ასევე უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვას. ყველამ უნდა შეისწავლოს თავდაცვის წესები, რომლებიც საჭიროა ავარიებისა, თუ სტიქიური უბედურებების დროს.

წესად უნდა გაიხადოთ საყოფაცხოვრება პირობებში გაზისა და ელექტრონული ხელსაწყოების სწორად გამოყენების წეს–ჩვეულებები. ბასრ და მახვილ ხელსაწყოებთან ურთიერთობისას სიფრთხილეა საჭირო:

1) გაზის დანადგარი, თუ იგი ჩართულია, არ შეიძლება უყურადღებოდ მიატოვოთ.

2) როცა ხელსაწყოს ელექტრონულ ხაზში რთავ, ისე უნდა დაიჭირო, რომ ხელით მის რკინის ნაწილს არ შეეხო.

ელექტრონულ დანადგარს, რომელიც ჩართულია და მუშაობს სველი ხელით არ უნდა შეეხო.

არ შეიძლება უცხო სხეულები შეჰყო ელექტრო გაყვანილობის ქსელში.

როცა ხელთ დანა ან მაკრატელი გიპყრია, არ უნდა გაიქცე.

დანა პირდახრილი უნდა გეკავოს.

არ შეიძლება მაკრატელი გახსნილი ატარო, ან მიიტანო სხვა ადგილას.

როცა რაიმეს კერავ ნემსის პირით დაკავება სახიფათოა.

1. რას შვრები იმისათვის, რომ ჯანმრთელობა დაიცვა?
2. თუ არ იცავ ჰიგიენურ წესებს, ეს რისი საბაბი შეიძლება გახდეს?
3. მათ, ვინც თავიანთ ჯანმრთელობას დაუდევრად არ ეპყრობიან, რით შეიძლება ავნონ გარშემო მყოფთ?
4. განმარტე ჯანმრთელობისათვის სპორტის მნიშვნელობა.
5. განმარტე მითითებები, რომლებიც მოცემულია რუბრიკაში „დაიმახსოვრე“.

9

თავაზიანები ვიყოთ

უფროსები ყოველთვის მოგვიწოდებენ, რომ ვიყოთ ზრდილობიანები. რადგანაც ზრდილობიანობა ძალზედ კარგი თვისებაა. შენ იცი, ზრდილობიანი ადამიანები როგორ იქცევიან? თუ წინამდებარე მოთხრობას წაიკითხავ, თავად გამოიტან დასკვანას ზრდილობიანი ადამიანების შესახებ.

ერთ მშვენიერ დღეს კლასში ძალზედ საინტერესო თემას განვიხილავდით: „ვის შეიძლება ვუწოდოთ ზრდილობიანი?“ ჩვენი განხილვის საბაბად იქცა უთანხმოება, რომელიც ჩვენს ორ თანაკლასელს შორის წარმოიშვა. ერთი დღით ადრე ჩვენმა თანაკლასელმა აზერმა თქვა, რომ სურს „დედე გორგუდის“ დასტანი წაიკითხოს, მაგრამ მას ეს წიგნი არ გააჩნია. ინჯიმ განაცხადა, რომ მათ „ დედე გორგუდის“ ეს წიგნი სახლში აქვთ. და პირობა მისცა, რომ ხვალ სკოლაში მოიტანდა.

მეორე დღეს როგორც კი სკოლში მოვიდა აზერმა ინჯის ჰკითხა, წიგნი მოიტანა, თუ არა. აღმოჩნდა, რომ ინჯის წიგნის მოტანა დავიწყებია. აზერმა ეს რომ გაიგო „„მატყუარა ხარო“, უთხრა ინჯის. ინჯის ეწყინა და ტირილი დაიწყო. ამასობაში ზარიც დაირეკა. ჩვენ ჩვენი ადგილები დავიკავეთ. მასწავლებელი კლასში შემოვიდა. ინჯი კი ჯერაც ტიროდა. მასწავლებელმა მორიგეს ჰკითხა, თუ რა მოხდა კლასში. მორიგემ ყველაფერი როგორც მოხდა, ისე უამბო. მასწავლებელმა გადაწყვიტა აზერს კითხოს თუ რატომ მოეპყრა ინჯის ასე უხეშად. აზერმა თქვა, რომ პირობის მიცემა და დარღვევა ტყუილის ლაპარაკს ნიშნავს. ტყუილის ლაპარაკი კი კარგი თვისება არა. იგი პატივს არ სცემს იმ ადამიანებს, რომლებიც ტყუილს ლაპარაკობენ.

სურ. 1. «ინებეთ, მიბრძანდით!»

მასწავლებელმა ეს მოისმინა და მას უთხრა:

- მართალია, ტყუილის ლაპარაკი კარგი თვისება არაა, მაგრამ თანაკლასელის ყველას თანდასწრების შერცხვენა და გოგონას ატირებაც არაა კარგი თვისება. ეს უზრდელობაა. ზრდილობიანი ადამიანები თავიანთ უკმაყოფილებას უხეშად როდი გამოხატავენ.

სიტყვის მიცემა და შეუსრულებლობა რა თქმა უნდა ადამიანს არ შეშვენის. მაგრამ დავიწყება მოტყუება როდია.

სურ. 2. ზრდილობიანი ბიჭები გოგონებს პატივისცემით

გამორიცხული არაა, რომ მიცემული სიტყვა შენც დაგავიწყდეს. ამ დროს რომ მატყუარა გიწოდონ რა თქმა უნდა გეწყინება.

ამის შემდეგ კი გაკვეთილი გავაგრძელეთ. იმ დღეს მასწავლებელმა ზრდილობის შესახებ სხვა ფაქტებიც მოგვიყვანა. შესვენებაზე აზერი ინჯისთნ მივიდა და უთხრა:

- მაპატიე უხეშად მოგექეცი. ეს აღარ განმეორდება.

ინჯის გაეღიმა და ყველანი მიხვდით, ეს ღიმილი რას გამოხატავდა. ზრდილობა უმაღლესი სულიერი თვისებაა. ზრდილობიანობა კი არც ისე ძნელია. ამისთვის საჭიროა, უბრალოდ, მომთმენები ვიყოთ. ზრდილობიანი ადამიანები თანამოსაუბრეს ბოლომდე უსმენენ, მას სიტყვას არ აწყვეტინებენ. და სანამ უპასუხებენ კარგად დაფიქრდებიან. თავიანთზე უფროსებს თუ ესაუბრებიან, მათ არა 'შენობით“, არამედ „თქვენობით“ მიმართავენ. არ ერევიან იმ საუბრებში, რომლებიც მათ არ ეხევათ. საერთოდ კი ზრდილობიანობას ყველა თავისებურად ხვდება. ზოგმა შეიძლება თქვას, ბიჭებისთვის ზრდილობიანობა გოგონებთან კარგ ქცევას გულისხმობს. ზოგი კი ზრდილობიანობას უწოდებს იმას, რომ უფროსებს გზა დაუთმო. სინამდვილეში თვითეული ეს აზრი სწორია. ზრდილობიანი ადამიანი ყველაფერ ამათ ასრულებს და ვინმეს მიმართ უხეშად არ იქცევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი თავისი სიტყვითა და საქციელით არავის არ აწყენინებს. ზრდილობიანი ადამიანი რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წავიდეს ,რომელ ხალხშიც არ უნდა მოხვდეს, იმ ხალხის საურთიერთო ქცევის წესებს პატივით ეპყრობა. იგი პატივით ეპყრობა როგორც თავის, ასევე სხვა ხალხის სულიერ ფასეულებებს.

1. როგორი ტექსტიდან დასკვნა გამოიტანე?
2. რატომაა საჭირო ზრდილობიანობა? დაასაბუთე შენი აზრი.
3. ჩამოწერე ზრდილობიანი ადამიანის ნიშან-თვისებები. და შემდეგ შენი ჩამონაწერი შეადარე შენი თანაკლასელების ჩანაწერებს.

10

დედამიწა ჩვენი სახლი

მატერიკები

სინათლე, სითბო და ტენიანობა აუცილებელია იმისათვის, რომ მცენარეულობამ გაიხაროს. არსებობს ასეთი გამოთქმა- მსოფლიო ოკიანე. მსოფლიო ოკიანეში დიდი ხმელეთის ნაწილები- მატერიკები და ხმელეთის პატარა ნაწილები- კუნძულები მდებარეობენ.

მათ შორის მოცულობის მიხედვით ყველაზე დიდი წყნარი ოკეანია, ყველაზე პატარა კი ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანი გახლავთ. მიუხედავათ იმისა, რომ ხმელეთი ოკეანეებისაგან გამოყოფს, ზღვებიც ოკეანების ნაწილებად ითვლებიან.

მატერიკები ყველა მხრიდან ოკეანებითაა გარემოცული. არსებობს ექვსი მატერიკი: ევრაზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ანტრაქტიდის.

სურ. 1. მატერიკები და მსოფლიო ოკეანე

ევრაზია ყველაზე დიდი მატერიკია. ყველაზე პატარა მატერიკი კი ავსტრალიაა. მატერიკებთან შედარებით კუნძულების მოცულობა ძალზედ მცირეა. ყველაზე დიდი კუნძულის ტერიტორია ავსტრალიასთან შედარებით დაახლოებით სამჯერ ნაკლებია. გრენლანდია, ახალი გვინეა, გალიმანთანი და მადაგასკარი ყველაზე დიდ კუნძულად ითვლება.

სურ. 2.

ეკვატორის ხაზი დედამიწას პირობითად ორ ნაწილად ყოფს. სიტყვა ეკვატორი „სწორად გამყოფს“ ნიშნავს. დედამიწა მუდმივად თავის ღერძის გარშემო ბრუნავს. დედამიწის ეს მოძრაობა შეგიძლია გლობუსის დახმარებით წარმოიდგინო. დედამიწის ღერძი მისივე სივცით ორად იყოფა. ეკვატორის ზემოდ არსებულ ნაწილს ჩრდილოეთ უკიდურს წერტილს, ქვემოთა ნაწილს კი სამხრეთ წერტილს უწოდებენ.

თავისი ადგილისდა მიხედვით მზის ენერგია, რომელიც მატერიკებს ეცემა თანაბარი არაა. ოკეანეები, რომლებიც მათ გარეშემოა, განსხვაბებულ თვისებებს ავლენენ. ყველაფერი ეს მცენარეულობაზე და მატერიკებზე მობინადრე ცხოველთა სამყაროზე დიდ გავლენას ახდენს. ეკვატორის მიმდებარე ტერიტორიებზე წლის განმავლობაში ერთი და იგივე კლიმატური პირობაა. სისტემატიურად კოკისპირულად წვიმს. ამიტომაც

ვიკტორიის წყლის ზამბახები

ნაძვი

საქსაული

კაკტუსი

სურ. 3. მცენარეულობა

აღნიშნულ ტერიტორიებზე მარადმწვანე ტყეები წარმოიშვა. ხეები ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან რომ აქ შუადღითაც ნახევრად ბნელა.

სურ. 4. ჟირაფი

რაც უფრო ვშორდებით ეკვატორს, ხეები მეჩხერდებიან. აქ უკვე ხშირი და მაღალი ბალახები იზრდება. და აქ აფრიკის სპილო, ჟირაფი და სხვა ცხოველები ბინადრობენ.

ყველაზე ცხელ ტერიტორიებად აფრიკის მატერიკები ითვლება. იქ, სადაც სინათლე და სითბო ჭარბობს ტენიანობა კი ნაკლებია, მცენარეთა ფოთლები უხეშდებიან და ბოლოს ეკლებად იქცევიან. ეს იმიტომ ხდება, რომ მინიმალური ტენიანობა შენინარჩუნონ.

სურ. 5. იხვისკარტა

ფოთლების გამო ხომ წყალი უხვად ორთქლდება. შენ ალბათ კაკტუსის მცენარე გინახავს. კაკტუსს მრავალი სახეობა გააჩნია. ეს მცენარე უწყლობას დიდი ხნის განმავლობაშ უძლევს. საქსაულის ხის ფესვები კი, რომელიც უდაბნოში ხარობს, ეძებს რა წყალს, მიწის სიღრმისაკენ მიისწრაფის. მისი ფესვები ისე გრძელდება, რომ თავად ხის ტანს რამოდენიმეჯერ აღემატება. რაც უფრო მეტად ვშორდებით უდაბნოს, სიცხე კლებულობს და ტენიანობა მატულობს. და რაც უფრო კლებულობს სითბო, სითბოსმოყვარულ მცენარეებს ენაცვლებიან ისეთი მცენარეები, რომლებიც სიცივეს უძლებენ. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ნაძვნარი და ფიჭვნარი.

წლის განმავლობაში ყველაზე უხვი ნალექი სამხრეთ ამერიკაზე მოდის. აქ ხშირი ტყეები გხვდება. ავსტრალია კი უფრო მშრალი კლიმატით გამოირჩევა. ავსტრალიაში ისეთი ცხოველები ბინადრობენ, რომლებსაც სხვა მატერიკებზე არ ხვდებით. კენგურუს, ველური ძაღლის დინგოსა და იხვისკარტა და სხვა საინტერესო ცხოველების სამშობლო სწორედ ავსტრალიაა.

სურ. 3. პინგვინები

ყველაზე ცივი მატერიკი ანტარქტიდაა. თოვლითა და ყინულით დაფარული ეს მატერიკი პინგვინების სამშობლოდ გვევლინება.

1. რას ნიშნავს მსოფლიო ოკეანე?
2. რომელი ფაქტორები მოქმედებენ მატერიკის კლიმატზე?
3. რით განსხვავდებიან მატერიკები და კუნძლები?
4. მატერიკების შესახებ მოიძიე ინფორმაცია სხვა და სხვა წყაროებიდან და მათი სახელები ჩმოწერე რიგობით დიდიდან მცირესაკენ.
5. რუკის ან გლობუსის მეშვეობით დააზუსტე ხმელეთი სად უფრო მეტია - ეკვატორიდან ჩრდილოეთით, თუ პირიქით– ეკვატორიდან სამხრეთიდ?
6. დააზუსტე კლიმატური პირობები მცენარეულობისა, რომლებიც 26 გვერდზეა მოცემული.
7. ერთ–ერთი მატერიკის ბუნებისა და ცხოველთა სამყაროს შესახებ ჩამოაყალიბე წარმოდგენა.

11

რატომ ყვითლდებიან ფოთლები შემოდგომაზე

შემოდგომას, როგორც წელიწადის დროს, რატომ უწოდებენ „ოქროს შემოდგომას“ ? ამ გამოთქმის წარმოშობა უკავშირდება პროცესს, რომელიც შემოდგომობით ხდება მწვანე მცენარეულობაში. იმისათვის რომ გაიგო, თუ რა პროცესია ეს, წინამდებარე ტექსტი უნდა წაიკითხო.



სურ. 1. ჩვენი პარკი შემოდგომაზე

შემოდგომობით ბუნება ძალზედ ლამაზი მოსჩანს. სიგრილე, რომელიც ზაფხულის ცხელი დღეების შემდეგ სექტემბრის თვეს მოჰყვება, თითქოსდა, მცენარეულობას კიდევ ერთხელ ანიჭებს გაზაფხულის მშვენიერებას. ამინდის აგრილება და შემოდგომისათვის დამახასიათებელი უხვნალექიანობა გამოაცოცხლებს მცენარეულობას. თუმცა გაზაფხულის თვეებთან შედარებით ეს მშვენიერება დიდხანს არ გასტანს ხოლმე. ამინდი თანდათან ცივდება და დღის ხანგრძლივობა მოკლდება. იმის გამო, რომ სითბო და სინათლე კლებულობს, ქლოროფილის **პიგმენტი***, რომელიც ფოთლებს მწვანე ფერს სძენს, იხლიჩება. და რაც უფრო მცირდება ქლოროფილის მოცულობა, ყვითელი და წითელი პიგმენტები, რომლებიც იმთავითვე არსებობენ ფოთლების შემადგენლობაში, იწყებენ წარმოჩინებას. ფოთლები თანდათანობით იცვლიან რა ფერს, წითელ-ყვითელ ფერს, ანუ ოქროს ფერს იძენენ.

ისეთი ხილეულობა, როგორიცაა კომში, ბროწეული, ფეიხუა, ლიმონი, კაკალი და თხილი, შემოდგომაზე მოდიან. ეს ხილეულობა, რომელიც ბუნებრივ პირობებში და მზის უხვ სინათლეში მოიწევიან, უაღრესად მდიდარია ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო ვიტამინებით.

გაივლის ცოტა დრო და ფოთოლცვენა იწყება. ხეთა ტოტები განიძარცვებიან და ბოლოს მთლად შიშვლდებიან. ამრიგად, ცოცხალი ბუნება მომავალი ზამთრისათვის ემზადება.

***პიგმენტი** – ნივთიერება, რომელიც ფერს იძლევა

სურ. 2. ჭირნახულის მოგროვება

ზაფხულსა და შემოდგომაზე ადამიანებიც ემზადებიან ზამთრისათვის. პურის ყანებს მკიან, ბაღ-ბოსტნებიდან მოწეულ ჭირნახულს აბინავებენ. შინაური ცხოველებისთვის თივას იმარაგებენ. შემოდგომაზე რიგი ცხოველებიც აგროვებენ საკვებს. ჭრიჭინობელასა და ჭიანჭველის ამბავი თუ გაგიგონიათ? მაშინ, როცა ჭრიჭინა მთელი ზაფხულის განმავლობაში დახტოდა და მღეროდა, ჭიანჭველა თავის თავზე მძიმე ხორბლის მარცვლებს ბუდეში ეზიდებოდა. იგი ზამთრისათვის ემზადებოდა. როცა ზამთარი დადგა, უმწეოდ დარჩენილი ჭრიჭინა ჭიანჭველას მიადგა კარზე და თავშესაფარი სთხოვა. ეს ძალზედ ჭკუისსასწავლებელი ამბავია. მართალია, მისი გმირები ჭრიჭინა და ჭიანჭველაა, ეს ადამიანებსაც ეხებათ.

სექტემბერი შემოდგომის თვედ ითვლება. თუმცა სინამდვილეში ზაფხული 23 სექტემბრამდე გრძელდება. ჩვენი სამშობლოს ბუნება უაღრესად ლამაზია. მსოფლიოში ისეთი ქვეყნები არსებობენ, სადაც წლობით არც წვიმს და არც თოვს. აზერბაიჯანში კი, წელიწადის ყველა დროება ლამაზია. გაზაფხულზე ბარაქიანად წვიმს. ჩვენი მიწა ზაფხულობით მზის ენერგიას ბლომად ისრუტავს. რადგანაც კავკასიაში მდებარე ქვეყნებს შორის მზის სითბო და სინათლე ყველაზე მეტად ჩვენი ქვეყნის წილში მოდის. ამიტომაც მას მზიურ აზერბაიჯანს უწოდებენ.

1. რით განსხვავდება შემოდგომა წელიწადის სხვა დროებისაგან?
2. რით გავს და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან გაზაფხული და შემოდგომა?
3. რატომ იცვლიან ფერს ფოთლები შემოდგომაზე?
4. მწვანე ფოთოლი ჩაყავი სპირტიან ჭიკაში და დააკვირდი. ცდის შედეგი რვეულში მოინიშნე.
5. რას უკავშირდება ის, რომ აზერბაიჯანის ბუნება ეგზომ მდიდარია?
6. დაწერე ესე სათაურით „ შემოდგომა ჩემს სამოსახლოში“

12

ხის დასარგავად მივდივართ

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მრავალი პარკი და ბაღნარი განაშენდა. რატომ ცდილობენ ადამიანები, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას რაც შეიძლება მეტი სიმწვანე იყოს? წინამდებარე ტექსტში მოყვანილია მაგალითები, რომელთა მიხედვითაც ამის მიზეზსა და ხეთა დარგვის წესებს გაეცნობით. ყოველივე ამის ცოდნა სასარგებლოა. ისწავლე, რომ შენც მიიღო მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში.

სურ. 1. მივდივართ სასარგებლო საქმის საკეთებლად.

ერთხელ მასწავლებელმა გვითხრა, მოემზადეთ, მომავალი კვირის ბოლოს ხის დასარგავათ უნდა წავიდეთ. ჩვენი ქალაქის ირგვლივ ახალი მწვანე ზოლი უნდა განაშენდეს. და ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში. თბილად და მოხერხებულად ჩაიცვით. ხელთათმანებიც იქონიეთ, რამეთუ მიწაში მოგვიწევს ხელებით მუშაობა. როცა საქმე მიწასთან გაქვს, აუცილებელია ხელთათმანებიც იქონიო.

როგორც იქნა ის დღეც დადგა, რომელსაც ველოდით. თანაკლასელები შევიკრიბენით. სანამ გზას გავუდგებოდით მასწავლებელმა გვითხრა.

- შორეულ წარსულში ჩვენს პლანეტაზე უფრო მეტი გამწვანება იყო, ტყეებს უფრო მეტი ფართობი ეკავათ. მრავალი წლის განმავლობაში ადამიანები ჩეხდნენ ხეებს, რათა ავეჯი დაემზადებინათ და ქაღალდი ეწარმოებინათ. სიმწვანის მოსპობამ ადამიანის სიცოცხლე საფრთხის წინაშე დააყენა. ამიტომაც ადამიანები ცდილობენ, რომ გამწვანება აღადგინონ. ისინი ამ მიზნით ახალ ტყის ზოლებსა, ბაღნარებსა და პარკებს აშენებენ. იმისათვის, რომ დედამიწაზე სიცოცხლე გაგრძელდეს, აუცილებელია მეტი გამწვანება. რადგანაც ჟანგბადი, რომელიც აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის, ჰაერის შემადგენლობაში დღითი დღე მცირდება. მცენარეულობა მზის სინათლის

სურ. 2. ახლად დარგული ხეები

სურ. 3. მწვანე ზოლი

მოქმედების შედეგად ჟანგბადს გამოყოფს. თითოეულმა ჩვენთაგანმა თითო ხე რომ დარგას, სიმწვანეც მოიმატებს. და სიმწვანე თუ მოიმატებს, ჰაერში, რომელსაც ჩავისუნთქავთ, ჟანგბადის წილიც მეტი იქნება.

ამიტომაც საჭიროა ხეებს გავუფრხილდეთ. ერთი ხის მოჭრა ერთი სიცოცხლის მოსპობას უდრის. ეს ასეა ,რადგანაც ხესაც სიცოცხლე გააჩნია.

მასწავლებელმა ქალაქ გარეთ გაგვიყვანა. აქ მრავალი ადამიანი ირეოდა. ყველა ხეს რგავდა. წინასწარ გათხრილ ორმოებში რგავდნენ და მიწას აფარებდნენ. იქ ჩვენც გავეცანით ხის დარგვის წესებს.

ორმოში ცოტა რბილ მიწას ჩაყრი, ხის ფესვებს მასზე დააჯენ და მიწით დაფარავ. ამას ორნი თუ გააკეთებენ უკეთესი იქნება. ერთი ხეს დაიკავებს, მეორე კი ხის ფესვებს მიწით დაფარავს. ფესვებს შორის სიცარიელი არ უნდა დარჩეს. მათ არც მკრივი მიწა მოუხდებათ. ხის ფესვების დასაწყისი მიწის ზემოთ არ უნდა დარჩეს და საერთოდ არ უნდა ჩანდეს.

მიწაყრილი ხელებითა და ფეხებით რბილად უნდა დავტკეპნოთ. ზემოთა ფენა შეიძლება უფრო მკვრივადაც კი დაიტკეპნოს. როგორც კი ხე დაირგვება, დაუყუნებლივ უნდა მოირწყას. თუ ქარიანი ამინდია, სასურველია, ხის მახლობლად სარი ჩავარჭოთ და ხე მასზე დავამაგროდ, რომ ქარმა არ წააქციოს. ცხელ ამინდებში ხე ხშირად უნდა მოირწყას. ნორმალურ პირობებში კი სულ ცოტა, კვირაში ერთხელ საჭიროებს მორწყვას.

უფროსებს საკმაოდ დავეხმარეთ. ქალაქ გარეთ გასვლა საინტერესოდ აღმოჩნდა. ორშაბათს როცა სკოლაში მოვედით, ჩვენი საქმიანობის შესახებ მეგობრებს ვუამბეთ. მომდევნო გაკვეთილებზე საინტერესო პროექტები შევქმენით იმისათვის, რომ გამწვანება დაცული იყოს. მასწავლებელმა პირობა მოგვცა, რომ ხშირად წაგვიყვანდა ხის დასარგავად.

1. რომელი წესები უნდა დავიცვათ კოლექტიურად ქალაქგარეთ გასვლის დროს?
2. რატომ აშენებენ ადამიანები სულ ახალ-ახალ მწავე ზოლებს?
3. რა ვმნიშნელობა აქვს მცენარეულ საფარს ადამიანის სიცოცხლისათვის?
4. რაა მიზეზი იმისა, რომ დედამიწაზე სიმწვანე მცირდება?

13

წვიმის წვეთის მოგზაურობა

როგორ მოძრაობს წყალი ბუნებაში? როგორ გადადის იგი ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში? გინდა ეს ყველაფერი იცოდე? თუ წვიმის წვეთის თავგადასავალ წაიკითხავ, ყოველივე ამის პასუხსაც იპოვი.

წვიმის წვეთი დედამიწისაკენ მიდიოდა. ამინდი წყნარი იყო, ქარი არ ქროდა. მისი მსგავსი მრავალი წვიმის წვეთი მოექანებოდა დედამიწისაკენ, ერთმანეთს გვერდს უვლიდნენ და ნარ–ნარად წვიმდნენ. ბოლოს ისიც მწვანე ბალახზე დაეცა. ბალახის ღერზე ჩაცურდა და ფესვებამდე ჩააღწია. გეზი დედამიწის სიღრმისკენ აიღო. მიწამ წვიმის წვეთი სიხარულით მიიღო. ისინი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. წვიმის წვეთი პირველად არ სტუმრობდა დედამიწას.

როგორც კი მიწაზე დაეცა, მას თიხა შეერია და აამღვრია. წვიმის წვეთი ამის გამო სულაც არ ღელავდა. რადგანაც ამის შემდეგ რა მოხდებოდა კარგად იცოდა. იგი ამღვრეული იყო და დედამიწის სიღრმისაკენ მიდიოდა რომ უცებ ჩხრიალის ხმა მოესმა. სადღაც ახლოს მიწისქვეშა წყლები იყო. წვიმის წვეთს გაეხარდა. ეს ნაკადი მასავით წვეთების ერთობლიობის შედეგად იყო წარმოშობილი. იგიც შეერია წვეთებს, რომელთაც სათვალავი არავინ იცოდა. არ ფიქრობდა ,თუ საით მიდიოდა. რადგანაც ამ გზითაც მარავალჯერ იყო ნავალი. ისე მრავალჯერ, რომ არც ახსოვდა, რამდენჯერ იყო ამ გზით წასული. მეგობრებთან ერთად საუბარ–საუბარში გრძელი მანძილი დაფარეს. უეცრად სინათლემ მოსჭრა თვალი. დინებ–დინებით დედამიწის ზედაპირზე ამოსულიყვნენ. მათ წინაშე უკიდეგანო ზღვა გაშლილიყო. წვიმის წვეთი ზღვის წყალს შეერია. ერთ ხანს შეყოვდა და ზღვის ფსკერზე მონარნარე ხავსებს თევზებს დაუწყო ყურება. ღიმილით გახედა ბავშვებს, რომლებიც ზღვაში ბანაობდნენ. ისე გაერთო, რომ ვერც კი გაიგო, რამდენი ხანი გასულიყო. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა დაინახა, რომ მზის სიცხეში კვლავ წვეთად ქცეულიყო და ცისკენ მიიწევდა. არც ამჯერად გაოცებულა. იგი ამ გზასაც კარგად იცნობდა. რაც უფრო ზემოთ ადიოდა, ჰაერი მით უფრო ცივდებოდა.

სურ. 1.

სურ. 2.

სურ. 3.

სურ. 4.

წვიმის წვეთებს შესცივდათ და კვლავ ერთად შეგროვება დაიწყეს. ირგვლივ მყოფმა წვეთებმაც იგრძნეს სიცივე და მათაც იწყეს ერთად შექუჩება. და ბოლოს ყოველივე ეს ღრუბლად იქცა. ქარმა დაუბერა და ღრუბელი ზღვიდან ხმელეთისაკენ წაიღო. ამინდი რაც უფრო ცივდებოდა, წვეთები ერთმანეთს მით უფრო მჭიდროდ ეკვროდნენ, ღრუბელიც სივდებოდა. ბოლოს ღრუბელმა ვეღარ გაუძლო და წყლად იქცა და კლავ წვიმა დაიწყო. წვიმის წვეთი კლავ დედამიწისაკენ მოექანებოდა. ამჯერად ძლიერი ქარი ქროდა. ისეთი ძლიერი, რომ თითქოს წვიმის წვეთს ეუბნებოდა ,არ დაგაცლი დედამიწაზე დაშვებას. წვიმის წვეთი კი ქარს არ ეპუებოდა და მიწისაკენ მოჰქროდა. ოღონდაც დედამიწამდე მიეღწია, მერე დაწყნარდებოდა. მერე კლავ მიწას შეერევა და დინებას გაუყვება. ამჯერად შეიძლება გზამ ზღვისკენ კი არა, გრილი წყაროსაკენ წაიყვანოს. იყო შემთხვევები, როცა წვიმის წვეთის გზა წყაროს მიადგებოდა ხოლმე. არაერთხელ აჰყოლია წყაროს ხმას და მასაც ნაზად უმღერია. ცივ ამინდებში იგი სეტყვად თუ თოვლადაც ქცეულა. თანაც მრავალჯერ!
  წვიმის წვეთმა წელიწადის დროთა ხასიათი კარგად იცოდა. ახლა შემოდგომა იდგა. ამინდი ამიტომაც ასეთი ქარიანი იყო. ის კი ქარის ფრთებით ჩიტივით მოფრინავდა.

1. როგორ მოხდა რომ ღრუბელი წარმოიქმნა.
2. როგორ იქცა ღრუბელი წვიმად?
3. წყლის წვეთები რა დროს იქცევიან თოვლად?
4. რას უკავშირდება ბუნებაში წყლის მოძრაობა?
5. რა მოხდებოდა, წყალს რომ ბუნებაში არ ემოძრავა?
6. ერთმანეთთან რა კავშირშია დედამიწაზე მდინარეების წარმოქმნა და ბუნებაში წყლის მოძრაობა? აზრი ჩამოაყალიბე.
7. დახატე სქემა, რომელიც გვიჩვენებს წვიმის წვეთის მოძრაობას.

14

რა არის ატმოსფერო?

რატომ არ იკარგება წყალი, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან აორთქლდება? იგი ხელახლა რატომ უბრუნდება დედამიწას? ხომ საინტერესო შეკითხვაა? ამ ტექსტს თუ წაიკითხავ, გაიგებ თუ რატომ ხდება ასე.

თვითმფრინავს „საჰაერო გემსაც“ უწოდებენ. რადგანაც ჩვენ სინამდვილეში უკიდეგანო ოკეანის ფსკერზე ვცხოვრობთ. ეს გახლავთ ჰაერის ოკეანე. მას სხვანაირად **ატმოსფეროს*** უწოდებენ. ატმოსფერო დედამიწას გამჭვირვალე საბანივით ეკვრის. ატმოსფერო შედგება სხვადასხვა გაზებისაგან, წყლის ორთქლისა და მტვრის ნაწილაკებისაგან. დედამიწის ზედაპირიდან აორთქლილი წყალი თავს იყრის ატმოსფეროში. მერე კი ღრუბლად და ნალექად იქცევა.

ატმოსფეროს ძალზედ საინტერესო თვისებები გააჩნია. წყლის ოკეანისაგან განსხვავებით ჰაერის ოკეანეში მრავალი რამ პირიქითაა. ადამიანი წყალქვეშ რამდენიმე წუთზე დიდ ხანს რომ დარჩეს, დაიღუპება. წყლის სიღრმე უფრო ბნელი და ცივია. რამდენიმე ასეული მეტრის სიღრმეში კი უკუნი სიბნელეა. წყალში ჩავარდნილი არსება დაღრჩობის შიშით წყლის ზედაპირისაკენ ილტვის. წყალქვეშ მხოლოდ ის ადამიანები ძლებენ დიდხანს, რომელთაც სპეციალური ხელსაწყოები და მომზადება გააჩნიათ. ატმოსფეროში კი პირიქითაა. ადამიანი ჰაერის ოკეანის სიღრმეში თავს უფრო კარგად გრძნობს. რაც უფრო ზემოთ მიიწევს, მით უფრო ძნელად სუნთქავს. ამიტომაც მაღალი მთის მწვერვალზე ასვლა ჩვეულებრივი ადამიანებისთვის ძალზედ ძნელია. მაღალ მწვერვალებზე მხოლოდ ალპინისტებს შეუძლიათ ასვლა. ისინი არიან სპეციალურად მომზადებული სპორტსმენები, რომელთაც შეუძლიათ მაღალ მწვერვალზე ჟანგბადის უკმარისობას გაუძლონ.

სურ. 1. მეტეორიტი დედამიწას უახლოვდება

ატმოსფეროს დედამიწისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჟანგბადის გაზი, რომელიც ატმოსფეროშია, აუცილებელია იმისათვის, რომ ცოცხალმა ორგანიზმმა ისუნთქოს. ის, რომ ქვემოთ ჰაერი ბლომადაა, საჭირო პირობებს ქმნის დედამიწაზე სიცოცხლის ნორმალური განვითარებისათვის. ატმოსფერო დღისით დედამიწის ზედაპირს ზედმეტი სიმხურვალისაგან იცავს. ღამით კი მის ძლიერ გაციებას უშლის ხელს.

***ატმოსფერო** – ბერძნული სიტყვაა, ორთქლსა და სფეროს ნიშნავს.

ღამით ცაში მფრინავი მბრწყინავი წერტილები თუ გინახავთ? ადამიანს ჰგონია, რომ ეს ვარსკლავია, რომელიც თავის და-ძმებს გამოეყო და დედამიწისაკენ მოჰქრის. მაგრამ სინამდვილეში ეს ვარსკვლავი როდია. ციურის სხეულია, რომელსაც მეტეორიტი ეწოდება. ყოველდღიურად კოსმოსიდან მილიონობით ციური სხეული მოჰქრის დედამიწისაკენ. ამ სხეულებს, რომლებიც დიდი სისწრაფით მოჰქრიან ატმოსფერო აკავებს. იშვიათია შემთხვევა, როცა მეტეორიტის ნატეხები დედამიწის ზედაპირამდე აღწევენ. ესეიგი, ატმოსფერო დედამიწას კოსმოსიდან მისკენ წამოსული ციურის სხეულების დამანგრეველი დარტყმისგანაც იცავს.

სურ. 2. გასეირნება ჰაერის ბუშტით

ატმოსფერო რომ არ ყოფილიყო, მდინარეები, ზღვები, ტბები მიწისქვეშა წყლები და ყინულოვანი ფენებიც არ იქნებოდა. ატმოსფეროს შემადგენლობა სტაბილური როდია. საწარმოების საქმიანობა და ავტომობილების მოძრაობის შედეგად აორთქლილი გამონაბოლქვი ატმოსფეროს აბინძურებს. გაბინძრებული ატმოსფერო კი თავის მხრივ ცუდ გავლენას ახდენს ცოცხალ არსებათა სამყაროზე.

გინახავს თბილ ამინდებში გაბერილი ჰაერის ბუშტები როგორ დაფრინავენ? ეს იმიტომ ხდება რომ ჰაერი რაც უფრო თბება,მით უფრო მსუბუქდება და მაღლა მიიწევს. წარსულში ადამიანები ჰაერის ამ თვისებას იყენებდნენ და უდიდეს ბუშტებს ამზადებდნენ. აღნიშნული ბუშტები მათთვის თითმფრინავის როლს ასრულე აააასსასასრულებდა თთათამთშობდნენასრულებდა.

1. რატომაა, რომ ადამიანი ღრმა წყალში ვერ ძლებს?
2. რატომაა, რომ ადამიანი რაც უფრო მაღლა ადის, სუნთქვა უჭირს?
3. პლანეტა დედამიწისათვის ატმოსფეროს რა მნიშნელობა გააჩნია?
4. ცოცხალ არსებათა ცხოვრებაში ატმოსფეროს რა როლი აქვს?
5. რა კავშირია ოკეანესა და ატმოსფეროს შორის? აღწერე ეს კავშირი.
6. დაასაბუთე გაბინძურებული ატმოსფეროს ცოცხალ არსებათა სამყაროსადმი უარყოფითი გავლენა.

15

როგორ წარმოიქმნება ქარი?

რატომ არ ჩერდებიან ღრუბლები ერთ ადგილას? რა ამოძრავებს მათ? აი ეს დამოკიდულია იმ პროცესებზე რომელიც ატმოსფეროში ხდება. წინამდებარე ტექსტში სწორედ ამ პროცესზეა ლაპარაკი.

ჰაერი მუდმივად მოძრაობს და ღრუბლებს ერთი ადგილიდან მეორე ადგილისაკენ მიერეკება. რატომ მოძრაობს ჰაერი?

ყურადღება მიგიქცევია, ზამთარში, როცა კარს გამოაღებ ცივი ჰაერი ოთახში შემოიჭრება ხოლმე. მაშინ, როცა ცივი ჰაერი ოთახში დაბლიდან შემოდის ცხელი ჰაერი მაღლა იწევს და ღია კარიდან გადის. ასე იმიტომ ხდება რომ თბილი ჰაერი მსუბუქია. ქარიც ასე წარმოიქმნება. მზე დედამიწის ყველა მხარეს ერთნაირად არ ათბობს. ამიტომაც ჰაერი ზოგან თბილი ზოგან კი ცივია. ცივი ჰაერი თბილი ადგილებისაკენ მიედინება. და თბილ ჰაერს ავიწროებს. ამის შედეგად თბილი ჰაერის მასები ამოძრავდებიან და ადგილს მოინაცვლებენ. აი, ასე წარმოიქვმნება ქარი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს „ქარების ქალაქი“ ეწოდება.

ბაქო კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ზაფხულში მზის სხივები დედამიწასა და წყალსაც ერთნაირად ათბობენ. მაგრამ მიწა წყალთან შედარებით უფრო მალე თბება. ახლა მოდი, დავფიქრდეთ: მიწა წყალზე მალე თბება. ესე იგი ჰაერის ნაკადი, რომელიც დედამიწის ზედაპირზეა, უფრო თბილია, ვინემ წყლის ზედაპირზე არსებული ჰაერი. ასეთ შემთხვევაში ქარი იქითკენ ქრის, საითაც თბილი ჰაერია. ანუ ზღვიდან ხმელეთისკენ ქრის და სიგრილე მოაქვს. წყალი მიწასთან შედარებით გვიან თბება და გვიან ცივდება. საღამოებით როდესაც წყალი ჯერ კიდევ თბილია, მიწა უკვე ცივია. ამ დროს ქარიც იცვლის მიმართულებას და ხმელეთიდან ზღვისკენ ქრის. ასეთ ქარებს **სანაპიროს ქარებს** უწოდებენ.

სურ. 1. დღე

სურ. 2. ღამე

ქარის სიძლიერე მის სისწრაფეზეა დამოკიდებული. ანუ ჰაერის მასები რაც უფრო სწრაფად მოძრაობენ, ქარის ძალაც შესაბამისად ძლიერია. ადამიანები სარგებლობენ რა ქარის ენერგიით, ელექტრო ენერგიას იღებენ. ქარის ენერგიის დანადგარები ჩვენს რესპუბლიკაშიც არსებობს. მეცნიერება, რომელსაც **მეტეოროლოგია** ეწოდება, წინასწარ იუწყება, თუ როგორი ამინდი იქნება.

1. ცივ ამინდში კარს რომ გამოვაღებთ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?
2. რა სარგებელი მოაქვ ქარს?
3. გააკეთე ქაღალდის ბზრიალა და მისი მეშვეობით ქარის მიმართულება დაადგინე.

ბუნების სახიფათო მოვლენები

16

ზოგჯერ ბუნებაში ისეთი მოვლენები ხდება, რომელსაც დიდი ნგრევები მოჰყვება ხოლმე. ზოგი ამას «ბუნების განრისხებას» უწოდებს, ზოგი კი «ბუნების თავნებობას». სინამდვილეში კი ეს ბუნებრივი ხასიათის საგანგებო მდგომარეობაა. მაშ მსგავსი სიტუაციების წარმოქმნა რომელ ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება?

საგანგებო სიტუაცია განსაკუთრებული მდგომარეობის წარმოქმნას უკავშირდება. ასეთ დროს შეიძლება სერიოზული ზიანი განიცადოს ადამიანების ჯანმრთელობამ, მათმა მეურნეობამ და ბუნებრივმა გარემომ. ირღვევა საზოგადოების ნორმალური ცხოვრებისეული რიტმი.

მიწის ღრმა ფენებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სხვადასხვა პროცესები. ამ პროცესების შედეგად ზოგჯერ ხდება ისეთი მოვლენები, როგორიცაა მიწისძვრა, ან ვულკანის ამოფრქვევა.

მიწის ზედა ფენებში მიდინარე პროცესებმა კი შეიძლება წარმოშვასისეთი მოვლენები, როგორებიცაა მეწყერი, ნიაღვარი, ზვავი, მტვრის ნამქერი და სხვა.

მიწის ატმოსფეროში მიმდინარე პროცესები კი ზოგჯერ ისეთი დამანგრეველი მოვლენების საბაბი ხდებიან, როგორებიცაა ქარიშხალი, ქარბორბალა და ტაიფუნი. ასეთ მოვლენებს თან ახლავს ძლიერი ქარი.

ქარიშხალი და ძლიერი ტალღები ისეთ სახიფათო მოვლენათა რიგს განეკუთნებიან, რომლებიც ზღვაში ხდებიან. ასეთი მოვლენებიც ძლიერი ქარის შედეგად წარმოიქმნებიან. ბუნებრივი მოვლენა კი, რომელსაც ცუნამი ეწოდება, მიწისძვრის შედეგად ოკეანეში წარმოქმნილი უზარმაზარი ტალღებია.

წყალთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები მხოლოდ ოკეანებსა და ზღვებისთვის როდია დამახასიათებელი. როცა მდინარეებში წყლის დონე მეტისმეტად მატულობს, წყალდიდობა ხდება და ნაპირებზე გადმოსული წყალი ნათესებსა და სავარგულებს ტბორავს. ასეთ შემთხვევაში ბუნებაცა და ადამიანებიც საკმაო ზიანს განიცდიან.

ბუნებრივ ხანძარსაც შეუძლია წარმოშვას საგანგებო სიტუაცია. ტყის მასივების ხანძრები და ხორბლის ყანების მოულოდნელი აალება ასეთ მოვლენათაგანია.

დედამიწაზე დიდი მეტეორიტის ჩამოვარდნა კი კოსმოსთან დაკავშირებული ბუნებრივი მოვლენაა.

საგანგებო სიტუაციებს, რომლებსაც დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნიათ, სტიქიურ უბედურებას უწოდებენ. სტიქიური უბედურებები ტექნოგენური ავარიების მიზეზადაც კი შეიძლება იქცნენ. სტიქიური უბედურებების დროს შეიძლება მოხდეს ავარიები დიდ ქარხნებში, ნავთობ გადამამუშავებელ საწარმოებში, რკინიგზებასა და სხვა ადგილებში. ასეთ შემთხვევაში ზიანი, რომელსაც გარემო და საზოგადოება განიცდის, ერთი ათად იზრდება.

სურ. 1. საგანგებო ბუნებრივი მოვლენები: მეწყერი. მიწისძვრა. ტორნადო

1. რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ბუნებასა და ადამიანებსბუნებრივმა დამანგრეველმა მოვლენებმა?
2. ვენის დიაგრამაზე შეადარე ერთმანეთს მიწისძვრა და მეწყერი, ცუნამი და წყალდიდობა.

17 როგორ იცვლებიან წელიწადის დროები?

როცა დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზაფხულია, მაშინ სამხრეთ ნახევარსფეროში ზამთარი დგას. იცი ეს ასე რატომ ხდება? წინამდებარე თავში ამ საიდუმლოებაზეა საუბარი. წაიკითხე და აღნიშნულ საიდუმლოებებს შენც გაეცანი.

როცა ზაფხული მოდის, თოვლი დნება. მინდორ-ველი მწვანედ ხასხასებს, მიდამო ჰყვავის. შემდეგ ზაფხული მოდის, მერე კი შემოდგომა დგება და ბაღ-ვენახებში ხილი მწიფს. შემოდგომას ზამთარი მოსდევს, ყველაფერი თოვლით იფარება. ასე და ამრიგად წელიწადის დროები ერთმანეთს ენაცვლებიან. რატომ იცვლებიან წელიწადის დროები?



სურ. 1. დროთა ცვალება

წელიწადის დროების მონაცვლეობას თან სდევს მდინარეთა გაყინვა, მერცხლების დაბრუნება, ფოთოლცვენა და სხვა დროული მოვლენები. თუმცა ფოთოლცვენა შემოდგომის დადგომისთანავე როდი იწყება. არც მერცხლები ბრუნდებიან გაზაფხულის დადგომისთანავე. წელიწადის დროებითანდათან ენაცვლებიან ერთიმეორეს. კლიმატიც ნელი-ნელ იცვლება და ზამთარში უკიდურესად ცივ, ზაფხულში კი უკიდურესად ცხელ ზღვარს აღწევს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ დედამიწა ოვალურია და მზის გარშემო ბრუნავს. დედამიწა მზის ირგვლივ სრული წრის შემოხაზვას 365 დღესა და 6 საათს ანდომებს. დედამიწის ორბიტა ეწოდება გზას, რომელსაც ჩვენი პლანეტა მზის ირგვლივ მოძრაობისას გადის.

სურ. 2.

დედამიწა ამავე დროს თავისი ღერძის გარეშემოც ბრუნავს. მას 24 საათი სჭირდება იმისათვის, რომ თავისი ღერძის გარეშემო სრული წრე გააკეთოს. თუ როგორ ბრუნავს დედამიწა თავისი ღერძის გარშემო, ამას შეგიძლია დააკვირდე გლობუსის მაგალითზე, რომელიც დედამიწის პატარა მოდელს წარმოადგენს. დედამიწის ზემოთა ნახევარსფეროს **ჩრდილოეთ ნახევარსფერო,** ქვემოთა ნახევარსფეროს კი **სამხრეთ ნახევარსფერო** ეწოდება. დედამიწის ამგვარი მოძრაობის შედეგად მის ნახევარსფეროებზე სინათლისა და სითბოს წილი მუდმივად იცვლება. იმის გამო, რომ დედამიწის ორბიტა არა მრგვალი, არამედ ოვალურია, მასსა და მზეს შორის არსებული მანძილი ყოველთვის ერთი და იგივე როდია. დედამიწა მზეს იანვარში უკიდურესად შორდება, ივლისის თვეში კი უახლოვდება.

ამჟამად შემოდგომაა. რადგანაც პლანეტა დედამიწა შემოდგომის დღე-ღამურ თანასწორობას23 სექტემბერს აღწევს. ბუნების ამ მოვლენის დროს დღე და ღამე თანაბრდება. ეს მოვლენა, ანუ დღე-ღამის გათანაბრება წლის განმავლობაში ორჯერ ხდება: გაზაფხულზე 21 მარტსა და შემოდგომაზე. მაგრამ ამ გათანაბრებათა შორის განსხვავებაც არსებობს: საგაზაფხულო თანაბრობის შემდეგ დღის ხანგრძლივობა მატებას განაგრძობს, ღამე კი კლებულობს. საშემოდგომო თანაბრობის შემდეგ კი

პირიქით, ღამის ხანგრძლივობა თანდათან მატულობს, დღის ხანგრძლივობა კი შესაბამისად კლებულობს.

სურ. 3. შემოდგომაზე

მზის სინათლე და სითბო კი, რომელსაც დედამიწა მზისგან იღებს, თანდათან კლებულობს. ამინდები დღითიდღე ცივდება. ნელ-ნელაზამთარი დგება. ტემპერატურა ისე ეცემა, რომ წყალი იყინება. მცენარეულობათა კვება ძნელდება, ძნელდება მათ მიერ წყლისა და წყალში გახსნილ ნივთიერებათა მიღება. ფოთოლცვენა იწყება, მერე კი ხეები ძილს მიეცემიან. გაზაფხულზე კი ამინდების დათბობასთან ერთად ბუნებაც იღვიძებს.

ხალხში ნოვრუზ ბაირამის ოთხშაბათები საზეიმოდ აღინიშნება. პირველი წყლის ოთხშაბათი დგება. მეორე ცეცხლის ოთხშაბათია. ამას ქარის ოთხშაბათი მოსდევს. ხალხური რწმენის მიხედვით ახლად გაღვიძებული ქარი უკვე გაღვიძებულ წყალსა და ცეცხლს აამოძრავებს. სულ ბოლო ოთხშაბათს კი მიწა იღვიძებს. ამ ოთხშაბათს ხალხში მიწის ოთხშაბათი ეწოდება.

სურ. 4. ზამთარში



სურ. 5. გაზაფხულზე

სურ. 6. ზაფხულში

ხალხში ნოვრუზ ბაირამის ოთხშაბათები საზეიმოდ აღინიშნება. პირველი წყლის ოთხშაბათი დგება. მეორე ცეცხლის ოთხსაბათია. ამას ქარის ოთხშაბათი მოსდევს. ხალხური რწმენის მიხედვით ახლად გაღვიძებული ქარი უკვე გაღვიძებულ წყალსა და ცეცხლს აამოძრავებს. სულ ბოლო ოთხსაბათს კი მიწა იღვიძებს. ამ ოთხშაბათს ხალხში მიწის ოთხშაბათი ეწოდება.

1. რა ეწოდება გზას, რომელსაც დედამიწა მზის ირგვლივ მოძრაობისას გადის?
2. რამდენ თვეს ანდომებს დედამიწა მზის ირგვლივ ერთი სრული წრის გაკეთებას?
3. რას უკავშირდება წელიწადის დროების მონაცვლეობა?
4. რვეულში აღწერე როგორ მატულობს დღის ხანგრძლივობა წელიწადის დროების ცვლასთან ერთად. შემდეგ სხვებს შეუდარე.

18

რატომაზეცალურჯი?

გაზაფხულსა და ზაფხულში ბუნება მრავალფრად ჰყვავის. თავისი ფერები გააჩნია შემოდგომასაც. ზამთარში ქათქათა თოვლი მოდის. როგორ იქმნება ბუნების ეს ფერები? ამის თაობაზე თუ დაფიქრებულხარ? ქვემოთმოყვანილ ტექსტს თუ წაიკითხავ, ნახავ, რომ ეს ერთობ საინტერესო ბუნებრივი მოვლენის შედეგად ხდება.

თუ დააკვირდები, ნახავ, რომ ბნელ ოთახში თეთრია ფერი სინათლისა, რომელიც კარის ჭუჭრუტანიდან, თუ ფარდის გვერდებიდან შემოდის. მაგრამ ჩვენ თუ ამ სინათლეს შუშის **პრიზმას*** დავახვედრებთ, მაშინ იგი ფერად სინაათლეებად დაიშლება.

როცა წვიმის შემდეგ მზე გამოანათებს, ფოთოლზე დაცემული წვიმის წვეთი მრავალფეროვნად ბრწყინავს. თუ თვალებს მოვჭუტავთ და მზეს შევხედავთ, ანდა შადრევანს მივაჩერდებით, იმავე ფერებს ვიხილავთ. თეთრი სინათლე, რომელიც პრიზმაში, წვიმის წვეთში, ან ლუსტრის შუშაში გაივლის, ტყდება და შვიდფერა ზოლს წარმოქმნის. ამგვარ ფერად ზოლებს **სინათლის სპექტრი*** ეწოდება.

სურ. 1. ცისარტყელას ვხატავთ

***პრიზმა** – მრავალსახოვანი, მრავალწახნაგა სხეული

***სპექტრი** – ფერადი ზოლი, რომელიც სინათლის სხივის პრიზმაში, ან სხვა სხივმტეხ გარემოში გაივლის

ალბათ გაგიგია ბუნებრივი მოვლენის შესახებ, რომელსაც ცისარტყელა ეწოდება. მაშინ როცა მზის სხივები წვიმის წვეთებში აისახება, ცისარტყელა წარმოიშობა. ცისარტყელაზე შვიდი ფერი თანმიმდევრულად ლაგდება: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე ცისფერი, ლურჯი და იისფერი. ეს მოვლენები, ძირითადად, გამჭვირვალე საგნებში ხდება. მაგრამ ჩვენს ირგვლივ ყველაფერი გამჭვირვალე როდია. ქვეყანაზე ისეთი საგნები სჭარბობენ, რომლებიც ფერადად მოსჩანან.



სურ. 2. მზის სხივის შუშის პრიზმაში გავლა

თეთრი სინათლე ეცემა ირგვლივ მყოფ საგნებს და ამ დროს ისინი სხვადასხვა ფერისანი მოსჩანან. რატომ ხდება ასე? ამისი მიზეზი ისაა, რომ ფოთოლი სინათლის სპექტრთაგან მხოლოდ მწვანე ფერს აირეკლავს, ანუ უკანვე აბრუნებს, დანარჩენ ფერებს კი შთანთქავს. ამიტომაა, რომ იგი მწვანედ მოსჩანს. ლიმონიც ყველა ფერს ყლაპავს და აირეკლავს მხოლოდ იმ ფერს, რა ფერადაც მოსჩანს.ის საგნები კი რომლებიც თეთრად მოსჩანან, ყველა ფერს აირეკლავენ. შავი საგნები კი ყველა ფერს შთანთქავენ.

უღრუბლო ამინდში ზეცა ცისფერი მოსჩანს. რა არის მიზეზი იმისა, რომ იგი ცისფრად მოსჩანს? როცა მზის სხივები დედამიწისაკენ მოემართება, ჰაერის ნაწილაკებს ხვდებიან და იფანტებიან. იმის გამო, რომ ამ დროს სპექტრის სხვა ფერებთან შედარებით ცისფერი უფრო მეტად იფანტება, ზეცას ცისფრად ვხედავთ.

ერთხელ გვინდოდა ბავშვებისათვის სურათის დაგვეხატა. სულ სამი ფერი გვქონდა: წითელი, ყვითელი და ცისფერი. რა შეგვეძლო დაგვეხატა ამ ფერებით? ცა, უდაბნო და წითელი ყვავილები. მაგრამ ჩვენ მრავალი რამის დახატვა გვსურდა: წითელი ყვავილისთვის გვინდოდა მწვანე ფოთოლი მიგვემატებინა, უდაბნოში აქლემები დაგვეხატა... სამი ფერით ყოველივე ეს როგორ უნდა გვექნა? ამაში მასწავლებელი დაგვეხმარა. მან გვითხრა, იმისათვის, რომ სხვა ფერებიც მივიღოთ, ჩვენს ხელთ არსებული ფერები ერთმანეთს შევურიოთ. როცა ყვითელი და ცისფერი ერთმანეთს შევურიეთ, მწვანე ფერი მივიღეთ. წითელი ყვავილის ფოთოლი შევაფერადეთ. მერე წითელი და მწვანე ფერები შევურიეთ ერთმანეთს. ყავისფერი გამოვიდა. წითელი და ყვითელი რომ შევურიეთ, ნარინჯისფერი მივიღეთ. მივხვდით, რომ ამგვარად ნებისმიერი ფერის მიღება და ნებისმიერი სურათის დახატვა შეგვეძლო.

*არსებული – ნივთი, ნივთიერება

1. თეთრი ფერი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, რომელი ფერების შენარევია?
2. ცისარტყელაზე ფერები რომელი თანმიმდევრობით ლაგდება?
3. რატომ მოსჩანან საგნები სხვადასხვა ფერად?
4. რა არის მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთი საგანი შავად მოსჩანს?
5. შეურიე ფერები და სხვადასხვა ფერები მიიღე. ცდის შედეგი რვეულში ჩაწერე.

19

ჰორიზონტის თვისებები. გეგმა

პლანეტა დედამიწა ჩრდილოეთ, სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებად იყოფა. რის საფუძველზე წარმოიქმნა ამგვარი დაყოფა? ეს რომ იცოდე, ამისათვის საჭიროა, ქვემოთ მოყვანილი ტექსტი ყურადღებით

როცა დილ-დილობით მზე გამოჩნდება, ადამიანს ჰგონია, რომ იგი თანდათან ზემოთ იწევს. შუადღით მზე ცის ტატნობზეა. მერე კი თანდათან დაბლა დაშვებას იწყებს. სინამდვილეში მზე არც მაღლა იწევს და არც დაბლა ეშვება. იმის გამო რომ დედამიწა განუწყვეტლივ მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო, ადგილი, საიდანაც მზე მოსჩანს, მუდმივად იცვლება. დედამიწის იმ მხარეს, რომელიც მზისკენაა შებრუნებული, დღეა, საპირისპირო მხარეს კი-- ღამე.

სურ. 1. ცდას ვატარებთ

ჩინეთის დედაქალაქი პეკინი და ამერიკის ქალაქი ნიუ-ორკი, შეიძლება ითქვას, რომ დედამიწის საპირისპირო წერტილებში მდებარეობენ. ამიტომაც როცა ერთგან დღეა, მეორეგან ღამეა. ცის ზღვარს, რომელიც ხმელეთთან, ან წყალთან შერწყმულივით მოსჩანს, **ჰორიზონტი** ეწოდება. როცა დილით ოდნავ ინათებს, მზე ჰორიზონტის ხაზზე გამოჩნდება ხოლმე. საღამოთი კი კვლავ ჰორიზონტის ხაზს ქვემოთ იკარგება. იმ მხარეს, საიდანაც მზე ამოდის აღმოსავლეთი, ხოლო იმ მხარეს სადაც ჩადის, დასავლეთი ეწოდება. შუადღით მზე სამხრეთითაა გადახრილი. ჰორიზონტს მეოთხე მხარეც გააჩნია, რომელსაც ჩრდილოეთი ეწოდება. მაგრამ მზე ჰორიზონტის ამ მხარეს არასოდეს ჩნდება. მზის გარდა მხარეები შეიძლება ცისკრის ვარსკვლავის, მინდორში აღმართული ეული ხის, ანდა ჭიანჭველის ბუდის მიხედვითაც განსაზღრო. ცისკრის ვარსკვლავი ცის კაბადონზე ყველაზე მბრწყინავ ვარსკვლავთაგანია. იგი ყოველთვის ჩრდილოეთითაა. მას ჩრდილოეთის ვარსკვლავსაც უწოდებენ. ეულად მდგარი ხის ტოტები კი სამხრეთით უფრო ხშირია. ჭიანჭველების ბუდეები , როგორც წესი, ხეებისა თუ ბუჩქების სამხრეთით მდებარეობს. სადა ხელსაწყო, რომელსაც კომპასი ეწოდება, იმისთვისაა რომ ჰორიზონტის მხარეები გვიჩვენოს. მგზავრმა, რომელმაც ჰორიზონტის მხარეები არ იცის, ტყეში, მინდორში, უდაბნოში, ზღვაში, თუ სხვა ღია სივრცეში, შეიძლება ვერ იპოვოს გზა, რომელიც მას დანიშნულ წერტილამდე მიიყვანს.

სურ. 2. ჰორიზონტის თვისებები

სურ. 3. კომპასი

თუ არ იცი მხარეები, რომელიმე ტერიტორიის გეგმის შედგენა შეუძლებელია. გეგმა გახლავთ ინფორმაცია ტერიტორიის შესახებ. გეგმაში პირობითი ნიშნებით აღინიშნება სახლები,გზები, მდინარეები, ტყეები, მინდვრები, ვენახები და სხვა სივრცეები, რომელიც ამ ტერიტორიაზე არსებობს.

როგორ დგება გეგმა? რომელიმე სიმაღლიდან, მაგალითად მთის მწვერვალიდან ან მრავალსართულიანი სახლის ზემოთა სართულიდან თუ გადმოვხედავთ, ნათლად ჩანს ყველაფერი რაც იმ ტერიტორიაზეა. შეგვიძლია იქვე გავჩერდეთ და კალმისა და ქაღალდის მეშვეობით აღნიშნული ტერიტორია ავსახოთ. ქაღალდზე ქუჩები შეგვიძლია ვაჩვენოთ სწორ ხაზოვნად, მდინარეები კი ცისფერი ზოლით, რომელიც მიიკლაკნება. ასეთ გეგმაში ტერიტორიაზე არსებული ქუჩების მიმართულება, მდინარეებზე გადებული ხიდები, სკოლის, მაღაზიისა, თუ პარკის ადგილმდებარეობა ნათლად ჩანს. ასეთ აღწერას უბნის გეგმას უწოდებენ.

ამათ თუ იმ ოთახის გეგმაც შეიძლება შევადგინოთ. ამისათვის საჭიროა ჯერ შეადგინო გეგმა იმ საგნებისა, რომელიც ამ ოთახშია. სხვადასხვა საგნების გეგმა როგორ შეიძლება შედგეს? ერთობ უბრალოდ! მაგალითად ასანთის ყუთის გეგმა სულ ადვილად შეგიძლია შეადგინო. ამისათვის ასანთის ყუთი ქაღალდზე დადე და ირგვილ ფანქრით შემოხაზე შემდეგ ყუთი აიღე. ის ,რაც ქაღალდის ზედაპირზე დარჩება, ყუთის გეგმაა. ზუსტად ასევე შეგიძლია საშლელის გეგმაც დახაზო. ასანთის ყუთის გეგმა შეადარე მის გეგმას. სურათში ასანთის ყუთის კონტურები და მისი ზედაპირი მოსჩანს. გეგმაში თითქოს და მას ზემოდან დავყურებთ. ასანთის ყუთი და საშლელი პატარა საგნებია და ისინი ქაღალდის ზედაპირზე ადვილად ეტევიან. მაშ დიდი საგნების,ვთქვათ, კარადის გეგმა როგორ შეიძლება დავხაზოთ? ისინი ხომ ქაღალდის ზედაპირზე ვერ დაეტევიან. ამასაც ძალიან იოლი გზა აქვს. სანტიმეტრის ლენტი მოიმარჯვე და გაზომე კარადის სიმაღლე და სიგანე. იმისათვის რომ ქაღალდზე დაეტიოს მიღებული რიცხვი ათზე გაყავი. ვთქვათ კარადის სიმაღლე და სიგრძე ასი სანტიმეტრია. ესეიგი შენ ქაღალდზე ასის ნაცვლად სიგანე და სიმაღლე ათი სანტიმეტრითუნდა აღნიშნო.

სურ. 4. დაბის ხედი ზემოდან



სურ. 5. დაბის გეგმა

თუ გსურს, ეს ზომები შეგიძლია ათ ჯერაც შეამცირო. ასეთ შემთხვევაში ხაზის სიგრძე ერთ სანტიმეტრამდე დავა. ამას **მასშტაბს** უწოდებენ. თუ შენ ოთახში განლაგებული ავეჯის ზომები იცი, მაშინ ისინი შეგიძლია ადვილად გადაიტანო ქაღალდის ზედაპირზე. როცა სახლის მშენობლობას აპირებენ, ჯერ მის გეგმას ადგენენ ქაღალდზე. ასეთ შემთხვევაში მასშტაბს გასაფართოებლად იყენებენ.

1. რა არის ჰორიზონტის ხაზი? ჰორიზონტის მხარეები რომლებია?
2. როგორ შეიძლება განვსაზღროთ ჰორიზონტის მხარეები?
3. განსაზღვრე, რომელ მხარეს იყურება თქვენი სკოლის ფასადი.
4. რით განსხვავდება სურათი და გეგმა?
5. როგორ აისახება გეგმაში ტერიტორიაზე არსებული ობიექტები?
6. შენი აზრით, რა მიზნით იხაზება ტერიტორიის გეგმა?
7. შეადგინე თქვენი საკლასო ოთახის გეგმა.

20

მიკროორგანიზმები

ბუნებაში პატარა მწერები არსებობენ. ისინი ისეთი პატარები არიან, რომ მათ ძლივს ვარჩევთ. მათზე უფრო მცირე არსებანი თუ არსებობენ? გინდა იცოდე? მაშინ ეს ტექსტი წაიკითხე.

იყო დრო როცა ადამიანები თვალით ძნელად შესაჩმნევ ტილებს ყველაზე პატარა არსებებად მიიჩნევდნენ. თუ არა 17-ე საუკუნეში მოღვაწე ჰოლანდიელი მეცნიერის ანტონი ვან ლევენჰუკის ცნობილი აღმოჩენა ეს დიდ ხანს ასე გაგრძელდებოდა. ლევენჰუკი მატყლით ვაჭრობდა. შინ მარავალი გამადიდებელი შუშა ჰქონდა. ლევენჰუკი ამ გამადიდებელი შუშებით წყლის წვეთებს, ხის ნაფოტებსა და ფოთლებს აკვირდებოდა.



სურ. 1. ანტონ ვან ლევენჰუკი დაკვირვებას ახდენს თავისივე გაკეთებული მიკროსკოპით

მოგვიანებით მან ამ შუშებისაგან ისეთი მიკროსკოპი გააკეთა, რომელსაც დაკვირვების ობიექტის 250-300 ჯერ გადიდება შეეძლო. ერთხელ იგი გუბიდან ამოღებული წყლის წვეთებს აკვირდებოდა. და მათში მრავალი პატარ პატარა არსება შეამჩნია. მათგან ზოგი მრგვალი, ზოგი კი მოგრძო იყო. ზოგი მძიმე–მძიმედ მოძრაობდა, ზოგი კი თევზივით სხარტად დაცურავდა. ლევენჰოკმა ის რაც შუშისქვეშ შენიშნა, ფურცელზე გადაიტანა. ეს პატარა ორგანიზმები ვრცლად აღწერა და მათი სურათები დახატა. ასე და ამ გვარად ლევენჰოკმა აღმოაჩინა მიკროორგანიზმები, რომლებიც მანამდე ცნობილი არ იყო. „მიკრო“ ბერძნული სიტყვა და ძალზედ მცირეს ნიშნავს. ეს ორგანიზმები ისეთი პატარები არიან, რომ მათი შეუიარაღებული თვალით ხილვა შეუძლებელია. ბაქტერიები, რომელთა სახელიც ხშირ–ხშირად გვესმის მიკროორგანიზმებს განეკუთნებიან. მიკროორგანიზმებს ხშირად შემოკლებით მიკრობებსაც უწოდებენ.

მოგვიანებით ლევენჰუკის მიკროსკოპთან შედარებით ათასჯერ უფრო მეტი გადიდების უნარის მქონე ხელსაწყოებიც გაკეთდა. მიკროსკოპები გადიდების უნარის მიხედვით სხვადასხვანაირია. ამ ხელსაწყოებს შეუძლიათ 100 და 1000 ჯერ, ზოგჯერ კი უფრო მეტად გაზარდონ ორგანიზმები, რომელთა ხილვაც ჩვეულებრივი თვალით შეუძლებელია. მიკროსკოპების მეშვეობით ჩატარებულმა დაკვირვებამ ნათელყო, რომ უთვალავი მიკროორგანიზმი არსებობს. ისინი ფორმით ცხოვრების წესითა და გარემოზე ზემოქმედების უნარით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.





სურ. 2. ბაქტერიები მიკროსკოპის მეშვეობით ასე მოსჩანან

სურ. 3. მოსწავლეები დაკვირვების დროს

ზოგიერთი მადგანი ძალზედ სუსტია და ადვილად ნადგურდება. ზოგიერთი კი მდუღარე წყალშიც კი არ კვდება.

შინ მშობლები, სკოლაში კი მასწავლებლები ყოველთვის მოგვიწოდებენ, რომ თავი დავიცვათ ბაქტერიებისაგან. რადგანაც ზოგიერთი მიკრობი სხვა ორგანიზმებში მრავალ დაავადებას იწვევს.

თუმცა ისე ნუ იფიქრებთ, რომ მიკრობებს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიათ. ისეთი მიკროორგანიზმებიც არსებობენ, რომლებიც საჭიროა აქტიური ცხოვრებისათვის. სწორედ მათი მეშვეობით რძე მაწვნად, ყურძნის წვენი კი ღვინოდ იქცევა. ჩვენს ნაწლავებში განსაკუთრებული მიკროორგანიზმები არსებობენ. თუ არა ისინი, საჭმელის მონელების პროცესი დაირღვევა და ჩვენ ავად გავხდებით. არსებობენ განმხწნადი მიკრობებიც. მათი მოქმედება ძალზედ აუცილებელია იმისათვის, რომ დედამიწაზე სიცოცხლე გაგრძელდეს. ქვეყანაზე ყოველდღიურად რამდენი სულიერი კვდება. სწორედ ამ მიკრობების მოქმედების შედეგად მათი ნარჩენები იხრწნება და მიწას შეერევა და მცენარეთა სიცოცხლისათვის აუცილებელ საკვებად იქცევა.

1. რომელ არსებებს ეწოდებათ მიკროორგანიზმები?
2. თქვენს ცხოვრებაში რა როლი აქვთ მიკრო ორგანიზმებს?
3. იმისათვის, რომ თავი დავიცვათ დაავადების გამომწვევ მიკრობებისაგან, რა უნდა ვქნად?
4. განმხრწნადი მიკროორგანიზმები რომ არ ყოფილიყო, რა მოხდებოდა?
5. დააკვირდი მიკროსკოპის მეშვეობით მღვრიე წყალს და რასაც იხილავ, დახატე.

21

სოკოები

ამბობენ, რომ ისინი წარმოადგენენ როგორც სასარგებლო საკვებს, ასევე მათ ადამიანის მოწამლვაც შეუძლიათ. მათ შეუძლიათ, როგორც ადამიანის დაავადება, ასევე ავადმყოფობათა განკურნებაც. ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, სოკოების შესახებ ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ, ქვემოთ მოყვანილ ტექსტშიც ამ სასწაულებრივ მცენარეზე გვექნება საუბარი.

უწინ სოკოებს მცენარეულობას მიაკუთნებდნენ. თუმცა სოკო არც მცენარეა და არც ცხოველი. სოკოებს გამორჩეულად სხვა სამყაროს მიაკუთნებენ. სინამდვილეში სოკოებს როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული თვისებები გააჩნიათ. ისინი როგორც მცენარეები წყალსა და საკვებს ისრუტავენ. სოკოებში ცხოველების მსგავსად არსებობს ნივთიერება, რომელსაც ხიტინი ეწოდება. **ხიტინი** მცენარეებში არ გვხდება. ეს თვისება სოკოებს ცხოველებთან აახლოვებს.

სოკოებს წყალში, ხმელეთზე, მიწაში, ერთი სიტყვით, ყველგან ვხვდებით, სადაც კი შეიძლება ცოცხალ ორგანიზმს შევხვდეთ.არსებობენ ისეთი მიკროსკოპული სოკოები, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს. მიკროსკოპული სოკოები გამოიყენება ყველის, ლუდისა და სამკურნალო პრეპარატების დამზადების დროს.

სურ. 1.

სურ. 2.

მიკიროსკოპულ სოკოებს პურისა და ფუნთუშების გამოცხობის დროსაც იყენებენ.

ამგვარ სოკოებს **დვრიტა** სოკოებსაც უწოდებენ. სოკოები უდიდეს როლს თამაშობენ მრავალი ბალახის მძოვნელი ცხოველის საჭმლის მონელების პროცესში. სოკოების მრავალი სახეობა ადამიანებისთვის საკვებ პროდუქტს წარმოადგენს. სოკოები მონაწილეობენ მკვდარი მცენარეებისა და ცხოველების ნარჩენების გახრწნასა და დაშლაში, ამგვარვდ ანოყიერებენ ნიადაგს.

სურ. 3. ხისა და სოკოების სიმბიოზი

სოკოები, ისევე როგორც ცხოველები, მზა ნივთიერებებით იკვებებიან. ამ საინტერესო არსებებს სხვა არსებებთან ერთად, მაგალითად ხეებთან და ხავსებთან, უფრო მეტიც, ცხოველებთან თანაარსებობაც შეუძლიათ. სოკო, რომელიც მცენარის ფესვებში ცხოვრობს, ნიადაგიდან მინერალებს ისრუტავს და მცენარეს კარგ კვებაში ეხმარება. სამაგიეროდ მცენარისგან მზა ნივთიერებას იღებს. ხეებისა და სოკოების ამგვარ საზიარო თანაცხოვრებას **სიმბიოზს** უწოდებენ.

წითელთავა

მელისყურა

შამპიონი

შავი სოკო

სურ. 4. საკვებად ვარგისი სოკოები

ბუზიხოცია

მკრთალი ეზვაი

მატყუარა

მყრალი ბუზიხოცია

სურ. 5. შხამიანი სოკოები

სოკოების ზოგი სახეობა შხამიანია. ასეთი სოკოების საკვებად გამოყენება დაუშვებელია. ზოგჯერ საკვებით მოწამლაც მიკროსკოპული სოკოების მოქმედების შედეგია. როცა პური, ან ხილ–ბოსტნეული თბილ და ტენან ადგილას დიდხანს რჩება, ზედ თეთრი, ან მომწვანო ლიბრი გადაეკვრება. ეს ლიბრი სოკოებია.

პურსა და ფორთოხალში ობის სოკო

პარაზიტი სოკოს მიერ დაზიანებული კარტოფილი და თავთავი

ქერქის სოკო

მრავალი **პარაზიტი*** სოკო სამეურნეო მცენარეულობას აზიანებს. ეს კი მათ მოსავლიანობას ამცირებს. ხის ქერქზე ამოზრდილი სოკოებიც პარაზიტთა სახეობას განეკუთნება. ასეთი სოკოები სწოვენ რა ხეში არსებულ წვენს, მისი გახმობის მიზეზი ხდებიან. მეცნიერებმა მრავალი საშუალება შეიმუშავეს მცენარეებში სოკოვანი დაავადების აღკვეთის მიზნით.

ზოგიერთი პარაზიტი სოკო ადამიანის სხეულსა და ორგანიზმში ძნელად განკურნებად სოკოვან დაავადებებს იწვევს. იმისათვის, რომ დაცულნი ვიყოთ ამ სოკოებისაგან, საჭიროა ჰიგიენური წესები დავიცვათ. მიუღებელია სხვა პირთა ფეხსაცმელებისა და ტანსაცმლის ჩაცმა. ამ დროს სოკო, რომელიც ავადმყოფობას იწვევს, ერთი ადამიანიდან მეორეზე ადვილად გადადის.

1. როგორ სარგებლობენ მიკროსკოპული სოკოებისგან კვების მრეწველობაში?
2. სოკოებს მცენარეებთან რომელი თვისებები აახლოვებს?
3. სოკოები ცხოველებს რომელი თვისებებით ჰგვანან?
4. სოკოები ადამიანებისა და ცხოველების რომელ ორგანიზმებში იწვევენ დაავადებას?
5. რვეულში დაწერე პროდუქტების შენახვის წესები.

***პარაზიტი** – მცენარე, სოკო, ანუ ცხოველი, რომელიც სხვა ორგანიზმში ცხოვრობს და მის ხარჯზე იკვებება.

22

მწერები

შეიძლება გვეფიქრა რომ, მწერები რომ არ ყოფილიყო, უფრო კარგი იქნებოდა. მაგრამ ასე როდია. იმისათვის, რომ დედამიწაზე სიცოცხლე გაგრძელდეს, მწერებიც აუცილებელია. იცით რატომ? ეს თემა ნათელს მოჰფენს აღნიშნულ საკითხს. თუ წაიკითხავ მწერების მნიშნელობას გაიგებ.

ზოგჯერ ადამიანები, როგორც სიტყვა ბაქტერიას, ასევე სიტყვა მწერებსაც უარყოფითი მნიშნელობით იყენებენ. შეიძლება ეს იქიდან მომდინარეობს, რომ მწერების უმრავლესობა, რომელთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხდებით ზიანის მომტანია. ბუზები ძირითადად გაბინძურებულ ადგილებსა და სანაგვეებში ცხოვრობენ. სანაგვეებში კი მრავალი მიკროორგანიზმია, რომლებსაც ავადმყოფობის გამოწვევა შეუძლიათ. ისინი ანტისანიტარიულ პირობებში ადვილად მრავლდებიან. ავადმყოფობის გამავცელებლები ბუზს ფრთებზე, ფეხებზე და ტანზე ეკვრიან. შემდეგ ბუზი დაფრინავს და საკვებ პროდუქტებზე ჯდება. ის ავადმყოფობის გამჩენი მიკრობები, რომელიც ბუზს მოჰყვება, საკვებპროდუქტებზე გადადის. და ადამიანი, რომელიც ასეთ პროდუქტს მიიღებს,ავად ხდება.

ალბათ კოღოს იცნობთ. კოღოები ტენიან ადგილებს ეტანებიან. მალარია და ციებცხელება, რომელსაც კოღოები მიკროორგანიზმის სახით ავცელებენ, ერთი ადამიანიდან მეორეზე ადვილად გადადის, როცა კოღო დაავადებულ ადამიანს კბენს. შემდეგ კი იგივე მეორდება ჯანმრთელ ადამიანთან მიმართებაში, ჯანმრთელიც ავადდება.

ტკიპები კი ავცელებენ ისეთ უფრო სახიფათო ავადმყოფობას, როგორიც ტაუნია. არსებობს სხვადასხვა სახის ტკიპები, რომლებიც ადამიანის, ძაღლის, თუ კატის კანზე ბინადრობენ. წარსულში ტაუნი ძალზედ იყო გავცელებული და მოიცვდა რა სხვადასხვა ქვეყნებს, ასიათასობით ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდებოდა. ჩვენი ჩამონათვალიდან შეიძლება დასკვნა გავაკეთოდ რომ მწერები, მართლაც, ზიანის მომტანი ყოფილა. მაგრამ ნაჩქარებ დასკვნას ნუ გამოიტან.არსებობენ სასარგებლო მწერებიც. შენ პირველი კლასიდან, შეიძლება უფრო ადრეც იცნობდი ფუტკარს. ფუტკარიც მწერია. მაგრამ ნახე როგორი შრომისმოყვარე მწერია. ფუტკარის თაფლზე ამბობენ, ათას ერთისნეულების წამალია. თაფლი ძალზედ სასარგებლო პროდუქტია.

კალია

ციცინათელა

ჭიანჭველა

ტარაკანა

მანტისი

კოღო

სურ. 1. მწერები

სურ. 2. ფუთკრის ფიჭა

სურ. 3. აბრეშუმის ჭია
და მისი აბრეშუმის პარკი

უძველესი დროიდან იმისათვის, რომ ბუნებრივი აბრეშუმი მიიღონ, ადამიანები აბრეშუმის ჭიას ინახავენ. აბრეშუმის ჭიის კვერცხისგან ნაზი აბრეშუმის ძაფები გამოდის, რაც შემდეგ აბრეშუმის ქსოვილად იქცევა.



მწერის სხეულის
აგებულება

როცა ჩვენ სოკოებზე ვსაუბრობდით,ავღნიშნეთ, რომ სოკოებში, ისევე როგორც მწერებში, არსებობს ნივთიერება, რომელსაც ხითინი ეწოდება. მწერების სხეული ხითინის ფენითაა დაფარული. მათი სხეული 3 ნაწილისაგან შედგება: თავი, მკერდი და მუცლის არე. თავზე თვალები და ულვაშები აქვთ.

მწერებს სამი წყვილი ფეხი აქვთ. ფეხები მკერდის არეზე აქვთ მიმაგრებული. იმ მწერების ფრთები, რომლებიც დაფრინავენ, ასევე მკერდზეა შეზრდილი.

ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ბუნებაში არ არსებობს ისეთი ორგანიზმი, რომელიც საჭირო არ იყოს. ეს მართლაც ასეა. ზოგიერთი ზიანის მომტან მწერებს ანადგურებს.ზოგი მწერი ყვავილებს ამტვერიანებს. ანუ მტვრის ნაწილაკები ერთი ყვავილიდან მეორეზე გადააქვს. ყვავილების დამტვერიანება რომ არ მოხდეს, ჩვენ არ გვექნება მთავარი საკვები - ხილი. უფრო მეტიც, ზიანის მომტანი მწერებიც კი ბუნებისთვის საჭიროა. რადგანაც ისინი ზოგიერთი ფრინველის ,თევზებისა და სხვა ცხოველების საკვებად გვევლინებიან.

თაფლი ანადგურებს მიკრობებს. ფუტკრები ადამიანებს მხოლოდ თაფლს როდი აძლევენ. მათგან ვიღებთ ისეთ საჭირო ნივთიერებებს, როგორიცა ფუტკრის რძე ,ყვავილის მტვერი და სხვა.

1. როგორია მწერების აგებულება?
2. რომელ მწერებს იცნობ?
3. რატომ მივიჩნევთ ბუზს ზიანის მომტან მწერად?
4. რომელ ავადმყოფობას ავცელებენკოღოები?
5. როცა სახლს,ან სამზარეულოს არ ვასუფთავებთ, იქ ძირითადად რომელი მწერები ჩნდებიან?
6. დაწერე ესე «ფუტკრების» შესახებ.

23

თევზები

რატომაა რომ თევზები წყლის გარეშე ვერ ცხოვრობენ? ამაზე თუ დაფიქრებულხარ? თუ გინდა ამის მიზეზი იცოდე, წინამდებარე ტექსტი წაიკითხე.

ადამიანების საკვების ერთ ნაწილს თევზები წარმოადგენენ. თევზის ხორცი ძალზედ სასარგებლო საკვებია. მის შემადგენლობაში არის მრავალი ელემენტი, რომლებიც საჭიროა ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონერებისათვის. მაგალითად, თევზის ხორცში ბლომადაა იოდი. როცა ორგანიზმში **იოდის** უკმარისობაა, ადამიანი ავად ხდება. ექიმები ბავშვებს ურჩევენ, რომ თევზის ქონი მიიღონ. რადგანაც თევზის ქონი ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკურ ჯანმრთელობასა და ინტელექტუალურ განვითარებას.

რა ვიცით თევზების შესახებ? ერთი ის ვიცით, რომ თევზები წყალში ცხოვრობენ. და კიდევ ის ვიცით, რომ თევზის ხორცი ძალზედ გემრიელი საკვებია. ამიტომაც ჩვენი საკვების სიაში თევზის ნაწარმიც შედის. ბევრს თევზის ჭამა გვიყვარს. როცა ზოგიერთ თევზს შევექცევით, გვირჩევენ, რომ ყურადღებით ვიყოთ. რადგანაც ეშინიათ, ყელში **ფხა*** არ გადაგვცდეს. ზოგიერთ თევზს კი ფხა არ გააჩნია. სხვა რა შეგვიძლია ვთქვათ? აჰა! მრავალი თევზის სხეული ფულებითაა დაფარული. იმის გამო რომ, თევზის სხეული თავისებური დორბლითაა დაფარული, ისინი სხლტებიან. თევზები **ქვირითებით*** მრავლდებიან. თევზების ზოგი სახეობა ზღვაში, ზოგი მდინარეში, ზოგი კი ზღვაშიც და მდინარეშიც ცხოვრობს.

სურ. 1. თევზები აკვარიუმში

*ფხა – თევზების უმრავლესობაში არსებული წვრილი და წაწვეტებული ძვალი.
*ქვირითი – პატარა მარცვლისმაგვარი კვერცხები, რომელთაც ზღვის ბინადარნი დებენ გამრავლების მიზნით



სურ. 2. თევზები

ბევრმა თქვენთაგანმა შეიძლება იფიქროს, რომ არაფერი დარჩა, თევზების შესახებ ყველაფერი ვთქვით. ზოგიერთ თქვენთაგანს კი შეუძლია, ნათქვამს რაღაც დაამატოს. თუმცა არც ეს იქნება თევზების შესახებ ყველაფერი. რადგანაც წყლის სამყაროს ეს ბინადარნი იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ მათ შესახებ საათობით შეიძლება ილაპარაკო. არსებობს ცალკე მეცნიერება, რომელიც თევზებს სწავლობს. ამ მეცნიერებას **იქტიოლოგია** ეწოდება.



სურ. 3. თევზის ლაყუჩები

ჩვენ ფილტვების მეშვეობით ვსუნთქავთ. თევზებს კი ფილტვები არ გააჩნიათ. თევზები **ლაყუჩების** მეშვეობით სუნთქავენ. თევზს ლაყუჩები თავის არეში აქვს. ისინი ჟანგბადს ლაყუჩების მეშვეობით წყლიდან იღებენ. ამიტომაც თევზი უწყლოდ ვერ სუნთქავს. იგი ერთხანს ფართხალებს და კვდება.

იმისათვის რომ ადამიანის ორგანიზმში იოდის უკმარისობა აღკვეთონ, სუფრის მარილის წარმოებისას მასში იოდს ამატებენ.

1. რა ჰქვია ორგანოს, რომლითაც თევზები სუნთქავენ?
2. რატომ მიიჩნევენ თევზს სასარგებლო საკვებად?
3. რატომ ურჩევენ ბავშვებს თევზის ქონის მიღებას?
4. რა იცი თევზების შესახებ გარდა იმისა, რაც ამ ტექსტში წერია?

24

ცხოველთა მრავალსახეობა

დედამიწაზე ცხოველთა მრავალრიცხოვანი სახეობა არსებობს. ისინი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან. შენი აზრით, ამდენი სახეობა რომელი ნიშნების მიხედვით შეიძლება დავყოთ ჯგუფებად? მეცნიერებმაეს უკვე გააკეთეს. ის, თუ ეს როგორ შეძლეს, წინამდებარე ტექსტშია მოცემული.

თევზი წყალში ცხოვრობს. მაგრამ ისეთი ცხოველებიც არსებობენ, რომლებიც როგორც წყალში, ასევე ხმელეთზე ცხოვრობენ. ალბათ ბაყაყი გინახავს. ბაყაყი წყალსა და ხმელეთზე მცხოვრებთაგან ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. წყალსა და ხმელეთზე მცხოვრებ ცხოველებს **ამფიბიებსაც** უწოდებენ. გარდა ბაყაყებისა სალამანდრა, თრიტონი და სხვები ამფიბიებს მიეკუთნებიან. წყლისა და ხმელეთის ბინადარნიც თევზებივით ქვირითებით მრავლდებიან.

ცხოველები, რომელთაც კარგად იცნობ, მათშორის გველი, ხვლიკი, კუ და ჯოჯო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თვისებებით ამფიბიებს ჰგვანან, ამფიბიები არ არიან. ესენი მცოცავი ცხოველებია. ამ ცხოველებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეხვდებით. **მცოცავები** კვერცხს დებენ და მათი შთამომავალი იქიდან ჩნდება.

ნიანგი

თრიტონი

ღამურა

პინგვინი

მგელი

დელფინი

ზღვის ვარსკვლავი

კენგურუ

თევზი

ჭიამაია

კიბო

სოკო

მცენარე

ბაქტერია

ოქთოპოდი

ლოკოკინა

სურ. 1. არსებანი

სურ. 2. კარლ ლინეი

ბუნებაში **ფრინველებიც** ფართოდ არიან გავრცელებული. ფრინველების ერთობ განსხვავებული სახეობები არსებობენ. ფრინველებს ფრთები გააჩნიათ. ადამიანს ჰგონია, რომ ფრინველები მხოლოდ საფრენად არიან გაჩენილი. სინამდვილეში კი ფრინველების ყველა სახეობა როდი დაფრინავს. მაგალითად, როგორც სხვა ფრინველებს ფრთები პინგვინსა და სირაქლემასაც გააჩნია. თუმცა ამ ფრინველთაგან ვერცერთი ვერ დაფრინავს. იმის გამო, რომ შინაური ფრინველები– ქათამი, იხვი, ბატი და სხვა უძველესი დროიდან იქნნენ მოშინაურებული, შორ მანძილზე ფრენას გადაეჩვივნენ. ფრინველები კვერცხს დებენ და მათზე კრუხად ჯდებიან. თუმცა არსებობენ ცხოველები, რომელთაც ფრენა შეუძლიათ, მაგრამ მათ ფრინველებს არ მიაკუთნებენ. ღამურა დაფრინავს, მაგრამ ფრინვული არაა. იგი ძუძუმწოვარი ცხოველია. ძუძუმწოვრები წყლის ბინადართა შორისაც არსებობენ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ წყალში ცხოვრობს, დელფინი თევზი არაა, ძუძუმწოვარი ცხოველია. ძუძმწოვრები შვილს აჩენენ და მათ დედის რძით კვებავენ. ახალშობილი ადამიანიც დედის რძით იკვებება. ესეიგი ადამიანიც ძუძმწოვრებს განეკუთვება. თუმცა სხვა ძუძუმწოვართაგან განსხვავებით აზროვნებს, შეიმეცნებს გარემოს, ლაპარაკობს და ქმნის. გინდ მტაცებელი იყოს, გინდ ბალახის მძოვნელი, ბუნებაში უსარგებლო ცხოველი არ არსებობს. დედამიწის ზურგზე გამეფებული სიცოცხლის არსებობა დამოკიდებულია სულდგმულთა სამყაროს ურთიერთ კავშირზე.

შვედი მეცნიერმა კარლ ლინემ ბუნებრივი სულიერი არსებანი სამეცნიერო სამყაროში პირველად სამ ნაწილად დაყო. ისინი ასე დაასათაურა: მინერალები, მცენარეები და ცხოველები. ჭიაყელები, მწერები, თევზები, წყლისა და ხმელეთის ბინადარნი, ფრინველები და ძუძუმწოვრები კარლ ლინემ ცხოველთა სამყაროს მიაკუთნა. მეცნიერებმა კარლ ლინეს მეცნიერული თვალსაზრისი განავითარეს. მათ სულიერთა სამყარო ბაქტერიებად, სოკოებად, მცენარეებად და ცხოველებად დაჰყვეს. ცხოველთა სამყაროში განაცალკევეს ხერხემლიანები და უხერხემლოები. ჭიაყელები, მწერები, კიბოები და მოლიუსკები უხერხემლოებს განეკუთნა. თევზები, წყლისა და ხმელეთის ბინადარნი, მცოცავები, ფრინველები და ძუძუმწოვრები კი ცხოველთა სამყაროს მიაკუთნეს.

სულიერთა სამყარო				
ბაქტერიები	სოკოები	მცენარეები	ცხოველები	ადამიანი

***მინერალი-** სასარგებლო წიაღისეული

1. რა მსგავსებაა თევზებსა და წყლისა და ხმელეთის ბინადართ შორის?
2. რა საერთო თვისებები გააჩნიათ მცოცავებსა და ფრინველებს?
3. რატომ მიაკუთნებენ ადამიანებს ძუძუმწოვრებს?
4. ათვისებული ცოდნის მიხედვით ჯგუფებად დაყავი ცხოველები, რომლებსაც იცნობ.

25

ადამიანი შეიცნობს გარე სამყაროს

ადამიანი ხედავს, ესმის, გემოსა და სუნს გრძნობს. ეს გრძნობები ცხოველებსაც ახასიათებთ. არსებობენ ისეთი ცხოველებიც, რომლებშიც ზოგიერთი ეს გრძნობა უფრო მეტადაა განვითარებული,ვიდრე ადამიანში. მაგრამ რატომაა, რომ სულიერთა შორის მხოლოდ ადამიანი აცნობიერებს გარე სამყაროს? ეს რომ იცოდე საჭიროა, წინამდებარე ტექსტი ყურადღებით წაიკითხო.

იმისათვის, რომ გარე სამყარო გააცნობიეროს, ადამიანის გრძნობები უდიდესს როლს თამაშობს. გრძნობის ორგანოები ესენია: თვალი, ყური, ენა და ცხვირი. გარდა ამისა ამბობენ, რომ ჩვენ კიდევ ერთი გრძნობა გაგვაჩნია, რომელსაც ლამისა ეწოდება. ეს შეხებითი გრძნობაა. ადამიანი თვალებით ხედავს შემოგარენს, მათ ფერებს, ზომასა და ფორმას.

ყური ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ ირგვლივ არსებული ხმები შეიგრძნოს. ყურის საშუალებით იგი ერთმანეთისაგან არჩევს ადამიანების,ტექნიკისა და ბუნების მოვლენათა ხმებს, ისმენს მუსიკასა და სიამოვნებას განიცდის.

ენა ,რომელიც ლაპარაკის განმაპირობებელი ორგანოა ამავე დროს შეიგრძნობს გემოს. ჩვენ ენის მეშვეობით ერთმანეთისაგან ვარჩევთ მწარე,მჟავე, ტკბილ და სხვა გემოებს.

ცხვირის საშუალებით ვსუნთქავთ, ამავე დროს ვგრძნობთ სუნს, რომელიც ირგვლივ არსებობს. სუნის შეგრძნება ძალზედ მნიშნელოვანია. ამის საშუალებით ჩვენ ვგრძნობთ რა სურნელებს, ამავე დროს ზოგიერთ სახიფათო სუნსაც შევიგრძნობთ. მაგალითად, ნამწვრის სუნს თუ ვიგრძნობთ, მაშინვე ვამოწმებთ იმ ადგილებს, საიდანაც ხანძრის საშიშროება შეიძლება წარმოიშვას. მაშინ, როცა გაზის სუნს ვგრძნობთ, სიფრთხილეს ვიჩენთ. სასწრაფოდ ვაღებთ კარ-ფანჯარას და ამის შესახებ უფროსებს ვაცნობებთ.

როცა საგნებსა და არსებებს ვეხებით, ჩვენ მაგარდა რბილ ზედაპირს ერთმანეთისაგან ვარჩევთ. ცხელსა და ცივსაც ასევე შევიგრძნობთ. ყველა ეს გრძნობა ცხოველებშიც არსებობს.

სურ. 1. გემოს შეგრძნება

სურ. 2. სუნის შეგრძნება

სურ. 3. მხედველობა

სურ. 4. სმენა

მაგალითად, არწივის შორსმხედველობა და ძაღლის სუნის შეგრძნების უნარი ადამიანისას მრავალჯერ აღემატება. მრავალ ცხოველს უფრო კარგი სმენა აქვს,ვიდრე ადამიანს. მაგრამ ყველა ეს უნარი ცხოველებს ადამიანებზე უფრო ჭკვიანს არ ხდის. რატომაა ასე? ეს ასე იმიტომაა, რომ ადამიანის ნერვული სისტემა თევზების, მცოცავების, ფრინველებისა და სხვა ძუძუმწოვრების ნერვიულ სისტემასთან შედარებით უფრო კარგადაა განვითარებული. ადამიანის ტვინი სხვა სულიერთა ტვინთან შედარებით აგებულებითაც განსხვავდება და ზომითაც.

ადამიანის ტვინი მის ცხოვრებას მთლიანად განაგებს. ტვინის ნორმალური ფუნქციონირების შედეგად ადამიანი ხედავს, ესმის და აცნობიერებს მას, რაც ირგლივ ხდება. იმახსოვრებს ყოველივე ხილულს, მოსმენილსა და გაცნობიერებულს. მიუხედავათ იმისა, რომ ცხოველებიც ხედავენ და ესმით, ირგვლივ მომხდარს ადამიანებივით ვერ აცნობიერებენ.

სხვა სულიერებისაგან განსხვავებით ადამიანი თავის მოღვაწეობას თანმიმდებრულად მიზანმიმართულად გეგმავს. იყენებს სხვის გამოცდილებას. სარგებლობს სხვათა უნარითაც. გეგმავს და შემოქმედებითად ცხოვრობს. მან მხედველობის, ან სმენის უნარიც რომ დაკარგოს ,სხვა შეგრძნების ორგანოთა დახმარებით გარე სამყაროს მაინც აცნობიერებს.

1. რისი მეშვეობით შეიცნობს ადამიანი გარე სამყაროს?
2. რომელი ცხოველების წვრთნა უფრო იოლია?
3. ადამიანის რომელი მოქმედების სფერო წამოიქმნება გარე სამყაროს გაცნობიერებით?
4. სხვადასხვახილი დაჭერი და ერთ ჭურჭელში ჩაყარე. შემდეგ თვალახვეულმა გამოიცანი, რომელი ხილია, როცა ამ ნაჭრებს ცალ ცალკე მიირთმევ.
5. «ადამიანი უმაღლესი არსება» დაწერე ესე ამ სათაურით.

26

აზერბაიჯანი – ჩემიმამული

დამოუკიდებელი აზერბაიჯანი

ყველა სახელმწიფოს თავისი ატრიბუტები გააჩნია. როდის შეიქმნა ჩვენი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ატრიბუტები? თუ გინდა, რომ ამის შესახებ უფრო ფართო ინფორმაცია გქონდეს, მაშინ ეს ტექსტი წაიკითხე.

აზერბაიჯანიაჩემისამშობლოა. ამ სიტყვებს თვითოეული აზერბაიჯანელი სიამაყის გრძნობით წარმოთქვამს. მსოფლიოში არსებობენ ისეთი სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორია აზერბაიჯანისას ბევრად აღემატება. ისეთი სახელმწიფოებიც არსებობენ, რომლებსაც აზერბაიჯანზე პატარა ტერიტორია უკავიათ. სამშობლოს სიდიადეტერიტორიით როდი იზომება. სამშობლოს ადამიანი არ ირჩევს. შეიძლება საცხოვრებელი ადგილი აირჩიო, მაგრამ სამშობლოს არჩევა შეუძლებელია. თვითოეული ადამიანი, ვინც ამ მიწაზე დაიბადა და გაიზარდა, მოვალეა, რომ აზერბაიჯანის ერთგული იყოს. ის, ვინც ღალატობს სამშობლოს, იგი თავის **წინაპრებს***, მშობლებსა და თავის თავს ღალატობს.

აზერბაიჯანის **დემოკრატიული*** რესპუბლიკა 1918 წლის 28 მაისს შეიქმნა. ამ რესპუბლიკას აზერბაიჯანის სახალხო **ჯუმჰურიეთი*** ეწოდებოდა.

1918 წლის 9 ნოემბერს აზერბაიჯანის სახალხო ჯუმჰურიეთის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო ეროვნული დროშის შესახებ. ამჟამად ყოველი წლის 9 ნოემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის დღეს ავღნიშნავთ.

აზერბაიჯანის სახალხო ჯუმჰურიეთმა ასევე გადაწყვეტილება მიიღო აზერბაიჯანის სახელმწიფო გერბისა და ეროვნული ჰიმნის შესახებაც. თუმცა გერბისა და ჰიმნის დამტკიცება ვერ მოესწრო. რადგანაც შექმნიდან 23–ე თვის თავზე აზერბაიჯანის სახალხო ჯუმჰურიეთი ოკუპირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ. ჩვენი ქვეყანა 71 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩა. ამ კავშირში შედიოდნენ რუსეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი და სხვა რესპუბლიკები. 1991 წლის 18 ოქტომბერს აზერბაიჯანი გამოვიდა რა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, დამოუკიდებლობა აღიდგინა.

***წინაპარი** – დიდი პაპები
***დემოკრატიული** – ხალხის ხელისუფლებაზე დაფუძნებული
***ჯუმჰურიეთი** – რესპუბლიკა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის
დროშა, გერბი და ჰიმნი
აზერბაიჯანული სახელმწიფოს
დამოუკიდებლობის წმინდა სიმბოლოებია.

ჰეიდარ ალიევი
აზერბაიჯანელი ხალხის
საყოველთაო ეროვნული ლიდერი

სურ. 1. აზერბაიჯანის სახელმწიფო ატრიბუტები

ამიტომაც ჩვენი ხალხი ყოველწლიურად 18 ოქტომბერს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა აღიდგინა, 1992 წლის 27 მაისს მიიღო კანონი აზერბაიჯანის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ. აზერბაიჯანის სახელმწიფო მარში, რომლის მუსიკაც 1919 წელს უზეირ ჰაჯიბეკოვმა, სიტყვები კი აჰმედ ჯავადმა დაწერა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ჰიმნი გახდა.

1993 წლის 19 იანვარს კი გარკვეული ცვლილებებით დამტკიცდა გერბი, რომელიც სახალხო ჯუმჰურიეთის დროს იყო დამზადებული.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია მისი ძირითადი კანონია. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1995 წელის 12 ნოემბერს საერთო სახალხო ხმის მიცემის წესით. ჩვენი კონსტიტუციით განისაზღვრა ქვეყნის მოქალაქეთა უფლება მოვალეობანი.

ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით აზერბაიჯანის სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკაა. ჩვენს სახელმწიფოს მეთაურობს პრეზიდენტი. ხელშეუხებელია ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორია. აზერბაიჯანის რესპუბლიკის უსაფრთხოებასა და დაცვას უზრუნველყოფს მისი შეიარაღებული ძალები. ჩვენი სახელმწიფო ენა აზერბაიჯანული ენაა. ჩვენი ფულადი ერთეული აზერბაიჯანული მანათია. ჩვენს კანონებს მილლი მეჯლისი იღებს.

დამოკიდებელი აზერბაიჯანის მილლი მეჯლისი შედგება 125 დეპუტატისაგან. ამ დეპუტატებს ხალხი ირჩევს. ამიტომაც მათ სახალხო ვექილებსაც უწოდებენ.

ჩვენს კონსტიტუციაში ნაჩვენებია ის, თუ რა ზომის უნდა იყოს ჩვენი დროშა, მითითებულია მისი ფერები და მასზე ასახული ყველა ნიშანი. აზერბაიჯანის დროშის სიგანე მისი სიგრძის ნახევარს უდრის. ზომათა თანაფარდობა არ უნდა დავარღვიოთ, როცა ჩვენს დროშას ვხატავთ, ანდა ფერადი ქაღალდებისაგან ვაკეთებთ მას.

სურ. 2. სკოლის წინ

არ შეიძლება შევცვალოთ დამახასიათებელი ელემენტები, ან შევცვალოთ სიტყვები, როცა ჩვენს დროშას, თუ გერბს ვაკეთებთ, ანდა ვასრულებთ ჰიმნს.

1. როდის შეიქმნა აზერბაიჯანის სახსლხო ჯუმჰურიეთი?
2. როდის შეიქმნა ჩვენი სახელმწიფო გერბი?
3. რა აზრია ჩადებული ჩვენი სახელმწიფო ჰიმნის სიტყვებში?
4. რომელ დაწესებულებებზე ფრიალებს ჩვენი დროშა?
5. რომელ დოკუმენტებზე შეხვედრიხარ სპხელმწიფო გერბის გამოსახულებას?
6. რომელ ღონისძიებებზე სრულდება აზერბაიჯანის სახელმწიფო ჰიმნი?
7. «აზერბაიჯანის რესპუბლიკა აზერბაიჯანის სახალხო ჯუმჰურიეთის მემკვიდრეა» დაწერე თემა ამ სათაურით.

27

ძველი აზერბაიჯანი

წინა პარაგრაფში გაიგე, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა შეიქმნა 1918 წელს. ბუნებრივია, შენში გაჩნდებოდა შეკითხვა: მანამდე აზერბაიჯანი არ არსებობდა? რა თქმა უნდა არსებობდა. 1918 წელი ეს ის თარიღია, როცა მისი დამოუკიდებლობა მთელმა მსოფლიომ აღიარა. თუ გაინტერესებს, რა იყო მანამდე აზერბაიჯანში, ეს ტექსტი წაიკითხე.

სურ. 1. თანამედროვე ბაქო

წინა პარაგრაფში გაიგე, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა შეიქმნა 1918 წელს. ბუნებრრივია, შენში გაჩნდებოდა შეკითხვა: მანამდე აზერბაიჯანი არ არსებობდა? რა თქმა უნდა არსებობდა. 1918 წელი ეს ის თარიღია, როცა მისი დამოუკიდებლობა მთელმა მსოფლიომ აღიარა. თუ გაინტერესებს, რა იყო მანამდე აზერბაიჯანში, ეს ტექსტი წაიკითხე.

ცოტა უფრო გვიან კი ქალაქი ბაქო აზერბაიჯანის ერთ–ერთი სახანოს დედაქალაქი იყო. შირვანშაჰების სასახლის კომპლექსში, რომელიც ამჟამად დაცულია როგორც ისტორიული ძეგლი, ხანი, ხანის ოჯახი და სასახლის მსახურები ცხოვრობდნენ. სასახლეში, რომელსაც გარს ციხის გალავანი ერტყა, გრძელწამოსასხამიანი და თავჩალმიანი დარბაზის ერი მიმოდიოდა. ხანი კი დაახლოებულ პირებს შემოიკრებდა და მეზობელ სახანოებთან ურთიერთობის შესახებ ბჭობდა. იმ დროს აზერბაიჯანში შამახის, შაქის, ყარაბახის, განჯის, ირევანის, ლენქორანის, თაბრიზის, არდაბილისა და სხვა სახანოები არსებობდა.

ძველ დროშიცოტაცრომ გადავინაცვლოთ, იქ არც ხანებია და არც სახანოები. აზერბაიჯანის მიწები მთლიანად შედისსეფიანთა დინასტიის დიდი სახელმწიფოში, რომელიც შექმნა შაჰ ისმაილ ხათაიმ. შაჰ ისმაილი მართავდა რა სახელმწიფოს, პარალელურად კარგ ლექსებსაც წერდა. იგი დიდი ნიზამი განჯევისა და ნასიმის შემდეგ ერთ–ერთი გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტია.



სურ. 2. ბაზრის მოედანი წარსულში

ნიზამი განჯევი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აზერბაიჯანის ელდანიზთა სახელმწიფოს აყვავების პერიოდში. ეს ის დროა, როცა დიდ აზერბაიჯანელ არქიტექტორს მემარ აჯემის ნახჭევანში ცნობილი მომინა ხათუნისა და იუსიფ იბნ ქუსეირის სასუფევლები ჰქონდა დაგვირგინებული. ეს ისტორიული ნაგებობები, რომელთაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს, დღეს, როგორც უიშვიათესი ისტორიული ძეგლები, სახელმწიფოს მიერაა დაცული.

ცოტა კიდევ გადავინვცვლოთ ისტორიის სიღრმეში. და ჰა, ავღმოვჩნდით უძველეს



სურ. 3. ძველი ადამიანების საქმიანობა



სურ. 4. ძველი ადამიანების ცეკვა

დროში, როცა ძველი აზერბაიჯანული სახელმწიფო ალბანეთი არსებობდა. ვხედავთ ალბანეთის მბრძანებელ ჯავანშირს. იგი ვაჟკაცურად იბრძვის თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის. კიდევ უფრო წარსილისაკენ მივდივართ. ეს ის დროა, როცა ისლამი აზერბაიცანში ახლად ვრცელდება. ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში უცხოელები დადიან. ისინი არაბულად ლაპარაკობენ. მალ-მალე მისი უწმინდესობის მაჰმადის სახელს მოიხსენიებენ. ჩვენ კი გზას კიდევ უფრო შორეული წარსულისაკენ განვაგრძობთ. ჩვენს თვალწინ იშლება ადგილები, სადაც უძველესი დროის ადამიანები ბინადრობენ. უძველესი მხატვრები გობუსტანის კლდეებზე ხატავენ. ვჩერდებით და გულდასმით ვათვარიელებთ. გობუსტანის კლდეებზე ამოტვიფრული ნახატები, დღეს საიმედოდაა დაცული **გობუსტანის სახელმწიფო ისტორიულ ნაკრძალში.** ამაზე უფრო ძველ დროში კი **აზიხის გამოქვაბულია*,** სადაც პირველყოფილი ადამიანები ცხოვრობდნენ.

ისტორიული ძეგლები გვეხმარებიან, რომ წარსულში მომხდარი მოვლენები შევისწავლოთ. ამიტომაც ყველა ხალხმა უნდა დაიცვას თავისი ისტორიული ძეგლები. ეს ხალხის **ეროვნულ-კულტურული საგანძურია*.**

1. რატომ იცავს ჩვენი სახელმწიფო შირვან შაჰების სასახლეს?
2. ვის მიერაა აგებული მომინა ხათუნის სასუფეველი?
3. ვინ იყო ჯავანშირი?
4. ტექსტში გადმოცემული მოვლენები წარსულიდან დღემდე თანმიმდევრულად დაალაგე.
5. როგორი იქნება 100 წლის შემდეგ აზერბაიჯანის ქალაქები და სოფლები?
6. მე-3 სურათის მიხედვით ისაუბრე უძველესი დროის ადამიანების საქმიანობაზე.

***აზიხის გამოქვაბული** – უძველესი გამოქვაბული აზერბაიჯანში, ყარაბახში, ფიზულის რაიონში

***საგანძური** – კულტურის ძეგლები და ნაწარმოებები, რომლებიც უძველესი ხანიდან შემოგვრჩა

28

აზერბაიჯანული არმია

როდის შეიქმნა აზერბაიჯანის ეროვნული არმია ? როგორი ადამიანები იყვნენ ისინი, ვინც ეს არმია შექმნა? თუ გინდა ამ შეკითხვების პასუხი იპოვო , ქვემოთ მოყვანილი ტექსტი წაიკითხე .

სურ. 1. სემსდ ბეკ მეჰმანდაროვი

სურ. 2. ალი აღა შხლინსკი

ყველა სახელმწიფოს თავისი ტერიტორია და საზღვრები გააჩნია. იმისათვის,რომ თავისი ტერიტორია და საზღვრები დაიცვას, სახელმწიფოს სჭირდება არმია .

ამიტომაც, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, ანუ 1918 წლის26 ივნისს შეიქმნა აზერბაიჯანის ეროვნული არმიაც. ერთობ საჭირო იყო აზერბაიჯანის ახლად შექმნილი სახელმწიფოს დაცვა. რადგანაც მარტის თვიდან მოყოლებული სომხური დანაშაულებრივი დაჯგუფებანი აზერბაიჯანში ხოცვა-ჟლეტვას აწარმოებდნენ. ამიტომ იყო რომ ეროვნული არმიის შექმნამ ხალხი ძლიერ გაახარა. აზერბაიჯანის მთავრობამ არმიის შექმნის საქმე ნიჭიერ ორგანიზატორს გენერალ-ლეიტენანტ სემედ ბეკ მეჰმანდაროვს ჩააბარა. ამ ძნელ საქმეში მას დახმარება გამოცდილმა მხედარმა ალი აღა შიხლინსკიმ გაუწია. სემედ ბეკ მეჰმანდაროვი სამხედრო მინისტრი, ალი აღა შიხლინსკი კი მისი მოადგილე გახდა. ორივე მათგანი იყო პატრიოტი აზერბაიჯანელი, რომელსაც თავისი ხალხი გულით უყვარდა.

იმის გამო, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ახლად შექმნილი იყო, სახელმწიფოსა და ჯარის შესანახად საკმარისი თანხები არ გააჩნდა. ჯარისკაცები ძალზედ ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ. არ არსებობდა გამოცდილება სამხედრო სფეროში. გენერალი სემედ ბეკი ამბობდა, რომ ჯარისკაცი, რიმელიც ცუდ პირობებში ცხოვრობს, სამშობლოს ვერ დაიცავს. რადგანაც მშიერ-მწყურვალი ჯარისკაცი, რომელსაც დროგამოშვებით უსამართლოდ სცემენ კიდეც, თავმოყვარეობას ჰკარგავს. სამშობლოს ჯარისკაცი კი ამაყი და თავმოყვარე უნდა იყოს. 1920 წლის უკვე დასაწყისში ჩვენს ეროვნულ არმიას მატარებელი, თვითმფრინავი, დაჯავშნული ავტომობილი და სამხედრო ტანსაცმელი ჰქონდა.

სურ. 3. ახლად შექმნილი აზერბაიცანული არმიის ჯარისკაცები

აზერბაჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ნათქვამია რომ, აზერბაიჯანის რესპუბლიკათავისი უსაფრთხოების უზრუნველყუფისა და თავდაცვის მიზნით ქმნის შეიარაღებულ ძალებს.

სურ. 4. თანამედროვე აზერბაიჯანელი ჯარისკაცები

სურ. 5. აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ემბლემა

მას შემდეგ რაც აზერბაიჯანი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, მისი ეროვნული არმია დაიშალა. რადგანაც ქვეყნებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში შედიოდნენ, ერთი საერთო არმია - საბჭოთა არმია ჰყავდათ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა კლავ დამოუკიდებელია. ახლა მას ძლიერი ეროვნული არმია ჰყავს. ჩვენი ხალხი ყოველი წლის 26 ივნისს საზეიმოთ აღნიშნავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღეს. ტარდება ეროვნული არმიის აღლუმი.

აზერბაიჯანელ ხალხს არ სურს ომი. ომი ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ადამიანები იღუპებიან, სახიჩრდებიან. თუმცა მიუხედავათ იმისა, რომ ქვეყანა ომის მომხრე არაა, ზოგჯერ ძალით ჩაითრევენ ხოლმე ომში. ჩვენი ქვეყანა სომხეთთან საომარ მდგომარეობაშია. რადგანაც ჩვენი ტერიტორიის ერთი ნაწილი სომხეთის რესპუბლიკის მიერაა დაპყრობილი. აზერბაიჯანმა ამ ომში დიდი მსხვერპლი გაიღო. ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონში სამშობლოსთვის თავგანწირულთა პანთეონი არსებობს. დღეს ჩვენი არმია მზადაა ოკუპირებული ტერიტორიები საომარი მოქმედებების მეშვეობით გაათავისუფლოს. თუმცა ჩვენი დიდი სურვილია რომ ჩვენი მიწები მშვიდობიანი გზით, ანუ მოლაპარაკებების გზით გავათავისუფლოთ.

1. როდის შეიქმნა აზერბაიჯანის არმია?
2. თავიდან ვინ ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიას?
3. რატომ აძლევს უპირატესობას მიწების მშვიდობიანი გზით გათავისუფლებას აზერბაიჯანელი ხალხი?
4. დაამუშავე პატარა თემა სათაურით: „ჩვენი ეროვნული არმია გუშინ

29

ჩვენი მეზობლები

ადამიანს სურს თავის მეზობლებთან კეთილმეზობლურიურთიერთობა ჰქონდეს. ქვეყნების მეზობლობაც ადამიანთა შორის მეზობლობას წააგავს. რა იცი აზერბაიჯანის მეზობელი ქვეყნების შესახებ?

ათა-ბაბას უთქვამს, რომ ახლო მეზობელი შორეულ ნათესავზე უკეთესია. მაგრამ ეს კარგი მეზობლის შესახებ უთქვამთ. ცუდი მეზობელი მეზობელს მხოლოდ აწუხებს. მართლაც, მეზობლები რაც უფრო კეთილმეზობლურ გარემოში ცხოვრობენ, მათი ცხოვრება მით უფრო მშვიდობიანია. ასეთი მეზობლები ერთმანეთს ეხმარებიან და გასაჭირში ერთმანეთს ზურგს უმაგრებენ. მაგრამ თუ ვერ რიგდებიან ეს ორივე მათგანისათვის ცუდია.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა ხმელეთზე ხუთი რესპუბლიკის თანამოსაზღვრეა. ესენია თურქეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ირანის ისლამური რესპუბლიკა, სომხეთი და საქართველო. ჩვენი რესპუბლიკის აღმოსავლეთით კი კასპიის ზღვაა. აზერბაიჯანის რესპუბლიკა ცდილობს, რომ თავის მეზობლებთან კეთილმეზობლურ და მეგობრულ გარემოში იცხოვროს. რუსეთის ფედერაცია აზერბაიჯანის ჩრდილოეთით მდებარეობს. ამ ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც აზერბაიჯანს ესაზღვრება, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული არა ერთი პუნქტია.

საქართველო
რუსეთი
ბელაქანი
ზაქათალა
ბაკური
ყაზახი
აქსტაფა
თოვუზი
ბაკური
ბაკური
ბაკური

ირანის ისლამური რესპუბლიკა აზერბაიჯანის სამხრეთით მდებარეობს. ამ ქვეყანასთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე აღმოსავლურ- დასავლურ აზერბაიჯანულ **ოსთანად*** წოდებული ტერიტორიული ერთეულები არსებობენ. უძველესი დროიდან აღნიშნულ ტერიტორიებზე ძირითადად აზერბაიჯანელები სახლობენ.

საქართველოს სახელმწიფო აზერბაიჯანის დასავლეთით მდებარეობს. აქ საკმაოდ ბევრი აზერბაიჯანელი თავიანთ ძირძველ მამულში, ბორჩალოში ცხოვრობს.

ამჟამად სომხეთად წოდებული რესპუბლიკის ტერიტორია ისტორიულად აზერბაიჯანელი თურქების საცხოვრისი იყო. დროთა განმავლობაში ისინი ძალით იქნენ განდევნილნი თავიანთი მშობლიური კერებიდან. ამჟამად სომხეთში ერთი აზერბაიჯანელი თურქიც კი არ ცხოვრობს.

ჩვენი ქვეყანა სამხრეთ დასავლეთით მოძმე თურქეთის თანამოსაზღვრეა. თურქეთი აზერბაიჯანის საუკეთესო მეგობარია. აზერბაიჯანში ძირითადი მოსახლეობის გარდა, რუსები, ებრაელები, ქართველები და სხვა ერების წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. ისინი ჩვენი ქვეყნის თანაბარუფლებიანი მოქალაქეები არიან. აზერბაიჯანის სახელმწიფო არ განასხვავებს თავის მოქალაქეს მიუხედავად მისი ეროვნული თუ რელიგიული კუთნილებისა. ჩვენს ქვეყანაში ადამიანებს შორის თანასწორობა დაცულია. აზერბაიჯანელები მტრულად არ ეპყრობიან ადამიანებს მათი რელიგიური თუ ეროვნული კუთნილობის გამო. ეს კი ჩვენი ხალხის მაღალი კულტურის მაჩვენებელია. პურ-მარილი აზერბაიჯანელებისათვის უწმინდესია. ჩვენს მამა–პაპებს ყოველთვის დიდ ცოდვად მიაჩნდათ ღალატი იმ ადამიანის მიმართ, რომელთანაც მეზობლურ გარემოში გიცხოვრია და პურ-მარილი გიჭამია.

***ოსთნ** – მხარე

1. რომელი ქვეყნების მეზობელიააზერბაიჯანი?
2. რატომაა დარღვეული ურთიერთობები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის?
3. აზერბაიჯანელები როგორ დამოკიდებულებაში არიან სხვა ხალხებისა და რელიგიების წარმომადგენლებთან?
4. რას ნიშნავს «პურ-მარილის» ღალატი? აზერბაიჯანელები ამას რატომ მიიჩნევენ ცოდვად?
5. ქვემოთ მოცემული ფულები რომელ ქვეყნებს მიეკუთვნება? მათგან რომლებიც მეზობელ ქვეყნებს მიეკუთვნებიან, გაარკვიე და შენს რვეულში აღნიშნე.

30

აზერბაიჯანის ბუნება

მცენარეულობისა და ცხოველების რამდენი სახეობა არსებობს აზერბაიჯანის ბუნებაში? რა ღონისძიებებს ატარებს ჩვენი სახელმწიფო აზერბაიჯანის ბუნების დაცვის მიზნით? წინამდებარეტექსტში შენ შეგიძლია ამ შეკითხვების პასუხი იპოვო.

სურ. 1. ბაზარდუზის მწერვალი

დედამიწის ზურგზე არსებობს ისეთი ადგილები, სადაც წლის განმავლობაში არც წვიმს და არც თოვლს. ჩვენ კი ვგრძნობთ გაზაფხულის თბილ სუნთქვას, ზაფხულის სითბოს ბლომათ შევიგრძნობთ და ვტკბებით შემოდგომის ყვითელი ფერებითა და ზამთრის სიქათქათით. აზერბაიჯანში თოვლიანი მთები და ფართო მწვანე მინდორ–ველი არსებობს. აზერბაიჯანის ყველაზე მაღალი მთები და მთათა მწერვალებია დიდი კავკასიონის ქედის ბაზარდუზუ, შაჰდაღი, თუფანდაღი, ბაბადაღი, მცირე კავკასიონზე კი გაფიჩიგი, ჯამოშდაღი და დელიდაღი.

მდინარე, მტკვარი და არაქსი აზერბაიჯანის ყველაზე დიდი მდინარეებია. ეს მდინარეები სათავეს თურქეთის მთებიდან იღებს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთიანდებიანდა კასპიის ზღვაში ჩაიდინებიან. ადგილს, სადაც მდინარე არაქსი და მტკვარი უერთდება ერთმანეთს, ხალხში „სუგოვუშანს“ (წყალთშესაყარი ი.მ.) ეძახიან. სუგოვუშანი საბირაბადის რაიონის ტერიტორიაზეა. გარდა მდინარე მტკვრისა და არაქსისა განიხი, რაბბირი და სამურიც აზერბაიჯანის დიდ მდინარეთაგანია.

აზერბაიჯანში ტყის მასივი დიდი არაა. თუმცა აზერბაიჯანის მცენარეული საფარი ძალზედ მდიდარია. ჩვენს რესპუბლიკაში დაახლოებით 4500 მცენარეული სახეობაა.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება თავის მხრივ იწვევს ცხოველთა სამყაროს სიუხვეს. მრავალი წლის განმავლობაში ადამიანების მოღვაწეობისა და ბუნებაში ჩარევის შედეგად ბუნებრივი პირობები მცენარეულობისა და ცხოველებისათვის შედარებით არახელსაყრელ გარემოდ იქცა. ზოგიერთი მცენარისა და ცხოველის სახეობა თითქმის გადაშენების პირასაა. იმ მიზნით, რომ მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი სახეობა დაიცვას, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნაკრძალებს ეროვნული პარკებსა და გამწვანებებს აშენებს. ჩვენი ქვეყნის ბუნების დაცვის საქმეში დიდი როლი მიუძღვის ისეთ ბუნებრივ ნაკრძალებს, როგორიცა ზაქათალას, გიზილაღაჯის, ილისუს, ბესითჩაისა და სხვებს. უცხო პირებს ნაკრძალის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ. აზერბაიჯანის სახელმწიფომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბოლო ხანებში შექმნა ისეთი ნაკრძალები, როგორიცა ალთიაღაჯის ეროვნული პარკი, აბშერონის ეროვნული პარკი,

სურ. 2. მთის მდინარე

გოიგოლის ეროვნული პარკი და სხვა ამ ტიპის პარკები. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებენ ისეთი ნაკრძალები, როგორიცა შექის, ყარაია-აქსთაფას, ისმაილლის, გუსარისა და არფაჩაის ნაკრძალები. ამ ნაკრძალებსა და ეროვნული პარკებში სპეციალური ნებართვის გარეშე შეიძლება შესვლა.

სურ. 3. აღმოსავლეთის ჩინარი ბასითჩაის სახელმწიფო ნაკრძალში დაცულია ისეთი იშვიათი ხე, როგორიცა აღმოსავლეთის ჩინარი

სურ. 4. გოიგოლის ეროვნული პარკი აქ დაცულია მრავალი ცხოველი, მათშორის ირმებიც

სურ. 5. აზერბაიჯანის ეროვნული პარკების ემბლემები

იმ მცენარეებისა და ცხოველების სახეობანი, რომლებიც გადაშენების პირასაა, აზერბაიჯანის „წითელ წიგნშია“ შეყვანილი. „წითელი წიგნი“ სახელმწიფო დოკუმენტია. ამ წიგნში ასევე მოცემულია ინფორმაცია იმ ცხოველებისა და მცენარეების შესახებ ,რომლებიც იშვიათობას წარმოადგენენ, ან მოსპობის პირას არიან მისულნი.

1. რომლებია აზერბაიჯანის ყველაზე მაღალი მთის მწვერვალები?
2. ჩვენს ქვეყანაში რომელი მდინარეები არსებობს?
3. მტკვარი და არაქსი რომელი ქვეყნის მთებში იღებს სათავეს?
4. რატომ შექმნა ჩვენმა ქვეყანამ ნაკრძალები, გამწვანებები და ეროვნული პარკები?
5. რით განსხვავდება ნაკრძალები ეროვნული პარკებისა და გამწვანებებისაგან?
6. სხვადასხვა წყაროებიდან მოიძიეინფორმაცია აზერბაიჯანის წითელი წიგნის შესხებ. შეადგინე სია ცხოველებისა, რომლებიც გადაშენების პირასაა. წამოაყენე წინადადებები მათი რიცხვის გაზრდის მიმართულებით.

31

მშობლიური კასპიის ზღვა.

რატომ გვიყვარს კასპიის ზღვა? რომელი ბუნებური სიმდიდრეები გააჩნია მას? რა საფრთხე მოელის კასპიის ზღვას? როგორ შეიძლება აღიკვეთოს ეს? იმისათვის, რომ ამ საკითხებზე დაფიქრდე, წინამდებარე თემა გაგიწევს დახმარებას.

ბაკოგანული
ბაქო
ხირდალანი
ალიაბადი
ბინაგადი
ბალაბანი
ბაკურიანი
ბალაბანი
ბალაბანი
ბალაბ

თოლია

გედი

სულთანის ხოხობი

ფლამინგო

სურ. 3. ხაზარის პირასა და კუნძულებზე მობინადრე ფრინველები:

კასპიის ზღვაში ნავთობიც მოიპოვება. ამ დროს ზღვის წყალს ნავთი შეერევა და მას აბინძურებს. ამას ისიც ემატება, რომ მდინარეებს ვოლგასა და მტკვარს სხვადასხვა ქალაქების ქარხანა–ფაბრიკების ნარჩენები კასპიის ზღვაში ჩამოაქვს. ქალაქ ბაქოს საკანალიზაციო წყლებიც კასპიის ზღვის სანაპიროებს საკმაოდ აბინძურებს. ამ გაბინძურების შედეგად ზღვის ცხოველთა სამყარო ზიანს განიცდის. დროულად თუ არ გატარდა სათანადო ღონისძიებები, ზღვის წყლის გაბინძურება ასევე გაგრძელდება. ცხოველები, რომლებიც აქ ბინადრობენ ამას ვეღარ გაუძლებენ და გადაშენდებიან. ასეთ შემთხვევაში კასპიის ზღვა მკვდარ ზღვად იქცევა. ამიტომაც აზერბაიჯანის სახელმწიფო ხაზარის ცხოველთა გადარჩენის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავს.

ხაზარს თავისებური ცხოველთა სამყარო გააჩნია. აქ კილკა, ზუთხი, ქაშაყი და სხვა თევზთა სახეობანი ბინადრობენ. კასპიის ზღვაში ზუთხების ძვირფასი სახეობანი ცხოვრობდნენ.

კლდეები, რომლებიც კასპიის ზღვის სანაპიროებზე მდებარეობენ,თოლიების სამფლობელოს წარმოადგენენ. ბაქოს ეროვნულ პარკში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით თოლიას. კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სანაპიროებსა და კუნძულებზე გედი, სულთანის ხოხობი, ფლამინგო ,იხვიდასხვა წყლის ფრინველები ბინადრობენ. ისინი პატარა თევზებითა და სანაპიროს მცენარეულობით იკვებებიან. კასპიის ზღვის წყლებში სხვადასხვა სახის თევზებთან ერთად კასპიის სელაპიც ბინადრობს. კასპიის ზღვის ცხოველთა სამყაროს აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიერ შექმნილი აბშერონის ეროვნული პარკში იცავენ.

სურ. 4. სელაპი

1. რუკაზე მონახე და გაარკვიე, კასპიის ზღვაში რომელი მდინარეები ჩაედინებიან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით.
2. რომელია ყველაზე დიდი მდინარე, რომელიც კასპიის ზღვაში ჩაედინება.
3. რომელი თევზები ბინადრობენ კასპიის ზღვაში?
4. კიდევ რომელ ცხოველებს იცნობ, რომლებიც კასპიის ზღვაში ბინადრობენ?
5. რა არის კასპიის ზღვის დაბინძურების ძირითადი მიზეზი?
6. როგორ შეიძლება აღიკვეთოს კასპიის ზღვის გაბინძურება? შენი აზრი დაწერე.

32

ჩვენი ბარაქიანი სამშობლო

აზერბაიჯანის ბუნება სოფლის მეურნეობის რომელი მცენარეების მოსაყვანადაა ხელსაყრელი? ბუნებრივია, რომ შენ ზოგიერთ მცენარეს დაასახელებ. მაგრამ ამ ტექსტს თუ წაიკითხავ, ამის შესახებ ცოდნა უთუოდ უფრო მოგემატება.

დავუშვათ, დედას სურს, ლიმონიანი ნამცხვარი გამოგიცხოს. გარეთ მაგრად დაუთოვია, შინიდან არ გაისვლება. ნამცხვრის გამოცხობას კი საკმაოდ პროდუქტი სჭირდება. დედა ამოწმებს, თუ ამ პროდუქტებიდან შინ რომელი გაქვთ. საფქვილეში ფქვილი არის. ესეიგი მთავარი პროდუქტი არის. ნამცხვრისათვის შაქრის ფხვნილიც დაგჭირდებათ. სახლში შაქრის ფხვნილის მარაგიც საკმარისია. რაც შეეხება კარაქს, კარაქიც არის. მაშ კვერცხი? ირკვევა, რომ კვერცხიც გაქვთ. ულიმნოდ ლიმონიანი ნამცხვრის გამოცხობა შეუძლებელია. ლიმონი აუცილებელია. ლიმონიც მოიძებნა მაცივარში. ძალიან კარგი! ყველა პროდუქტი გქონიათ. ესეიგი შეგიძლიათ შეუდგეთ ნამცხვრის გამოცხობას.

ნამცხვრის გამოცხობის ამბავი შემთხვევით როდი მოგიყევით. შეიძლება თქვენს სახლებში ამ პროდუქტებიდან ერთი, ან რამოდენიმე არ გქონდეთ. თუმცა, ხომ უკეთესია, რომ გქონდეთ? ჩვენი აზერბაიჯანი აი ასეთ სახლს ჰგავს. აქ რასაც მოისურვებ, ყველაფერი არის.

სურ. 1. ქერი და ხორბალი

სურ. 2. ვენახი

აზერბაიჯანის კლიმატი ხელსაყრელია იმისათვის, რომ სხვადასხვა სახის მცენარეულობა დათესო და მოიყვანო. აზერბაიჯანში ადამიანებმა ხორბლის დათესვა უძველეს დროში ისწავლეს. ადრინდელი ადამიანების საცხოვრისების გათხრებისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს სათადარიგო ხორბლის ნარჩენები, რომლებიც თიხის ქილებში ინახებოდა. აზერბაიჯანის კლიმატი ერთობ ხელსაყრელია მარცვლეულის მოსაყვანად. ჩვენს რესპუბლიკაში პურის ყანები ფართოდაა გაშლილი. ამ ფართობებზე გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხორბალი ითესება. აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა გამოიყვანეს უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშები. აზერბაიჯანის მიწებზე კარგად ვითარდება ისეთი მცენარეები როგორიცაა ქერი, ჭვავი, ბამბა, ყურძენი, ჩაი, ლიმონი და ზეითუნი,.

სურ. 3. ბამბის ბუჩქები

სურ. 4. ჩაის პლანტაცია

ჩვენს ქვეყანაში კარგი პირობები და ნოყიერი მიწაა იმისთვისაც, რომ ბაღ-ბოსტნეულის მოსავალიც მოიწიო.

აზერბაიჯანის ზოგ რაიონში მებამბეობის, ზოგგან კი მევენახეობისათვის საუკეთესო პირობებია. ლენქორანში კი ჩაის პლანტაციებია გაშლილი. ნებისმიერი სუფრის მშვენებაა აქ მოყვანილი სურნელოვანი აზერბაიჯანული ჩაი. ჭარხალი, რომლისგანაც ჩაის განუყრელი მეგობარი შაქარი მზადდება და ლიმონიც ჩვენს ბარაქიან რესპუბლიკაში მოდის.გუბა თავისი ვაშლით, გოიჩაი კი ბროწეულითაა ცნობილი. გედებეის რაიონში კი ძალზედ გემრიელი კარტოფილი მოდის.

ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტიც იწარმოება. იმის გამო, რომ აზერბაიჯანულ სამზარეულოში ცხვრის ხორცი და რძის ნაწარმი ფართოდ მოიხმარება, მეცხვარეობის სფერო დღითიდღე ვითარდება. აზერბაიჯანის რძე, მაწონი, ნაღები, ხაჭო, ერთი სიტყვით ყველანაირი რძის პროდუქტები ძალზედ გემრიელია.

როგორც იტყვიან, ბუნებამ არაფერი დაიშურა მშობლიური აზერბაიჯანისათვის.

მოსავლის ძირითადი წყარო მიწაა. მიწისადმი მუდამ მზრუნველობას უნდა ვიჩენდეთ. მიწაზე რომ არ ვიზრუნოთ, ადრე თუ გვიან მიწა უდაბნოდ იქცევა. მოსავლიანობა იკლებს. ამის აღკვეთის მიზნით აზერბაიჯანის სახელმწიფომ მიიღო კანონი „მიწის ნაყოფიერების შესახებ“. სახელმწიფო ასევე აკონტროლებს მიწის მოხმარებისა და დაცვის წესებს.

1. აზერბაიჯანში სოფლის მეურნეობის რომელი მცენარეულობა ხარობს?
2. იმას, რომ აზერბაიჯანში უძველეს დროში ხორბალს თესავდნენ, რომელი ფაქტები ადასტურებს?
3. ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის რომელი დარგები არსებობს?
4. რას აკეთებს აზერბაიჯანის სახელმწიფო მიწის ნაყოფიერების დაცვის მიზნით?
5. ჩვენს ქვეყანაში კიდევ რომელი ბუნებრივი ნუგბარი არსებობს? ჩამოწერე სახელები იმ ბუნებრივი ნუგბარებისა, რომლებიც ტექსტში არაა მოხსენიებული.

33

ბუნებრივი რესურსები

როცა ბუნების წიაღში, ლამაზად გაშლილ წალკოტში ხარ, დახტი და თამაშობ. მაგრამ არასოდეს წალკოტში ცეცხლი არ დაანთო. რადგანაც აქ შეიძლება იყოს ძალზედ ძვირფასი მცენარეულობა, რომლისგანაც წამლები მზადდება, ანდა ისეთი მცენარეები, რომელთა ჯიშებიც გადაშენების პირასაა. აზერბაიჯანს სხვა ბუნებრივი რესურსებიც გააჩნია, ესენი რომლებია? ტექსტი რომ წაიკითხო, რაც არ იცი გაიგებ, რაც დაივიწყე, იმასგაიხსენებ და ცოდნას გაიმდიდრებ.

ყველა ქვეყანას თავისი მიწისზედა და მიწისქვეშა რესურსები გააჩნია. რაც რამ არსებობს ჩვენიმიწის ქვეშ, თუ ზედაპირზე, ყველაფერი აზერბაიჯანის რესურსებია. ჩვენს მამულში იზრდება ისეთი იშვიათი ხის ჯიშები, როგორიცაა შავრცხილა, ელდარის ნაძვი და კევის ხე. თურგაის ტყეებში, რომელიც მტკვრის სანაპირო ზოლს მოიცავს, რცხილა, მუხა და სხვა ჯიშის ხეები ხარობენ. ჩვენი ტყე-ველი და მთები მდიდარია ისეთი მცენარეებით, რომლებისგანაც წამლები მზადდება.

მცენაბეები რომელბისგანაც წამლები მზადდება

სურ. 1. ლენქორანის მცენარეულობა

გარდა მიწის ზედაპირზე არსებული რესურსებისა, ჩვენს ქვეყანას მიწისქვეშა რესურსებიც გააჩნია. როცა მიწისქვეშა წიაღისეულზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა ნავთობი და გაზი უნდა დავასახელოთ. რადგანაც წიაღისეულთა შორის, რომელმაც აზერბაიჯანს დიდება მოუტანა, ეს მისი ნავთობია. უძველესი დროიდან აზერბაიჯანს იცნობენ როგორც ნავთობის მხარეს. აქლემის ქარავნები ნავთით სავსე ტიკეებს სხვა ქვეყნებისაკენ მიეზიდებოდნენ. დღესაც აზერბაიჯანში როგორც ხმელეთზე, ასევე წყალში მდიდარი ნავთობისა და გაზის საბადოები არსებობს.

სურ. 2. ტალახის ვულკანი

სურ. 3. სამკურნალო წყალი

სურ. 4. ბუნებრივ გაზი, რომელიც მიწიდან ამოდის



სპილენძი | ალიმინუმი | ქვამარილი | ოქრო

სურ. 5. მინერალები

დადგინდა, რომ ნავთობ-გაზის საბადოებსა და ტალახის ვულკანებს შორის კავშირი არსებობს. ტალახის ვულკანები უფრო მეტადაა გავრცელებული აბშერონის ნახევარკუნძულზე. აზერბაიჯანი ტალახის ვულკნების რიცხვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. აღნიშნული ვულკნების თიხა, ტალახი და აქ მოპოვებული წყალი არაერთ ავადმყოფობას კურნავს.

გარდა საწვავი რესურსებისა, ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია სხვა ძვირფასი წიაღისეულებითაც. ოქრო, სპილენძი, ალუმინუმი, ვერცხლისწყალი, რკინა და ქვამარილი ამგვარ წიაღისეულთა რიგს განეკუთვნება. **ფილიზიდან**, რომელიც დაშქასანის საბადოებში მოიპოვება, ნაირ-ნაირი მეტალები მზადდება. ნავტალანის ნავთიც მსოფლიოში ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით. აზერბაიჯანში არსებობენ წყლის საბადოები, რომლებიც ასევე სამკურნალოა. ესენია სუფრისა და სამკურნალო თვისებებით გამორჩეული წყლები.

იმისათვის, რომ აზერბაიჯანის ბუნებრივი სიმდიდრეები დაიცვას, ჩვენი სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავს. ამ ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო ორგანო. ეს გახლავთ აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

ვულკნის ტალახების რიცხვის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

***ფილიზი** – ბუნებრივი მინერალი, ვულკნის ტალახების სახესხვაობათა მეტალი და მისი შენაერთები რაოდენობის მიხედვით არსებობს ჩვენი რესპუბლიკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა

1. აზერბაიჯანს რომელი ბუნებრივი რესურსები გააჩნია?
2. რომელი წიაღისეულია, რომელმაც აზერბაიჯანს ყველაზე მეტი დიდება მოუტანა?
3. რომელი ღონისძიებები გაატარა აზერბაიჯანმა იმისათვის, რომ ბუნებრივი რესურსები დაიცვას?
4. კიდევ რომელ სამკურნალო მცენარეებს იცნობ?
5. დაწერე შენი აზრი მიწისქვესა და მიწისზედა რესურსების მნიშვნელობისა და მათი დაცვის აუცილებლობის შესახებ.

34

ღირებულებანი

ჩვენი ყველაზე დიდი რესურსი

შენ უკვე გაქვს წარმოდგენა ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნების, მისი ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს შესახებ. თუმცა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები მას უმთავრეს რესურსად მიიჩნევიან. ამისი მიზეზი რომ იცოდე, საჭიროა ეს ტექსტი ყურადღებით წაიკითხო.

ბრძენთ უთქვამთ, რომ ადამიანი ამ ქვეყნის მშვენებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დედამიწის ზედაპირზე ადამიანის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი არაფერი არსებობს. ადამიანი ბუნების ყველაზე ჭკვიანი არსებაა. ადამიანს ლაპარაკის, აზროვნებისა და შემოქმედების უნარი გააჩნია. მაგრამ ბავშვში, რომელიც პატარაობიდანვე ადამიანებისგან მოშორებით იზრდება, ეს თვისებები არ ვითარდება. ესეიგი ადამიანები ერთად უნდა ცხოვრობდნენ. ასე ყალიბდება საზოგადოება.

ადამიანებს, რომლებიც საზოგადოების წევრები არიან, ერთმანეთთან სხვადა-სხვა დამოკიდებულება აკავშირებთ. რადგანაც ადამიანს სურს, განათლება მიიღოს, იყოს ჯანმრთელი, იმუშაოს და დაისვენოს. მას აგრეთვე უნდა, რომ დაცული იყოს მისი უფლებები, უხვ გარემოში უზრუნველად იცხოვროს. ეს მიზნები ადამიანებს ერთმანეთთან აახლოვებს. სახელმწიფო ქმნის სხვადასხვა სახის დაწესებულებას, რათა ადამიანებმა კარგად იცხოვრონ და დაცული იყოს მათი უფლებები.

აზერბაიჯანში ფუნქციონერებს სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოჯახის, ქალისა და ბავშვთაპრიბლემების სახელმწიფო კომიტეტი. ამ ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებაა ბავშვისა და ქალის უფლებების დაცვა.

სახელმწიფო ცდილობს, რომ ოჯახი დაცული იყოს და უზრუნველად იცხოვროს. ოჯახი წმინდაა. საზოგადოების წევრები ოჯახებში ცხოვრობენ. ბავშვებიც, რომლებიც საზოგადოების მომავალია, ოჯახებში იზრდებიან.

სურ. 1. დასვენების უფლება

*ღირსეული – უძვირფასესი, ფრიად დაფასებული



სურ. 2. განათლების უფლება

სურ. 3. შრომის უფლება

ბავშვებისადმი მზრუნველობა მათი უფლებების დაცვით იწყება. ამიტომაც ბავშვების ჯანმრთელობის, განათლების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას სახელმწიფო იცავს. აზერბაიჯანის სახელმწიფოს ხელი აქვს მოწერილი საერთაშორისო დოკუმენტზე, რომელიც მიმართულია ბავშვთა უფლებების დაცვისაკენ.

რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, რელიგიური, თუ ენობრივი კუთნილების მიუხედავად ნებისმიერი მოქალაქე ქვეყნის ყველაზე დიდი რესურსია. რადგანაც საზოგადოების განვითარება მჭიდრო კავშირშია ადამიანის, პიროვნების განვითარებასთან. თუ მოქალაქენი ჯანმრთელი, განათლებული და შრომისუნარიანი ეყოლება, ქვეყანაც სწრაფად განვითარდება. ამიტომაც სახელმწიფო ცდილობს, რომ თითოეული მოქალაქე იყოს ჯანმრთელი, განათლებული და უზრუნველყოფილი.

ქვეყნის განვითარებისათვის ბუნებრივ რესურსებსაც ადამიანი მოიხმარს. და ამ რესურსებსაც ადამიანი იცავს. თავისი განათლებითა და კულტურით ქვეყნის წინსვლასაც ადამიანი განაპირობებს.

1. რა არის საზოგადოება?
2. ისაუბრე ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.
3. განათლების უფლება მხოლოდ ბავშვებს ეკუთნით? ასე რატომ ფიქრობ?
4. რატომაა საჭირო, რომ ბავშვების ჯანმრეთელობასა და განათლებაზე ვიზრუნოთ?
5. რაში მდგომარეობს სახელმწიფოს როლი საზოგადოების განვითარებაშიჩენს თავისი მოქალაქის განვითარებისათვის?
6. რატომ არის,რომ ყოველი სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს თავისი მოქალაქის განვითარებისათვის?
7. საზოგადოებას უფრო მეტ სარგებელს როგორი თანამშრომლები აძლევენ? ამის თაობაზე შენი აზრი დაასაბუთე.

35

ჩვენი ეროვნული სამზარეულო

ხალხის ეროვნული სამზარეულო მისი საყოფაცხოვრებო კულტურის შესახებ მეტყველებს. რადგანაც კერძის მომზადება მოითხოვს გემოვნებას, გამოცდილებასა და ტრადიციას. აზერბაიჯანულ სამზარეულოში ეს ყველაფერი არსებობს. როცა ამ ტექსტს წაიკითხავ, ამაში შენც დარწმუნდები.

ყველა ხალხს თავისი ეროვნული კერძები გააჩნია. აზერბაიჯანული სამზარეულოც სიყვარულს იმსახურებს თავისი გემრიელი კერძებით. სხვადასხვა ხალხის ეროვნული სამზარეულოს ჩამოყალიბებაში მათ საყოფაცხოვრებო პირობებს უდიდესი როლი აქვს. აზერბაიჯანში ცხრა კლიმატური ტიპი არსებობს. ესეიგი აზერბაიჯანში არსებობს ყველანაირი ხილ-ბოსტნეული და სუნელები, რომელიც ცხრა კლიმატის პირობებში მოდის. იმაზე, რომ ჩვენი ეროვნული სამზარეულო ასეთი მდიდარია, ამ ფაქტორმაც მოახდინა გავლენა. აზერბაიჯანულ სამზარეულოში, შეიძლება ითქვას, რომ ყველა კერძი ერბოთი მზადდება.

ფლავი

ფურცლის ტოლმა

ქუფთა

გუთაბი

დუშფარა

მწვადი

საზამთროს მურაბა

თხილიანი რულეტი

ვარდის შარბათი

სურ. 1. ჩვენი ეროვნული სამზარეულო:

აზერბაიჯანლებს ყოველთვის უყვარდათ ცომეულისა და ხორცეულის კერძები. არიშთე, ფურცლის ხინკალი, ფაფა და ერბოფაფა ეს ის კერძებია, რომლებიც ცომეულით მზადდება. რადგანაც ამ კერძების მოხარშვისას ძირითადად ფქვილი გამოიყენება. ცომეულის კერძებს ცივ ამინდებში უფრო ხშირად ხარშავენ. ეს კერძები კარგად ანაყრებს და სხეულს სითბოს მატებს. ამიტომაც გაციებულ ადამიანს ურჩევენ, რომ ცომეულის კერძები მიირთვას.

ტოლმა, ბოზბაში, კუფთა, მოხრაკულა, მწვადი, ფითი და სხვა კი ხორცეულის კერძებია. ჩვენს სამზარეულოში არის მრავალი სახის კერძი, რომელიც ფრინველის ხორცისა და თევზეულობისგან მზადდება.

აზერბაიჯანში ტოლმაცა და მწვადიც მრავალნაირია. ზაფხულის სუფრას ნაირ-ნაირი მწვანილი, ახლად დაკრეფილი კიტრი და პომიდორი, ზამთარში კი ამავე პროდუქტების მწნილი ამშვენებს.

აზერბაიჯანელებს ფლავი ძლიერ უყვართ. ჩვენს სამზარეულოში ფლავის სხვადა-სხვა ვარიანტები- ჩიხირთმაფლავი, ფისინჩაფლავი, ფლავი ქათმით და საბზაფლავი- იხარშება. ძვირფასი სტუმრისთვის ფლავის მირთმევა უძველესი წესთაგანია. ხალხში ასეთი გამოთქმაც კი არსებობს, ფლავი კერძების მეფეა.

აზერბაიჯანში წესია, სანამ ძირითად კერძებს მოიტანდნენ, სტუმარს ჩაი მიართვან. ადამიანები, რომლებიც მაგიდას უსხედან, ჩაის სუფრის ირგვლივ ერთმანეთს მოიკითხავენ, ტკბილად მუსაიფობენ და თბილ ატმოსფეროს ქმნიან.

აზერბაიჯანულ სამზარეულოში ტკბილეულობასაც თავისი ადგილი აქვს. ფირნი, ჩურჩხელა და ერბოფაფა ამ რიგს განეკუთნება.

აზერბაიჯანული ტკბილეულობაც ძალზედ მდიდარია. გვაქვს სხვადასხვა სახის ხალვა: სამანის ხალვა, შექის ხალვა, დაორთქლილი ხალვა, ნიშასტას ხალვა და სხვა. ჩვენებური ხალვები ყველას მოსწონს, ვინც კი აზერბაიჯანს ესტუმრება. შექის ხალვა არათუ აზერბაიჯანში, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმაც ცნობილია.

აზერბაიჯანულ სამზარეულოში სხვადასხვა შარბათებიც შედის. შერბათების მომზადებისას ლიმონს, რეიჰანსა და პიტნას მოიხმარენ.

ყოველ დღე რაც არ უნდა ვჭამოთ, სუფრაზე აუცილებლად პური გვაქვს. აზერბაიჯანლებს პური ძლიერ უყვართ და მისადმი წმინდა დამოკიდებულება აქვთ.

როგორი გემრიელი და სასარგებლოც არ უნდა იყოს, ბევრი ჭამა არ შეიძლება. ამან შეიძლება საჭმლის მონელების სისტემა მოგვიშალოს და წონაც მოგვიმატოს. ამიტომაც საჭიროა სუფრა მთლად გაძღომამდე მივატოვოთ

1. რატომ განსხვავდება სხვადასხვა ხალხების სამზარეულო?
2. რატომაა მდიდარი აზერბაიჯანული სამზარეულო?
3. ჩვენი ეროვნული სამზარეულოს ცომეულით მომზადებულ რომელ კერძებს იცნობ?
4. როცა ჩაის სუფრას შლით, იქ რა უნდა დააწყოთ?
5. კიდევ რომელ აზერბაიჯანულ ტკბილეულობას იცნობ?
6. ჩამოთვალე პროდუქტები, რომლებიც მოიხმარება სურათზე მოცემული კერძების მომზადებისას.

36

ჩვენი დღესასწაულები

რომელი დღესასწაულები გვაქვს? ეს დღესასწაულები როგორია? ალბათ ამის შესახებ უკვე გარკვეული ინფორმაცია გაქვს. ეს ტექსტი რომ წაიკითხო, ინფორმაციას კიდევ უფრო გაიმდიდრებ.

ჩვენი დღესასწაულები ეროვნულ ფასეულებათაგანია. დღესასწაული, რომელიც აზერბაიჯანელ ხალხს ყველაზე მეტად უყვარს, ნოვრუზ ბაირამია. ნოვრუზ ბაირამს 20-24 მარტს ავღნიშნავთ. ამ ბაირამის ისტორია ისევე უძველესია, როგორც აზერბაიჯანელი ხალხის ისტორია. დღესასწაულს, რომელიც უკავშირდება გაზაფხულის მოსვლასა და მიწის გამოღვიძებას, ხალხი მწვანედ აბიბინებული სამანით (თიხის ჭურჭელში საგანგებოდ მოყვანილი ჯეჯილი ი.მ.) ეგებება. ათასწლოვანი ისტორია გააჩნია კვერცხის შეღებვას, ჭიაკოკონის დანთებასა და კოცონზე გადახტომას, რომლებიც სხვა რიტუალებთან ერთად ნოვრუზის დღესასწაულზე ხორციელდება. ნოვრუზი სიკეთისა და სიუხვის დღესასწაულია.

სურ. 1. ნოვრუზის ადათ-წესები

სურ. 2. შეხვედრა ომის ვეტერანებთან

ყოველწლიურად 9 მაისს ჩემი თანაკლასელები ომის ვეტერანებს ხვდებიან, მათ გამარჯვების დღეს ულოცავენ. ეს უკვე ტრადიციად გვექცა. პირველი კლასიდან მოყოლებული ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ასე ავღნიშნავთ.

28 მაისი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ძვირფასი დღესასწაულია. რადგანაც 1918 წლის ამ დღეს აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი არსებობის შესახებ მსოფლიოს განუცხადა. ასე, რომ ჩვენი რესპუბლიკის შექმნის თარიღი ამ დღეს უკავშირდება. 15 ივნისი- -აზერბაიჯანის ეროვნული ხსნის დღე და 26 ივნისი-- აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღე-- ჩვენთვის უაღრესად ღირსსახსოვარი დღეებია. რადგანაც ორივე ეს დღე ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვასა და აღორძინებას უკავშირდება. 9ნოემბერი აზერბაიჯანის რესპუბლიკის დროშის დღეა. ეს დღე აზერბაიჯანის სახელმწიფო

სურ. 3. სამხედრო აღლუმი

სურ. 4. აზერბაიჯანისრესპუბლიკის სახელმწიფო დროშის მოედანი

დროშის, როგორც სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს დამტკიცების დღეა. 31 დეკემბერი კი მსოფლიო აზერბაიჯანელების სოლიდარობის დღეა. ეს დღესასწაული ჩვენი საყოველთაო ლიდერის ჰეიდარ ალიევის ინიციატივით 1991წელს გამოცხადდა. მას ძლიერ სურდა, რომ მსოფლიოში მცხოვრები აზერბაიჯანელები აზერბაიჯანის ირგვლივ გაერთიანებულიყვნენ.

ჩვენს ქვეყანაში ასევე აღინიშნება 8 მარტი- ქალთა საერთაშორისო დღე, მუსლიმანების წმინდა რამაზანი და ყურბან ბაირამები. სადღესასწაულო დღეები უქმე დღეებია.

18 ოქტომბერს აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს, 12 ნოემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის დღესა და 17 ნოემბერს ეროვნული აღორძინების დღესაც ავღნიშნავთ. ესენი ღირსშესანიშნავი დღეებია.

სადღესასწაულო დღეებისაგან განსხვავებით ღირსშესანიშნავი დღეები სამუშაო დღეებია. დღესასწაულები და ღირსშესანიშნავი დღეები გამოხატულებაა იმისა, რომ ჩვენ ვარსებობთ როგორც ხალხი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ზოგი დღესასწაულები და ღირსშესანიშნავი დღეები საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უკავშირდება. მაგალითად 8 მარტი- ქალთა საერთაშორისო დღე ქალების დღესასწაულია. 1 ივნისი- ბავშვების საერთაშორისო დაცვის დღე, როგორც ღირსშესანიშნავი დღე ბავშვებს უკავშირდება. თუმცა ორივე ამ დღეს მთელი საზოგადოება აღნიშნავს.

არის ისეთი ღირსშესანიშნავი დღეები, რომელებიც მხოლოდ ერთ ოჯახს ეხება. დაბადების დღეები, რომელსაც მეგობრების წრეში ავღნიშნავთ სწორედ ასეთ დღეთაგანია.

1. რატომაა, რომ 9 მაისს ომის ვეტერანებს განსაკუთრებულად ვულოცავთ?
2. აზერბაიჯანში რომელი ღირსშესანიშნავი დღეები აღინიშნება?
3. რით განსხვავდებიან დღესასწაულები ღირსშესანიშნავი დღეებისაგან?
4. რა იცი ღირსშესანიშნავი დღეების შესახებ? მოყევი, ან დაწერე.
5. მე-4 სურათის მიხედვით დაწერე ესე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის მოედნის სიდიადეზე.

37

ქცევის წესები

სურ. 1. გამარჯობა, მასწავლებელო!

როცა მასწავლებელი საკლასო ოთახში შემოდის, ყველანი ფეხზე ვდგებით. ეს სკოლის წესთაგანია. ამ წესს არცერთი ბავშვი არ არღვევს.რადგანაც უფროსების წინაშე ფეხზე წამოდგომა პატივისცემისა და მოწიწების გამოხატულებაა.

სკოლაში, ოჯახში თუ ქუჩაში გარკვეულ წესებსვიცავთ. რა სარგებელიმოაქვსწესების დაცვას? რატომაა ცუდი წესის დარღვევა? ამ შეკითხვების პასუხების ცოდნა აუცილებელია. იმისათვის, რომ პასუხები გაიგო, შეგიძლია წინამდებარე ტექსტი წაიკითხო.

ყველა სკოლას, უფრო მეტიც, კლასსაც კი თავისი წესები აქვს. მოსწავლეები კი მოვალენი არიან ეს წესები დაიცვან. სკოლასში არის წესები, რომელთა დაცვაც მასწავლებლებსაც ევალებათ.

წესებს თავად ადამიანები ქმნიან. წესები აადვილებს ადამიანების ცხოვრებას. მაგალითად სასკოლო წესების დაცვა დისციპლინას უყრის საფუძველს. ეს კი თავის მხრივ დადებით გავლენას ახდენს განათლების ხარისხზე. ამიტომაც ადამიანები იცავენ წესებს, რომლებიც დადგენილია იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ, მათ სამუშაო ადგილას თუ სასწავლო დაწესებულებაში. წესების დაცვა ადამიანებს შორის ურთიერთობაზეც ახდენს გავლენას. იმ მოსწავლეთა ყოფაქცევა, რომლებიც წესს არ დაგიდევენ, მასწავლებლებისა და მოსწავლეების უკმაყოფილებას იწვევს.

ოჯახში არსებული წესების დაცვა ადამიანს ეხმარება, რომ მან ოჯახის წევრებისა და უფროსების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახუროს. თუ ვიცავთ ცხოვრებაში დადგენილ საერთო წესებს, ეს წესრიგის გაბატონებას უზრუნველყოფს. იმ ადამიანებს, რომლებიც წესრიგს იცავენ და მათ არასოდეს არღვევენ, მეზობლებიც პატივს სცემენ.

ადამიანები კანონებსაც იცავენ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ის ვინც კანონს არღვევს, სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს და ისჯება. წესრიგის დამრღვევნი კი

სურ. 2. ინებეთ, დაბრძანდით!

კანონით არ ისჯებიან. წესრიგის დამრღვევნი გარეშემო მყოფთა გულისწყრომას იმსახურებენ. ზოგიერთ შემთხვევაში წესების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმაა გათვალისწუნებული. თუმცა ის, ვინც თავისთავსა და ირგვლივ მყოფთ პატივს სცემს, წესრიგს არასოდეს არღვევს.

ადამიანი სადაც არ უნდა წავიდეს, იქაურ წესებს უნდა სცეს პატივი. ამისათვის საჭიროა, ყურადღებით ვიყოთ, იქაური წესები შევისწავლოთ და ვეცადოთ არ დავარღვიოთ.

აზერბაიჯანელი ხალხი ცნობილია თავისი სტუმარმოყვარეობით, სისადავითა და თავაზიანობით. ჩვენი ხალხის ამ თვისებებს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ყველა სტუმარი გრძნობს და მას როგორც უმაღლესი ზნეობრივი კულტურის გამოვლინებად აფასებს. ჩვენ ამ თვისებებს უნდა გავუფრთხილდეთ და სადაც არ უნდა წავიდეთ, უნდა ვეცადოთ ჩვენი ხალხის ღირსეულად წარდგენას.

1. რატომ ქმნიან ადამიანები წესებს?
2. ჩამოთვალე თქვენი სკოლის წესები. ან წესებს შორის რომლის დაცვა უფრო მიგაჩნია აუცილებლად?
3. რომელი წესების დაცვაა საჭირო კინოთეატრებსა და თეატრებში?
4. რაში მდგომარეობს კანონისა და წესების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები?
5. შეადგინე ყოფაქცევის წესები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მიგაჩნია აუცილებლად.

38

დაუმთავრებელი ნაკემსი

ომში ადამიანები კარგავენ თავიანთ ახლობლებსა და ნათესავებს. ისპობა ისტორიული ძეგლები და ხელოვნების ნიმუშები. ომს სხვა უარყოფითი შედეგებიც მოჰყვება ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი შედეგი ფსიქოლოგიური ზემოქმედება გახლავთ. ქვემოთ მოყვანილ მოთხრობაში ლაპარაკია იმაზე, თუ ყარაბაღის ომმა როგორი უარყოფითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა ადამიანებზე.

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოვაწყეთ. სხვა სკოლის მოსწავლეებიც გვესტუმრნენ. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ყველას მოეწონა. ჩვენი გოგონების ნაკემსები და ბიჭების მიერ ფიცარზე ამოტვიფრული ნამუშევრები სტუმრებს ძლიერ მოეწონათ.

ერთ-ერთი მოსწავლე გოგონა ყურადღებით აკვირდებოდა ხელით ნაკემს ნაშრომს, რომელიც ჩვენს თანაკლასელს გამოეტანა გამოფენაზე.მისი თანაკლასელი გოგონები მას საკმაოდ დაშორებოდნენ. გოგონა კი თვალს ვერ აშორებდა ნაკემსს. მასთან მივედით. თვალები ამღვრეოდა. ვკითხეთ თუ რა ხდებოდა? მან თავისი დედის შესახებ საინტერესო და საკმაოდ სევდიანი ამბავი გვიამბო. თურმე ხოჯალოს საშინელი გენოციდის დროს დედამისი 12 წლისა ყოფილა. თურმე მას ნაჭერზე კემსვა ყვარებია და ძალიან ლამაზად ჰქარგავდა. ერთ საღამოს, როცა იგი კვლავ ჰქარგავდა, უეცრად ხმაური ატეხილა. ცაში წუილით დაჰქროდა, თურმე, ელვარე ტყვიები. ყველამ თავ-გზა დაკარგა, რა უნდა ექნათ არ იცოდნენ. მთელი ოჯახი გარეთ

სურ. 1. სასკოლო გამოფენაზე

გამოვარდნილა და გაქცეულ ადამიანებს დადევნებიან. ზამთრის ცივ ღამეში ტყვიების ზუზუნსა და სიკვდილის თარეშში ტყე-ტყე გაქცეულან. იმღამეს მრავალი ადამიანი დაღუპულა. ისინი კი ძლივს-ძლივობით გაქცეულან და თავი დაუღწევიათ.

გამოფენაზე მყოფი ბავშვების უმრავლესობა გოგონას ირგვლივ შემოხვეოდნენ და მას გაყურსულები უსმენდნენ. გოგონამ თქვა, რომ ის დაუმთავრებელი ნაკემსი დღესაც მათ სახლში ინახება. და რომ იგი ძლიერ მოსწონს. მისი ნაქარგები, თითქმის ამ ნაკემსის ანალოგიურია. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მასშემდეგ დიდი დროა გასული ნაკემსი ჯერაც დაუმთავრებელია. დედამისს უთქვამს, რომ ძლიერ მინდა ეს ნაკემსი დავამთავრო, მაგრამ არ შემიძლია. როგორც კი მას შევეხები, ის საშინელი ღამე მახსენდება.

თურმე ახლა ამ გოგონას უნდა კემსვა ისწავლოს, რომ დედას ნაკემსი დაამთავროს. გოგონას ნაამბობმა ჩვენზე ძლიერ იმოქმედა.

გამოფენამ კარგად ჩაიარა. გადაწყდა, რომ ზოგიერთი ნამუშევარი გაგზავნონ რესპუბლიკურ გამოფენაზე, რომელიც ასევე მოსწავლეთა ნამუშევრებისაგან შედგება. გამოფენის შემდეგ სტუმრები სკოლის სააქტო დარბაზში მივიპატიჟეთ. იქ ჩვენი სკოლის დირექტორი და მასწავლებლები სიტყვით გამოვიდნენ. სტუმრებმაც წარმოთქვეს სიტყვა. ჩვენი სკოლის მოსწავლეებს მოუწონეს ეს სასიქადულო საქმე. ღონისძიების ბოლოს სცენაზე გამოვიდა ჩვენი თანაკლასელი, მას თავისი ნამუშევარიც თან ჰქონდა. მან დარბაზში მსხდომთ ასე მიმართა:

- ეს ნაკემსი მე მეკუთნის. წეღან სტუმრის ნაამბობი მოვისმინე. ის დაუმთავრებელი ნაქარგები მას რომ მოსწონს, აქ დამთავრებულია. თუ იგი უარს არ იტყვის, მინდა ეს ნამუშევარი მას ვაჩუქო. სურვილი თუ აქვს, კემსვასაც ვასწავლი.

ყველამ ტაში დაუკრა. სტუმარი გოგონაც სცენაზე ავიდა და მადლობა მოიხადა. ნაკემსი გამოართვა და თქვა, რომ ეს მისთვის ძალზედ ძვირფასი საჩუქარია. მას თუ კემსვასაც ასწავლიან, უაღრესად მადლიერი იქნება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილლი მეჯლისის გადაწყვეტილებით 26 თებერვალი «ხოჯალოს გენოციდისა და ეროვნული გლოვის დღედ» გამოცხადდა.

1. რატომ მიიპყრო გოგონას ყურადღება ნაკემსმა, რომელიც გამოფენაზე იყო?
2. რა იცი ხოჯალოს მოვლენების შესახებ?
3. რატომ ვერ დაამთავრა ნაკემსი გოგონას დედამ?
4. რატომ აჩუქა გოგონამ თავისი ნაკემსი სტუმარს?
5. შეაფასე მორალური თვისებები ბავშვებისა, რომლებიც ტექსტშია წარმოდგენილი.

39

დავიცვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა

როცა ვამბობთ „ფასეულებები", რას ვგულისხმობთ? რატომაა საჭირო ფასეულებათა დაცვა? როგორ უნდა დავიცვათ ისინი? იმისათვის, რომ ამ შეკითხვათა პასუხი იცოდე, ეს ტექსტი ყურადღებით უნდა წაიკითხო.

ყოველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა მისი სულიერი სიმდიდრეა. აზერბაიჯანის სახელმწიფოც ცდილობს, რომ ეს ფასეულებები დაიცვას და ამ მიზნით მრავალმხრივ ღონისძიებებს ახორციელებს. ისტორიულ ძეგლებს სახელმწიფო იცავს. მთელ მსოფლიოში ეწევა პროპაგანდა აზერბაიჯანულ მუღამის ხელოვნებას. ჩვენი ხელოვნების მოღვაწენი აზერბაიჯანს ღირსეულად წარმოადგენენ საერთაშორისო გამოფენებზე.

ღირებულებათა დაცვა საერთო სახალხო საქმეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ამ ხალხის ნებისმიერი წარმომადგენლის უწმინდესი ვალია.

გამოჩენილ აზერბაიჯანელ მწერალს მირ ჯალალ ფაშაევს აქვს ერთი უაღრესად საინტერესო რომანი, რომელსაც «ახალგაზრდა კაცის მანიფესტი» ეწოდება. ნაწარმოებში ნაჩვენებია, რომ ერთი ღარიბი ქალი, რომელსაც სონა ჰქვია, უსახსრობის გამო იძულებულია გაყიდოს უსაყვარლესი ხალიჩა, რომელიც თავისი ხელით მოუქსოვია. მას შეახვევს და ბაზარში გაიტანს. იქ ყველა მოიხიბლება ამ ხალიჩის სილამაზით. ამ დროს ხალიჩა ერთ უცხოელსაც მოეწონება. იმის გამო, რომ მას ბევრი ფული აქვს, არც კი შეევაჭრება, მზადაა სონას დადებული ფასი- ათი

სურ. 1. «გაზაფხულის სიმღერა». მხატვარი სათთარ ბაჰლულზადე



სურ. 2. «წელიწადის დრონი». თაბრიზული ხალიჩა

სურ. 3. მომინა ხათუნის მავზოლეუმი

სურ. 4. «სამიანი» თარი, კამანჩა და დაფი

ოქრო გადაუხდოს და ხალიჩა იყიდოს. სონა ჯერ დათანხმდება, მაგრამ უცებ თავის საყვარელ ხალიჩას უცხო ქვეყანაში, უცხოთა ოჯახში კედელზე დაკიდებულს წარმოიდგენს. ხმა, რომელიც მისი სულის სიღრმიდან ამოხეთქავს, სონას გამოაფხიზლებს. ეს ხმა მას ეუბნება, რომ შენთვის ეგზომ ძვირფასი ხალიჩა უცხოეთში, უცხოს სახლში არ უნდა იყოს. როცა ამას გაიფიქრებს, უცხოს გადახდილი ათი ოქრო სონას თვალში ფასს დაკარგავს. „ არ ვყიდიო!" - იტყვის იგი და ხალიჩას აახვევს.

უცხოელი ფასს, რომელსაც ხალიჩისთვის იხდის, ჯერ თხუთმეტ, მერე კი ას ოქრომდე ასწევს. მაგრამ სონა ხალიჩას არ ყიდის.

რატომ მოიქცა სონაასე? იგი ხომ უსახსრო ქალი იყო, რომელსაც ფული სჭირდებოდა. სონა ხვდება, რომ არ შეიძლება ეს ხალიჩა უცხოელს მიჰყიდო. რადგანაც ხალიჩა მარტო მისი არაა. იგი აზერბაიჯანელი ხალხის სულიერი საგანძურია.

ისტორიული ძეგლები, ლამაზი სახლები, იშვიათი ნახატები და ხელოვნების ნაწარმოებები ხალხის საგანძურთა რიგს განეკუთნება. დღეს აზერბაიჯანელი ხალხი ამაყობს თავისი ფოლკლორით,სამუღამო ხელოვნებითა და ისტორიული არქიტექტორული ძეგლებით. ყველა ხალხმა უნდა დაიცვას სულიერი საგანძური, რომელიც მას ეკუთნის, რათა მომავალმა თაობებმა იამაყონ ყოველივე ამით

1. რა შედის ხალხის სულიერ საგანძურში?
2. ვისი ნაწარმოებია «ახალგაზრდა კაცის მანიფესტი»?
3. რატომ არ გაყიდა სონამ ხალიჩა?
4. რა კავშირია სონას საქციელსა და ხალხის სულიერ ღირებულებებს შორის?
5. ღირებულებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს როგორც ხალხის ღალატი?
6. მატერიალური და სულიერი ღირებულებები შეადარე ერთმანეთს.

40

მსოფლიო რელიგიები

რა არის რელიგია? დღეს ყველაზე უფრო გავრცელებული რელიგიები რომლებია? რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან? რაა ის, რაც მათ აახლოვებს? კარგია, ეს ყველაფერი იცოდე. იმიტომ რომ... დანარჩენი კი სჯობს ტექსტში წაიკითხო.

ადამიანები რელიგიას უძველესი დროიდან ემსახურებიან. ისინი მიცვალებულებს დიდ ქვევრებშიმარხავდნენ. მიცვალებულს თან საჭმელს, ჭურჭელს, იარაღს, ტანსაცმელსა და მორთულობას ჩაატანდნენ ხოლმე. ძველ ადამიანებს სწამდად, რომ გარდა იმ ქვეყნისა, რომელშიც ცხოვრობდნენ, არსებობდა კიდევ სხვა ქვეყანა. მოგვიანებით ამ მრწამსის საფუძველზე სხვადასხვა რელიგიები ჩამოყალიბდა.

შორეულ წარსულში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავცელებული იყო რელიგია, რომლესაც ზოროასტრიზმი ეწოდებოდა. ადამიანებს, რომლებსაც ეს რელიგია სწამდათ, სჯეროდად, რომ მათ ცხოვრებას ორი ძალა-კეთილი და ბოროტი განაგებს. კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს. ბოლო ჯამში სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს.

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობას ერთღმერთიანობა სწამს. იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი ერთღმერთიანი რელიგიებია. ერთ ღმერთიანი რელიგიების მიხედვით ცას, სამყაროსა და ყველაფერს, რაც დედამიწის ზურგზეა, ერთი გამჩენი ჰყავს.

იუდაიზმის მოციქული მოსე, ქრისტიანობის მოციქული ქრისტე, ისლამის მოციქული კი მაჰმადია. ამ ერთღმერთიან რელიგიებს თავიანთი წმინდა წიგნები გააჩნიათ. იმის გამო ,რომ ეს წიგნები ღმერთის მიერაა წარმოგზავნილი, მათ ციური წიგნები ეწოდებათ. „ძველი აღთქმა“, „თორა“, „სახარება“, და „ყურანი“ ზეციური წიგნია.

იუდაველებს, ქრისტიან და მუსლიმან მორწმუნებს სჯერათ რომ ყველა ადამიანი თავისი საქციელის სამაგიეროს იმკის.

---

*სამყარო, კოსმოსი

***ღვთისმოსავი** – მორწმუნე ადამიანი

სურ. 1. ეკლესია, ქრისტიანული სამლოცველო.

სურ. 2. სინაგოგა, იუდაველთა სამლოცველო.

სურ. 3. მუსლიმანთა სამლოცველო.

რელიგიები, რომელთაც შესახებაც ვსაუბრობთ, ადამიანებს კარგი საქმეებისაკენ – სულიერი სიწმინდისა და სიკეთისაკენ მოუწოდებენ. ადამიანებს არა მტრებად, არამედ მეგობრობად აქცევენ. მათ მოუწოდებენ, რომ უფროსების მიმართ პატივისცემით, პატარებასა და ავადმყოფების მიმართ მზრუნველობით განეწყნონ. ამიტომაა რომ ამ რელიგიებმა წლებს გაუძლეს და დღემდე არსებობენ.

ისლამის წმინდა წიგნში წერია: „როცა სიკეთეს სჩადით, ამას თქვენთვის აკეთებთ, სიავესაც ასევე“. ან კიდევ: „მას ვისაც სწორი გზა უკავია, თავისთავს ახეირებს, და ვინც გზას ასცდება, ისიც თავისსავე თავს ვნებს“. მსოფლიოში ადამიანები არამარტო ერთ ღმერთიან რელიგიებს, არამედ სხვა რელიგიებსაც ემსახურებიან. იმ რელიგიებს არც ღვთის მიერ ზეგარდმოვლენილი წიგნები აქვთ და არც მოციქული ჰყავთ. თუმცა ამ რელიგიებშიც მრავლადაა აზრი ,რომელიც ერთღმერთიან რელიგიებში არსებულ აზრებს ემთხვევა. ბუდიზმის სწავლების მიხედვით ყველა ადამიანი თავის საქმეთა სამაგიეროს მიიღებს. კარგი საქმეებისთვის დაჯილდოვდება, ცუდისთვის კი დაისჯება. ამიტომაც ადამიანი ცუდს უნდა განერიდოს, საშარო საქმეს მოშორდეს.

ეს აზრი, ინდოეთში ფართოდ გავცელებულ ინდუიზმის რელიგიაშიცაა გატარებული. ინდუიზმის მიხედვით ადამიანი ისეთივია როგორიც მისი საქმენია. კარგის შემოქმედი კარგია, ცუდის მქნელი კი-ცუდი.

ყურანში ნათქვამია რომ, რელიგიაში იძულება არაა.

1. ადამიანების რომელი რწმენა შეადგენს რელიგიის საფუძველს?
2. რას სწამდათ მათ, ვინც ზოროაზტრიზმს აღიარებდნენ?
3. ერთღმერთიან რელიგიებს რა საერთო თვისებები გააჩნიათ?
4. შენი აზრით ჭეშმარიტი მორწმუნე როგორ უყურებს სხვა რელიგიათა მრევლს?
5. ის, რასაც ისლამი, ქრისტიანობა და იუდაიზმი ქადაგებს, რომელი საზიარო ღირებულებებია?
6. დაწერე თემა სახელწოდებით: „რელიგია გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე“.

41

დიდი ქველმოქმედი

რა არის ქველმოქმედება? რატომ მიიჩნევენ ამას უმაღლეს სულიერ თვისებად? გინდა, როცა გაიზრდები შენც ქველმოქმედი იყო? ალბათ ამ შეკითხვების პასუხები გაქვს. თუმცა წინამდებარე ტექსტი ყურადღებით რომ წაიკითხო, დიდი ქველმოქმედის ცხოვრების შესახებ საინტერესო ინფორმაციას მიიღებ.

სურ. 1. ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი

თუ ერთ ოჯახში ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან, ისინი სიძნელეებს ადვილად უმკლავდებიან, და თავიანთ საქმეებში წარმატებებს აღწევენ.

ქვეყნებიც ოჯახებივითაა: თუ მისი მოქალაქეები ერთმანეთს ხელს უმართავენ ,ასეთ ქვეყანაში ცხოვრება სასიამოვნო ხდება. ის კეთილი ადამიანები, რომლებიც თავისი ქვეყნის პროგრესისთვის იღვწიან, მიუხედავად ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა, ყველასთვის სანიმუშონი ხდებიან. ყველა ქვეყნის ისტორიაში არსებობენ ასეთი ქველმოქმედი ადამიანები. მას შემდეგ რაც ისინი გარდაიცვლებიან მათი ხსოვნა ხალხში სამარადისოდ ცოცხლობს.

ზეინალაბდინის მამა ფეხსაცმელების მკერავი იყო. იგი ამ ხელობით შემოსული ფულით ოჯახს აცხოვრებდა. ის თავის უმცროს შვილს ზეინალაბდინს ეტყოდა ხოლმე, შვილო შრომა ნუ შეგაშინებს. ეცადე, არავისზე არ იყო დამოკიდებული. ეს სიტყვები, რომლებიც ზეინალაბდინს მამისაგან ახსოვდა, დღითი დღე მის გულში კუთვნილ ადგილს იკავებდა. მას სურადა, რომ იშრომოს და მამას ოჯახის რჩენაში დაეხმაროს. როცა იგი ათი წლისა გახდა, მამას თხოვა, რომ იგი სადმე სამუშაოდ მოაწყოს. მამამ იგი ერთ კალატოზთან შეგირდად მოაწყო. პატარა ზეინალაბდინი კალატოზისათვის ტალახს ეზიდებოდა და დღიურად ექვს კაპიკს შოულობდა. მან პირველი ხელფასი შინ მოიტანა და მამას მისცა. მამამ ამ ფულით ყველი და პური იყიდა. მერე ხელები ზე აღმართა და ღმერთს შეევედრა: უფალო, დიდი მადლობა რომ ჩემი შვილის მონაგარს ვჭამ. ამ სიტყვებმა ზეინალაბდინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან ერთი ათად უმატა შრომას. თორმეტი წლისამ ქვის თლა, თხუტმეტი წლისამ კი კალატოზობა დაიწყო. ფული მოაგროვა და ნავთობის საქმე წამოიწყო. შემოსავალი დღითი დღე გაეზარდა და თავისი ქვეყნის ერთ-ერთ მდიდარ ადამიანად იქცა. თუმცა

ღარიბებს, ობლებსა და მშივრებს არასოდეს ივიწყებდა. მრავალი ბავშვის სწავლის საფასური გადაიხადა და მათ განათლების მიღებაში დაეხმარა. სკოლებსაც დახმარება აღმოუჩინა. ბაქოში პირველი პროფესიული სკოლა გახსნა. გუბიდან ბაქოში წყალი გამოიყვანა. მერდექენში წისქვილი ააშენებინა, რომელიც ელექტრო ენერგიით მუშაობდა. ეს მხოლოდ ერთი ნაწილია იმ საქველმოქმედო საქმეებისა, რომელიც

ზეინალაბდინ თაღიევმა ჩვენი ხალხისთვის გააკეთა. აზერბაიჯანელი ხალხის წინაშე მისი ერთ–ერთი ყველაზე დიდი დამსახურება ისა, რომ გოგონები განათლებით დაინტერესა.

„ხალხი, რომელსაც გაუნათლებელი დედები ჰყავს, ბრმაა", - ამბობდა ჰაჯი და გოგოების სწავლისათვის ძალისხმევას არ იშურებდა. ამ ოცნების განხორციელების გზაზე მან მრავალ სიძნელეს გაუძლო. იმ დროის ჩამორჩენილ ადამიანებს მისი მოკვლაც კი ჰქონდათ განზრახული. ქალთა სკოლაში რომელიც მან გახსნა პირველად 58 გოგო ჩაირიცხა. მათგან 35 უფასოდ სწავლობდა.

სურ. 2. ქალთა სკოლაში გაკვეთილის დროს.

როცა პატარა იყო ზეინალაბდინს ოცნებად ჰქონდა, ოჯახს დახმარებოდა. მასთან ერთად მისი ოცნებაც გაიზარდა და სამშობლოს, თვისტომების, ერთი სიტყვით, ყველა გაჭირვებულის დახმარების სურვილად იქცა.

მას შემდეგ 100 წელზე მეტმა გაიარა. ახლა ჩვენ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვცხოვრობთ. ბავშვების უფლებებს ჩვენი სახელმწიფო იცავს. ჩვენს ქვეყანაში მცირეწლოვანი ბავშვების მუშაობა კანონით იკრძალება. ახლა ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აზერბაიჯანისათვის ღირსეულ მოქალაქეებად გავიზარდოთ. სამშობლო და ხალხი ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევივით გულით შევიყვაროთ.

1. რომელი ადამიანების ხსოვნას აღნიშნავენ?
2. ვინ იყო ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი?
3. რატომ უნდოდა შრომა პატარა ზეინალაბდინს?
4. მას შემდეგ რაც გაიზარდა, ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევმა რომელი საქველმოქმედი საქმეები განახორციელა?
5. დაწერე ესე სათაურით - „მე რომ ქველმოქმედი ვყოფილვიყავი".

42

შემოსავალი და ხარჯი

რა არის საოჯახო ბიუჯეტი? როგორ ფორმირდება იგი? ოჯახის წევრები როგორ მოქმედებენ ამ საქმეში? რას ნიშნავს „შემოსავალი“ და „ხარჯი“? ტექსტი ყურადღებით წაიკითხე. შენ თვითონ გამოიტანე ამ შეკითხვებთან დაკავშირებულ დასკვნებს.

მოგიყვები ამბავს, რომელიც ერთ ბიჭს გადახდა.

ამ ბიჭს ორი ძმა ჰყავდა. ყოველდილით, როცა სკოლაში მიდიოდნენ, მამა მათ ჯიბის ხარჯს აძლევდა. ძმები ამ ფულს იღებდნენ და მამას მადლობას უხდიდნენ. ეს ბიჭი კი ყოველთვის წუწუნებდა, რადგანაც ფული ეცოტავებოდა.

ერთხელ დილით მამამ მას უფრო მეტი ფული მისცა, ვიდრე ძმებს. ბიჭს ძალიან გაუხარდა. ფული იმავე დღეს ბოლო კაპიკამდე დახარჯა.

მეორე დღეს მამამ მას ძმებთან შედარებით კიდევ მეტი ფული მისცა. ძმებს ეს გაუკვირდათ. თუმცა მამას არაფერი ჰკითხეს და ამ საქმის შედეგს დაელოდნენ. ბიჭი ძმებთან შედარებით ყოველ დღე მეტ ფულს იღებდა და წესისამებრ ბოლო კაპიკამდე ხარჯავდა. კვირის ბოლომდე ასე გაგრძელდა.

მომდევნო ორშაბათს მამამ ძმებს ჯიბის ხარჯი მისცა, ბიჭს კი- არა.

ბიჭს ეგონა, რომ მამას დაავიწყდა ბიჭისთვის ფულის მიცემა. ამიტომაც უთხრა:

-მამა, ჩემთვის ჯიბის ხარჯის მოცემა დაგავიწყდა.

მამამ კი პასუხად მიუგო:

-არა, შვილო, მე შენ ჯიბის ხარჯი მოგეცი, ეტყობა შენ დაგავიწყდა.

ბიჭმა ხელები და ჯიბეები უჩვენა და უთხრა: ვერა ხედავ, ხელებიცა და ჯიბეებიც ცარიელი მაქვს. ფული ჩემს ძმებს მიეცი, მე კი არ მომეცი.

მამამ ჩაიღიმა და უთხრა:

-მოგეცი, შვილო. ჩვენი საოჯახო ბიუჯეტის მიხედვით კვირის განმავლობაში მხოლოდ ამდენი ფულის მოცემა შემიძლია. მაგრამ გავითვალისწინე შენი უკმაყოფილება და ორკვირიანი ჯიბის ხარჯის ფული ერთ კვირაში მოგეცი. სწორად რომ გეხარჯა ახლა უფულოდ არ დარჩებოდი.

სურ. 1. ძმები

ბიჭი მიხვდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში მამას სახარჯი ფული არ უნდა სთხოვოს. რადგანაც ამ კვირისთვის მისთვის გათვალისწინებული ფული მას უკვე დაეხარჯა.

უფროსმა ძმამ, რომელიც მათ საუბარს ისმენდა თქვა:

-მე ჩემი ჯიბის ფულს ხელმომჭირნედ ვხარჯავ. ამიტომაც ახლა საკმაოდ ფული მაქვს. ამ კვირას ჯიბის ფულს მე მოგცემ. - ბიჭს ძლიერ შერცხვა. მან ძმას მადლობა

გადაუხადა. ამ ამბის შემდეგ, როცა მამა ფულს აძლევდა,აღარ წუწუნებდა. იგი მიხვდა, რომ მიუხედავად თანხის რაოდენობისა, ჯიბის ფული ყაირათიანად უნდა დახარჯო.

მშობლები ცდილობენ, რომ თავინთ შვილებს ყველა სურვილი აუსრულონ. მაგრამ ზოგჯერ ოჯახის შემოსავალი არ იძლევა საშუალებას, რომ იყიდო ყველაფერი, რაც ბავშს უნდა. ამიტომაც, როცა უფროსები ვერ ყიდულობენ ყველაფერს, რაც მათ უნდათ, მშობლებისგან არ უნდა ეწყინოთ.

ყველა ოჯახს თავისი ბიუჯეტი აქვს. როგორ ფორმირდება ოჯახის ბიუჯეტი?

ავიღოთ ოჯახი, სადაც დედ-მამა, პაპა და ბებია და ორი ბავშვი ცხოვრობს. დავუშვათ, ამ ოჯახში მამა მწერალია. იგი ნაწარმოებებს წერს და სთავაზობს გამომცემლობას. გამომცემლობა ამ ნაწარმოებს ბეჭდავს და სამაგიეროდ მას **ჰონორარს**, ანუ ჯაფის საფასურს უხდის. დედა მასწავლებელია. სკოლაში მუშაობს და ყოველთვიურ **ჯამაგირს** იღებს.

ბებია და პაპა არ მუშაობენ. ისინი **პენსიონრები** არიან. ბიჭი უნივერსიტეტის სტუდენტია. კარგად სწავლობს და **სტიპენდიას** იღებს. გოგონა კი სკოლის მოსწავლეა. მას შემოსავალი არ გააჩნია. ამ ოჯახში ყველას შემოსავალი ერთად იკრიბება და საოჯახო ბიუჯეტს შეადგენს. ფული, რომელიც საოჯახო ბიუჯეტში იყრის თავს, ოჯახის ხარჯებს ხმარდება. ოჯახის თავკაცი ცდილობს, რომ ეს ხარჯები შემოსავალს არ აღემატებოდეს.



სურ. 2. საოჯახო ბიუჯეტი

როცა შემოსავალი აღემატება ხარჯს, მაშინ ოჯახის სათადარიგო ფული გროვდება. ჩნდება საშუალება, რომ ეს ფული სხვა მოთხოვნებს მოხმარდეს და ოჯახმა უკეთ იცხოვროს.

1. მოთხრობილ ამბავში მამა ბავშვებს უფრო მეტ ჯიბის ფულს რატომ ვერ აძლევდა?
2. რა ხდება, როცა ოჯახის ხარჯები შემოსავალს აღემატება?
3. კიდევ რომელი შემოსავალი შეიძლება გააჩნდეთ ოჯახის წევრებს?
4. ოჯახს რომელი მოთხოვნილებები აქვს?
5. ჯიბის ფულს, რომელიც შენ გეძლევა, როგორ ხარჯავ?
6. ა)ოჯახის ერთკვირიანი მოთხოვმილებები ჩამოაყალიბე და განრიგის მიხედვით დაალაგე. ბ) დაიანგარიშე ფული, რომელიგ ამას დასჭირდება.

43

ხალხების საურთიერთო წესები

„სალამი“- როგორც წყალსა და პურს, ამ სიტყვასაც ყოველდღე მოვიხმართ. მსოფლიოს ყველა წერტილში ასეა. რადგანაც უამისოდ ცხოვრება შეუძლებელია. ყველა ხალხს მისალმების თავისებური წესი აქვს. მაგრამ ყველა ერთმანეთს ესალმება. რატომ ესალმებიან ადამიანები ერთმანეთს? ეს რა საჭიროა? ამის თაობაზე დაფიქრებულხარ? წინამდებარე ტექსტს თუ წაიკითხავ, ნახავ, რომ, ამ თემის ირგვლივ ერთობ საინტერესო გამოკვლევები შეიძლება ჩაატარო.

სურ. 1. მისალმება

მისალმება გახლავთ ეთიკურ წესთაგანი, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობას განამტკიცებს და მათ შორის თბილ გარემოს ამყარებს. როცა ადამიანი ადამიანს ესალმება, ახდენს ყურადღების, პატივისცემისა დაკეთილგანწყობის დემონსტრირებას. მუსლიმანურ ქვეყნებში, მათშორის აზერბაიჯანშიც, მისალმებისას „სალამ ალეიქუმ“-ს ამბობენ და პასუხად კი „ას-სალამუ ალეიქუმ“-ს ღებენ. რაც ნიშნავს, რომ „ალაჰმა მშვიდობა და სიმშვიდე არ მოგაკლოს“. ისლამის წმინდა წიგნ ყურანში წერია, რომ როცა თქვენ გესალმებიან, იგი უფრო ლამაზ ფორმაში მიიღეთ და პატრონს ასევე დაუბრუნეთ!

ამერიკასა და ევროპაში

იაპონიაში

ინდოეთში

სურ. 1. მისალმების წესები: ევროპასა და ამერიკაში, იაპონიაში, ინდოეთში

ევროპული ქვეყნების უმრავლესობასა და ამერიკაში მისალმებისას «როგორ ხარო», ან როგორაა საქმე-ო» ეკითხებიან და პასუხობენ- «კარგად», ან «ნორმალურად», რადგანაც «ცუდად» რომ უპასუხონ, ეს ცუდ ტონად ითვლება.

ინდოეთში მისალმებისას ხელისგულებს ერთმანეთს მიაბჯენენ და მკერდზე იდებენ.

არაბები ხელებს მკერდზე იწყობენ. თუ ევროპულ ქვეყნებში მისალმება ძალზედ მშრალი და მოკლეა, არაბულ ქვეყნებში ეს პირიქითაა. მოკითხვა და საქმე როგორ მიდისო შეკითხვა შეიძლება მერე კიდევ განმეორდეს. უცხო პირების ქალებისადმი მიმართვა, ან შეხვედრისას ხელის ჩამორთმევა, უზრდელობად ითვლება.

ჩინეთში ფართოდაა გავრცელებული ხელის მაგრად ჩამორთმევა. ჩინელებისაგან განსხვავებით ევროპელებს ხელის ჩამორთმევით მისალმება არ

უყვართ. ამის სამაგიეროდ ერთმანეთს თავს უხრიან. სალმის მიღებისას საჭიროა მეორე მხარემაც ასევე დახაროს თავი.

1973 წლიდან მოყოლებული 21 ნოემბერს ყოველწლიურად საერთაშორისო მისალმების დღე აღინიშნება. საერთაშორისო მისალმების დღის წესების შესაბამისად იმ დღეს ნაცნობი,თუ უცნობი, ყველა ესალმება ერთმანეთს.

მსოფლიოშო ორასზე მეტი ქვეყანაა. და ყველა ქვეყანას თავისი წეს-ჩვეულებები აქვს. მაგალითად ჩინეთში ძალზედ დიდ ყურადღებას აქცევენ ეთიკურ წესებსა და ნორმებს. თუ გინდა რომ ჩინელს საჩუქარი მიართვა, უნდა გაითვალისწინო, რომ ყველაზე მცირე ზომის საჩუქარიც კი ორი ხელით უნდა მიართვა. ჩინელები სავიზიტო ბარათსაც კი, პატივისცემის ნიშნად, ორი ხელით იძლევიან.

იაპონელები ძალზედ სტუმარმოყვარენი არიან. თუ ისინი შინ მიგიპატიჟებენ, ეცადე ეწვიო. მაგრამ სახლში რომ შეხვალ, ფეხსაცმელების დახდა არ დაგავიწყდეს. იაპონელებს შინ ფეხსაცმლით შესვლა არ უყვართ.

იმის გამო, რომ ინდოეთში ძროხა და მაინუნი წმინდა ცხოველებად ითვლებიან, მათი შეწუხება იკრძალება. ეს ცხოველები რომ შეაწუხო, ინდოელებს გულზე მოხვდებათ.

ტაილანდში დიდ ცოდვად ითვლება თავის არეში შეხება, რამეთუ მათი აზრით «იქ სული ბინადრობს».

რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წახვიდე, აუცილებელია ყურადღებით დაუკვირდე იქაურ წეს-ჩვეულებებსა და ქცევის ნორმებს. ამნაირად შეიძლება შეისწავლო ტრადიციები, რომლებიც იმ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ასეთ შემთხვევაში იქაურ წესებს არ დაარღვევ და ადგილობრივების პატივისცემასაც დაიმსახურებ. რადგანაც ყველა ხალხს სურს, რომ მათ წეს-ჩვეულებებს პატივი სცენ.

1. შენი აზრით, ევროპელები ურთიერთ მოკითხვისას «ცუდად»-ის თქმას რატომ მიიჩნევენ უზრდელობად?
2. როგორ გავლენას ახდენს ადამიანის განწყობაზე მისალმება?
3. რომელი ხალხის მისალმების წესი მოგეწონა? რატომ?
4. შეადგინე სხვადასხვა დიალოგები, რომლებიც აზერბაიჯანში მისალმების წესს ასახავს.
5. შეკრიბე სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაცია, რომელიც შეეხება მსოფლიო ხალხების საურთიერთო წესებს.

44

იწყება საზაფხულო არდადეგები

მესამე კლასს ამთავრებ. რას მიაღწიე ამ წლის განმავლობაში? მოდი, ამის თაობაზე ერთად დავფიქრდეთ.

დამთავრდა სასწავლო წელი. მესამე კლასი დავამთავრეთ. ცოტაც წამოვიზარდენით. ცოდნა და გამოცდილება კიდევ უფრო მოგვემატა. ჩვენი თანაკლასელები კიდევ უფრო კარგად გავიცანით. სამი წლის განმავლობაში თავისი ცოდნითა და ნიჭით თვითოეული ჩვენთაგანი ცნობილი გახდა სკოლაში. აქტიურად ვმონაწილეობდით სკოლის ცხოვრებაში.

ღონისძიებებზე ჩვენც დაგვასახელეს, ახალი მეგობრები გავიჩინეთ. ახლა, არათუ მხოლოდ ჩვენს სკოლაში, სხვა სკოლებშიც გვყავს მეგობრები.

გარესამყაროს შესახებაც მოგვემატა ცოდნა. უკვე შეგვიძლია ავხსნათ ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენა. დედამიწისა და მისი მცენარეულობის შესახებ საკმაოდ ინფორმაცია დავაგროვეთ. გაგვიმდიდრდა ცოდნა ცხოველთა სამყაროს შესახებ.

ახლა უფრო მეტი ვიცით ჩვენი სამშობლოს ისტორიის, ბუნებისა და ადათ-წესების შესახებ. გაგიფართოვდა წარმოდგენა აზერბაიჯანის, აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის, მიწისქვეშა და მიწისზედა რესურსების შესახებაც. ახლა ჩვენი ეროვნული სამზარეულოს შესახებაც უფრო მეტი ვიცით.

გავეცანით დღესასწაულებსა და ღირსშესანიშნავ დღეებს.

ბუნებაში თუ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით უკვე გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას, რომელიც ეფუძნება მიღებულ ცოდნას. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ ამ საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრები ვართ. ჩვენ გვაქს მოქალაქისა და ბავშვის უფლებები. სახელმწიფო იცავს ჩვენს უფლებებს. ანუ ის, ვინც შეეცდება ხელყოს ჩვენი ჯანმრთელობა, ან ხელი შეგვიშალოს განათლების მიღებაში, ანდა შელახოს ჩვენი სხვა უფლებები, სახელმწიფოს მიერ ისჯება.

სახელმწიფოს მიერ ჩვენთვის შექმნილ პირობებსა და ჩვენს უფლებებზე დაყრდნობით შეგვიძლია საფუძვლიანი განათლება მივიღოთ და ჯანმრთელ, ჭკვიან, გამოცდილ პიროვნებებად ჩამოვყალიბდეთ. ამ ხნის განმავლობაში შეგვიძლია როგორც ჩვენთვის, ასევა ჩვენი ოჯახებისა და სამშობლოსათვის კარგი საქმეები განვახორციელოთ.

გიყვარდეს სამშობლო და იყო მისი ღირსეული მოქალაქე, ეს ყველა მოქალაქის ვალია. აზერბაიჯანის სიყვარული მისი ბუნების დაცვითა და მისი სახელის თაყვანისცემით იწყება.

აზერბაიჯანელი ხალხის საყოველთაო ლიდერი ჰეიდარ ალიევი მარად ამაყობდა რა თავისი ეროვნული კუთნილობით, ამბობდა: „მე ყოველთვის ვამაყობდი და დღესაც მეამაყება, რომ აზერბაიჯანელი ვარ!“

ჩვენი ცხოვრების წესი უნდა იყოს ის, რომ აზერბაიჯანელის სახელს ყოველთვის ღირსეულად ვატარებდეთ და ვუფრთხილდებოდეთ მას.

ვეცდებით ახალი უნარ-ჩვევები შევიძინოთ, ცხოვრებას დავუკავშიროთ ის, რაც სახელმძღვანელოებში გვისწავლია და დაგროვილი ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვიყენოთ. რადგანაც „სამყაროს შემეცნების" გაკვეთილს მხოლოდღა კლასში მასწავლებლისგან და მარტო სახელმძღვანელოდან როდივსწავლობთ. სამყაროს ამავე დროს თავად ცხოვრების მეშვეობითაც შევიცნობდით. მასწავლებელი და სახელმძღვანელო კი ამ საქმეში გვეხმარება.

რა ისწავლე «სამყაროს შემეცნების» გაკვეთილიდან? შენი ცოდნა გადაამოწმე

1. რატომ უჭირავს სკოლას მნიშვნელოვანი ადგილი ადამიანის ცხოვრებაში?
2. რომელი თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ ნამდვილი მეგობარი იყო?
3. რატომ უწოდებენ შემოდგომას «ოქროს შემოდგომას»?
4. ცვლილებები, რომლებიც წელიწადის სხვადასხვა დროს ხდება, რითაა განპირობებული?
5. როდის მოჩანს ცისარტყელა?
6. რატომაა აუცილებელი, დავიცვათ ჰიგიენური წესები?
7. რომელი ავადმყოფობები გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე კოღოების მეშვეობით?
8. რატომ ითვლება თევზეულობა სასარგებლო საკვებად?
9. რა ეწოდება თევზების სასუნთქ ორგანოს?
10. რას უწოდებენ სხვანაირად წყლისა და ხმელეთის ბინადართ?
11. რა განასხვავებს ადამიანს სხვა სულიერთაგან?
12. როდის შეიქმნა აზერბაიჯანის რესპუბლიკა?
13. დაასრულე ანდაზა: «თუ პური უხვად იქნება, არ დამარცხდება...»
14. რა გაკეთდა იმისათვის, რომ ბუნება დაცული იყოს კასპიის ზღვაზე?
15. მათი რიცხვის მიხედვით აზერბაიჯანს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. რაზეა საუბარი?
16. რომელ თვეში აღინიშნება მსოფლიო აზერბაიჯანელების სოლიდარობის დღე?
17. ვის ეკუთნის ის, რაც ჩვენი ქვეყნის მუზეუმებში ინახება?
18. რა მოხდება, თუ ხარჯი შემოსავალს აღემატება?
19. რა არის საზოგადოება?
20. რა არის ტრადიცია?
21. კასპია სინამდვილეში დიდი ტბაა, რადგანაგ მას...
22. დაამთავრე წინადადება: «... 1918 წლის 28 მაისს შეიქმნა...»

45

საზაფხულო დავალებები

წინ საზაფხულო არდადეგებია. ყველა აქედანვე გეგმავს, თუ სად გაატარებს საზაფხულო არდადეგებს და არდადეგების დროს რით იქნება დაკავებული. შენს თანაკლასელთაგან ზოგი ზაფხულის არდადეგებზე ეწვევა თავის ნათესავებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ. ზოგი კი თავის მშობლებთან ერთად სამოგზაუროდ წავა. დრო ძალზედ ძვირფასია. დაუშვებელია მისი უაზროდ ხარჯვა. ამიტომაც სადაც არ უნდა იყო, ეცადე, ის, რაც მესამე კლასში ისწავლე შენეული დაკვირვებებით განამტკიცო.

სურ. 1. ბუნების წიაღში

შენ უკვე მრავალი ბუნების მოვლენის მნიშვნელობა იცი. „სამყაროს შეცნობის" გაკვეთილებზე მცენარეებსა და ცხოველებზე საკმაოდ ცოდნა დააგროვე. ამ ცოდნის საფუძველზე შეგიძლია ზაფხულში დაკვირვებები აწარმოო და გამოცდილება გაიმდიდრო. ამისათვის საჭიროა ზაფხულში დასვენების პარალელურად ქალაქსა თუ სოფელში, მინდორში თუ ტყეში ყველაფერს ყურადღებით დააკვირდე. ხილული დაიმახსოვრე და შესაბამისი დასკვნები გამოიტანე. ზაფხულის განმავლობაში დააკვირდი საქმიანობას, რომელსაც აწარმოებენ პარკებსა ,თუ ბაღ-ბოსტნებში. დააკვირდი მცენარეებსა და ცხოველებს. ბაღ-ბოსტნებში მუშაობისას ყურადღება მიადევნე მცენარეთა მორწყვის წესებს, მათ გაზრდა-გაფურჩქვნასა და ნაყოფის მოსხმას.

დაუკვირდი რომელი მცენარეების ყვავილებზე ჯდებიან ფუტკრები და როგორ ხდება მათი დამტვერვა. ბაღ-ბოსტნებში უფროსების დახმარებით კლანჭა ბალახები გამოაცალკევე.

დააკვირდი მწერებს, რომლებიც მცენარეებზე დაღოღავენ. შეეცადე გაარკვიო, მათგან რომელია საზიანო. მცენარეებს მინდორშიც დაკვირდი. მათი ტანი, ფოთლები და ფესვები კარგად დაათვალიერე. გაიხსენე რა იცი მცენარეების შესახებ. გაარკვიე მათგან ბალახი რომელია, ბუჩქი რომელი და ხე რომელი. როცა ტყეში იქნები, ყურადღება მიაქციე, რომელი ხე მზისკენაა მიმართული, რომელი კი უფრო ჩრდილშია ამოზრდილი.

დააკვირდი სოკოებს, რომლებიც ხის ტანზეა ამოზრდილი. გაარკვიე ისინი რა ზიანს აყენებენ ხეს. იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც იცი, შეეცადე გაარკვიო, იგი საჭმელად ვარგისია, თუ შხამიანია. თუ მინდორში მოხდები და ჩაის პლანტაციებსა და ბამბის ბუჩქებს ნახავ, გაარკვიე რით განსხვავდებიან მათი ბუჩქები. დააკვირდი ჩაისაც და ბამბის ბუჩქის ყვავილებსაც. გააკეთე ჰერბერი ჩაის ფოთლებისაგან.

გამოიჩინე სიფრთხილე ზაფხულში კლანჭა ბალახების მოსუფთავებისას და ჰერბარის გაკეთებისას. რადგანაც არსებობენ ისეთი შხამიანი მცენარეები, რომელთა შეხებაც არ შეიძლება.

დააკვირდი ცხოველებს, რომლებიც წყლის აუზებში ცხოვრობენ. გაარკვიე წყალში რომელი მცენარეები ხარობენ. მიაქციე ყურადღება რით განსხვავდება წყალმცენარე ხმელეთის მცენარისაგან. ნუ დაგავიწყდება წყალმცენარეებისგანაც ჰერბარის გაკეთება.



სურ. 2. ჰერბარის გაკეთება

შორი მანძილების მოკლე ხანში დასაფარავად თვითმფრინავი ყველაზე ხელსაყრელი ტრანსპორტია. მაგრამ თუ მგზავრები უსაფრთხოების წესებს არ დაიცავენ, ეს შეიძლება ავიაკატასტროფის მიზეზი გახდეს. თვითფრინავში ჩაჯდომისას აუცილებელია მობილურუ ტელეფონები და ამ ტიპის ტექნიკური საშუალებები გავთიშოთ. რადგანაც ფრენის დროს ამგვარი ხელსაწყოების გამოყენებამ გომორიცხული არ არის ხელი შეუშალოს თვითმფრინავის უაღრესად მგრძნობიარე აპარატურას. თვითმფრინავის აფრენისას და დაფრენისას ფეხზე დგომა არ შეიძლება. ამ დროს ყველა მგზავრი თავის ადგილას უნდა იჯდეს და უსაფრთხოების ქამარი ჰქონდეს შემოჭერილი.

გემით მგზავრობაც მოითხოვს დაცული იყოს უსაფრთხოების წესები. მგზავრები გემბანის კიდეს არ უნდა მიუახლოვდნენ. მაშველი რგოლისა და უსაფრთხოების ქამრის მოხმარების წესები ყურადღებით უნდა დაეუფლოონ.

ზაფხულის თვეებში სწრაფად მრავლდებიან მიკრობები. მუცლის ტკივილი, გულღებინება და მაღალი სიცხე შეიძლება ახლდეს კუჭაშლილობით გამოხატულ ავადმყოფობას. ამიტომაც ზღვაში, თუ აუზში ბანაობისას შეეცადეთ, წყალი არ ჩაყლაპოთ.

ჭამის წინ გასაფცქვნელი ხილ-ბოსტნეული გაფცქვენი. ის, რაც არ იფცქვნება, კარგად გარეცხე. ნუ მიღებ საკვებს, რომელზეც ბუზი იყო დაფრენილი.

ნუ დაგავიწყდება რომ, ზაფხულის განმავლობაში შეიძლება გავრცელდეს მალარია, რომელიც კოღოების მეშვეობით გადადის. ზაფხულში ბევრი კოღოა. კოღოები საღამოს საათებში განსაკუთრებით აქტიურდებიან. ასეთ დროს, იმისათვის რომ კოღოს კბენას გადაურჩე, კარგი იქნება, თუ ისეთ ოთახს შეაფარებ თავს, რომელსაც კარ-ფანჯრები წვრილად ნაქსოვი ბადით აქვს დაგმანული.

HƏYAT BİLGİSİ
Ümumtəhsil məktəblərinin 3-cü sinfi üçün
«Həyat bilgisi» fənni üzrə dərslik
Gürcü dilində
Bakı, «Aspoliqraf», 2016.

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	**Gülər Ələkbər qızı Mehdiyeva**
	Firəngiz Habil qızı Bayramova
Tərcüməçi	**İmir Məmmədli**
Bədii və texniki redaktoru	**Abdulla Ələkbərov**
Rəssamı	**Gündüz Ağayev**
Kompüter tərtibatçısı	**Təhmasib Mehdiyev**

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
05.07.2010-cu il tarixli 973№-li
əmri ilə təsdiq edilmişdir.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2016

Kağız formatı 57x82 1/8. Fiziki çap vərəqi 12,0.
Səhifə sayı 96. Uçot nəşr vərəqi 8,3.
Sifariş 45. Tiraj 200. Pulsuz.

«Aspoliqraf LTD» MMC-nin
mətbəəsində çap olunmuşdur.
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 121[B]

PULSUZ